საქართველოს
საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნები

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით გამართული ქალაქ თბილისის, თელავის, თეთრიწყაროსა და ონის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნები

კასპის, ონის, ხარაგაულის, თერჯოლისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნები

2021 წელი, თებერვალი

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია



საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნები

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით გამართული ქალაქ თბილისის, თელავის, თეთრიწყაროსა და ონის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნები

კასპის, ონის, ხარაგაულის, თერჯოლისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნები

2021 წელი, თებერვალი

სარჩევი

შესავალი 4

მოკლე აღწერა 6

I. წინასაარჩევნო პერიოდი 12

I.I არჩევნების სამართლებრივი უზრუნველყოფა 12

I.II ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით განხორციელებული საქმიანობა 14

I.III საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია 18

I.IV საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა კვალიფიკაციის ამაღლება 23

I.V საარჩევნო რეგისტრაციები 28

I.VI ამომრჩეველთა ერთიანი სია 31

I.VII საარჩევნო და სამოქალაქო საგანმანათლებლო პროგრამები 33

I.VIII ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა 36

I.IX თანამშრომლობა საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებთან 40

I.X საგრანტო კონკურსები 52

I.XI საინფორმაციო კამპანია 53

I.XII საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვა 62

II. არჩევნების პირველი ტური 64

II.I 2020 წლის 31 ოქტომბერი. კენჭისყრის დღე 64

II.II 2020 წლის 31 ოქტომბერს გამართული არჩევნების შედეგების შეჯამება და არჩევნების II ტურის დანიშვნა 66

III. არჩევნების მეორე ტური 68

III.I 2020 წლის 21 ნოემბერი. კენჭისყრის დღე 68

III.II პარლამენტის არჩევნების შედეგების შეჯამება 70

IV. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით გამართული ქალაქ თბილისის, თელავის, თეთრიწყაროსა და ონის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნები და კასპის, ონის, ხარაგაულის, თერჯოლისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნები (I და II ტური) 71

V. განცხადებები, საჩივრები და საარჩევნო დავები 78

VI. არჩევნების ფინანსური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა 79

დანართები 81

შესავალი

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებისთვის (პარლამენტის არჩევნები) მზადება დაიწყო 2018 წლის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების დასრულებისთანავე. საარჩევნო კანონმდებლობის სრულყოფისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ცესკომ მოამზადა საარჩევნო კანონმდებლობაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი, სადაც მაქსიმალურად გაითვალისწინა ავტორიტეტული საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ გაცემული რეკომენდაციები. ცვლილებების პროექტი, საკანონმდებლო წინადადებების სახით, ცესკომ წარუდგინა საქართველოს პარლამენტს.

ახალი საარჩევნო სისტემის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეებმა ოთხი წლის ვადით, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, აირჩიეს საქართველოს პარლამენტის 150 წევრი, მათ შორის 120 წევრი – პროპორციული საარჩევნო სისტემით და 30 წევრი – მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით.

პარლამენტის არჩევნები მოიცავდა 31 ოქტომბერს ჩატარებულ I ტურს და 21 ნოემბერს გამართულ II ტურს 17 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში, სადაც I ტურში ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მოიპოვა ნამდვილ ხმათა 50%-ზე მეტი.

პარლამენტის არჩევნებთან ერთად გაიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების I და II ტური, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ქალაქ თბილისის (კრწანისის №4.07 ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი), თელავის, თეთრიწყაროსა და ონის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნები, ასევე კასპის, ონის, ხარაგაულის, თერჯოლისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნების I და II ტური.

საარჩევნო ადმინისტრაციაზე ზეწოლისა და ზემოქმედების მიუღებელი ფორმების მიუხედავად, იმ პირობებში, როდესაც მასობრივად ვრცელდებოდა სხვადასხვა ტიპის დეზინფორმაცია დამოუკიდებელი ინსტიტუციის დისკრედიტაციის მიზნით და რაც მთლიანობაში წარმოადგენდა საარჩევნო ადმინისტრაციის დამაზიანებელი კამპანიის ნაწილს, კანონმდებლობის სრული დაცვით განხორციელდა ყველა ის პროცედურა, რაც არჩევნების პროცესის წარმართვისთვის იყო აუცილებელი, რაც ასევე არის ასახული საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის ანგარიშში[1].

1 “COVID-19-ის პანდემიაზე რეაგირების ფარგლებში განხორციელებული ცვლილებების ფონზე საარჩევნო ადმინისტრაცია კანონით დაწესებულ ვადებს იცავდა და არჩევნების ტექნიკურ ასპექტებს ეფექტურად მართავდა”. 2020 წლის 31 ოქტომბერი, მოხსენება წინასწარი მიგნებების და დასკვნების შესახებ. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის შემადგენლობა: ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა (OSCE PA), ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა (PACE) და ნატოს საპარლამენტო ასამბლეა (NATO PA).

პარლამენტის არჩევნების (I და II ტური) ორგანიზების პროცესში გათვალისწინებული იყო ყველა მნიშვნელოვანი გამოწვევა და მათ შორის, განსაკუთრებით პანდემიასთან დაკავშირებული საკითხები. აღსანიშნავია, რომ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაკვეთით ჩატარებული, საზოგადოებრივი აზრის კვლევის[2] მიხედვით, საზოგადოებამ პოზიტიურად შეაფასა სიტუაცია საარჩევნო უბნებზე 2020 წელს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების დროს. გამოკითხულთა 92% თვლიდა, რომ კორონავირუსთან დაკავშირებული უსაფრთხოების ზომები კარგად იყო დაცული; 94% თვლიდა, რომ საარჩევნო უბნები იყო მოწესრიგებული; 89% თვლიდა, რომ არჩევნებზე პასუხისმგებელი პირები კარგად იყვნენ მომზადებულები; 89% თვლიდა, რომ საარჩევნო უბანი არ იყო გადაჭედილი და 92%-ის აზრით საარჩევნო უბანზე შემავიწროებელი/შემაშინებელი გარემო არ იყო.

საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების[3] მიერ პარლამენტის არჩევნები შეფასდა როგორც კონკურენტული, სადაც ხარვეზების მიუხედავად, დაცული იყო გამოხატვის თავისუფლება და ფუნდამენტური უფლებები. დამკვირვებელი ორგანიზაციების მოხსენებებში წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ მოცემულია გარკვეული რეკომენდაციები, ყურადსაღები საკითხები, რომლებიც შემდგომ მუშაობას მოითხოვს.

11 დეკემბერს, ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ, ახალარჩეული მე-10 მოწვევის პარლამენტის პირველ სხდომაზე წარადგინა პარლამენტის არჩევნების შედეგები და პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ცნობისთვის საჭირო დოკუმენტაცია.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის საბოლოო ანგარიშს, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პარლამენტის არჩევნების ორგანიზებისთვის განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

2 ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაკვეთით, CRRC საქართველოს მიერ 2020 წლის 17-24 დეკემბრის პერიოდში ჩატარდა კვლევა სატელეფონო გამოკითხვის მეთოდით, 2 053 დასრულებული ინტერვიუს სახით, ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე. კვლევა წარმომადგენლობითია თბილისის, ურბანული და სოფლის ტიპის დასახლებებისთვის. სატელეფონო გამოკითხვის შედეგები 2021 წლის 25 იანვარს გამოქვეყნდა.

3 2020 წლის 31 ოქტომბერი, მოხსენება წინასწარი მიგნებების და დასკვნების შესახებ. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის შემადგენლობა: ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა (OSCE PA), ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა (PACE) და ნატოს საპარლამენტო ასამბლეა (NATO PA).

მოკლე აღწერა

საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 31 აგვისტოს განკარგულების საფუძველზე დაინიშნა საქართველოს პარლამენტის მორიგი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები[4]. არჩევნების ჩატარების თარიღად განისაზღვრა 31 ოქტომბერი.

საარჩევნო პროცესის ორგანიზების მიზნით ცესკოში გამართულ სხდომებზე მიღებული იქნა სამართლებრივი აქტები. საარჩევნო ადმინისტრაციამ საარჩევნო პროცესი წარმართა კანონმდებლობის სრული დაცვით და ღონისძიებათა გრაფიკის შესაბამისად[5].

11 სექტემბერს, ცესკომ დანიშნა ქალაქ თბილისის (კრწანისის №4.07 ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი), თელავის, თეთრიწყაროსა და ონის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნები, ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქებიდან არჩეული საკრებულოს წევრების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო. ასევე, დაინიშნა კასპის, ონის, ხარაგაულის, თერჯოლისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნები, მათი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო. შუალედური/რიგგარეშე არჩევნების ჩატარების თარიღად, ასევე, განისაზღვრა 31 ოქტომბერი.[6]

პარლამენტის არჩევნებისთვის 30-მა საოლქო საარჩევნო კომისიამ სრულად განახორციელა კანონით მინიჭებული ფუნქციები, ხოლო 43 ასრულებდა დამხმარე საოლქო საარჩევნო კომისიის ფუნქციას. 73 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა შეადგენდა 891-ს, მათ შორის 584 (65.54%) ქალი და 307 (34.46%) კაცი.

პარლამენტის არჩევნებისთვის სულ შეიქმნა 3 852 საარჩევნო უბანი, მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე – 3 795, ხოლო საზღვარგარეთ 39 სახელმწიფოში – 57 საარჩევნო უბანი. მოგვიანებით აზერბაიჯანში გაუქმდა სამივე საარჩევნო უბანი, ხოლო საბერძნეთში – ორი. აღნიშნულიდან გამომდინარე, არჩევნები გაიმართა 3 847 საარჩევნო უბანზე, მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილ 3 795, ხოლო საზღვარგარეთ 38 სახელმწიფოში – 52 საარჩევნო უბანზე.

3 852 საარჩევნო უბანზე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების რაოდენობა შეადგენდა 45 908-ს, მათ შორის 33 748 (73.51%) ქალი და 12 160 (26.49%) კაცი.

4 საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებები საქართველოს პარლამენტის მორიგი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დანიშვნის შესახებ იხილეთ დანართში (1).

5 ცესკოს 2020 წლის 1 სექტემბრის №70/2020 განკარგულება.

6 ცესკოს განკარგულებები შუალედური/რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის შესახებ იხილეთ დანართში (2).

ცესკომ დაამტკიცა კენჭისყრის დღის ეპიდემიოლოგიური პროტოკოლი, რომელიც შემუშავებული იყო პარტიების, სამოქალაქო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან თანამშრომლობით. პროტოკოლით განისაზღვრა ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიება და კენჭისყრის შენობებში შესვლის/გამოსვლის, ყოფნის/გადაადგილებისას სავალდებულო სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები.[7]

ცესკოსთან არსებულმა სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა (სწავლების ცენტრი) უზრუნველყო საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერების გადამზადება, რომლებმაც განახლებული კონცეფციის შესაბამისად საარჩევნო პროცედურების შესახებ ტრენინგები ჩაუტარეს საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს. სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა ასევე უზრუნველყვეს პროცედურულ საკითხებზე ინტენსიური ინსტრუქტაჟის განხორციელება საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის. სატრენინგო პროგრამების ფარგლებში საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებმა მიიღეს დეტალური ინფორმაცია ეპიდემიოლოგიური პროტოკოლის მიხედვით განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებების შესახებ.

საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელებმა და წევრებმა ინტენსიური ტრენინგები გაიარეს შემდეგ საკითხებზე: საარჩევნო დავების განხილვა, საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებები, ძირითადი და დამხმარე ოლქების საქმიანობა, ფინანსები და შესყიდვები, საქმისწარმოების წესი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების (შშმ პირები) არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობა და ეფექტური კომუნიკაცია.

პარლამენტის არჩევნებისთვის ცესკოს თავმჯდომარის განკარგულების საფუძველზე რეგისტრაციაში გატარდა 50 საარჩევნო სუბიექტი, მათ შორის 48 პარტია და ორი საარჩევნო ბლოკი (ორ ბლოკში გაერთიანდა შვიდი პარტია), 23 პარტიას სხვადასხვა მიზეზის გამო უარი ეთქვა/გაუუქმდა რეგისტრაცია. ასევე, საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარის მიერ დარეგისტრირდა 11 ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი, ხოლო 11-ს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

19 სექტემბერს, ცესკოში გამართულ სხდომაზე, კანონმდებლობით შესაძლებელ უადრეს ვადაში, ჩატარდა წილისყრის პროცედურები და განისაზღვრა პარლამენტის არჩევნებისთვის საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრები.

პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით, რეგისტრირებული იყო პარტიული სიით წარდგენილი 6 882 კანდიდატი, მათ შორის 3 049 (44.30%) ქალი და 3 833 (55.70%) კაცი. ასევე, დარეგისტრირდა 490 მაჟორიტარი კანდიდატი, მათ შორის 107 (21.84%) ქალი და 383 (78.16%) კაცი.

ცესკოში, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში საარჩევნო სუბიექტებმა დანიშნეს 80 818 წარმოდგენელი. რეგისტრაციაში გატარდა 48 საერთაშორისო ორგანიზაციის 910 დამკვირვებელი, 132 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის 46 981 დამკვირვებელი და აკრედიტაცია გაიარა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის 118 საშუალების 6 016-მა წარმომადგენელმა.

7 „COVID-19-ის პანდემიაზე რეაგირების ფარგლებში განხორციელებული ცვლილებების ფონზე საარჩევნო ადმინისტრაცია კანონით დაწესებულ ვადებს იცავდა და არჩევნების ტექნიკურ ასპექტებს ეფექტურად მართავდა“. 2020 წლის 31 ოქტომბერი, მოხსენება წინასწარი მიგნებების და დასკვნების შესახებ. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის შემადგენლობა: ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა (OSCE PA), ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა (PACE) და ნატოს საპარლამენტო ასამბლეა (NATO PA).

პარლამენტის არჩევნების I ტურისთვის ამომრჩეველთა ერთიან სიაში ამომრჩეველთა რაოდენობა შეადგენდა 3 511 338-ს, მათ შორის: 1 882 257 (53.6%) ქალი და 1 629 596 (46.4%) კაცი.

ცესკომ და სწავლების ცენტრმა, პანდემიასთან დაკავშირებული ყველა რეგულაციის სრული დაცვით, განახორციელეს საარჩევნო სამოქალაქო განათლების ოთხი პროგრამა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 7 512-მა პირმა, მათ შორის საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისთვის (6 416 მონაწილე), საარჩევნო განვითარების სკოლა ახალგაზრდებისთვის (578 მონაწილე), საარჩევნო სამართალი უნივერსიტეტების სტუდენტებისთვის (370 მონაწილე), ახალგაზრდული საარჩევნო ბანაკები (148 მონაწილე).

ცესკომ და სწავლების ცენტრმა დისტანციურად განახორციელეს საინფორმაციო-სასწავლო პროგრამები საარჩევნო სუბიექტების, ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების, მედია საშუალებების, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებისა და პოტენციური კანდიდატი ქალებისთვის.[8]

ცესკოს თავმჯდომარემ და ხელმძღვანელმა პირებმა გამართეს მნიშვნელოვანი შეხვედრები დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციების წარმომადგენლებთან.

ცესკომ შვეიცარიის სახელმწიფოს, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) მხარდაჭერითა და პარტიების ჩართულობით ფასილიტაცია გაუწია პარლამენტის არჩევნებისთვის პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსის შემუშავების პროცესს. პარტიების ქცევის კოდექსს შემოუერთდა 42 პარტია.

ცესკოს თავმჯდომარემ და 33 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ქცევის (ეთიკის) კოდექსს. დოკუმენტი პარლამენტის არჩევნებისთვის შემუშავდა და გულისხმობდა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციასა და ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებს შორის შეთანხმებას პროფესიული და ეთიკური ნორმების დაცვის შესახებ.

ყველა დონის საარჩევნო კომისიების წევრებმა ხელი მოაწერეს ეთიკის კოდექსს. კომისიების წევრები შეთანხმდნენ, რომ იმოქმედებდნენ საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, საკუთარი ფუნქციების შესრულებისას იქნებოდნენ სამართლიანები, მიუკერძოებლები და დამოუკიდებლები, უზრუნველყოფდნენ საარჩევნო სუბიექტების, ამომრჩევლებისა და საარჩევნო პროცესში მონაწილე სხვა პირებისთვის თანაბარ და სამართლიან საარჩევნო გარემოს.

ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ და შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა პარლამენტის არჩევნების უსაფრთხო და მშვიდ გარემოში ჩატარების მიზნით გააფორმეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმი ითვალისწინებდა არჩევნების დღეს ხმის მიცემის პროცესის მშვიდ და თავისუფალ გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფად, მხარეთა თანამშრომლობასა და კოორდინირებულ მუშაობას, ასევე, ინფორმაციის გაცვლას, ერთობლივი ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას.

8 „ცესკოს სწავლების ცენტრმა სხვადასხვა დაინტერესებული მხარისთვის, მათ შორის საარჩევნო ადმინისტრაციის წევრებისთვის, დამკვირვებლებისთვის, ქალი კანდიდატებისთვის და საარჩევნო უბნების მომავალი პერსონალისთვის, ყოვლისმომცველი საგანმანათლებლო პროგრამები ჩაატარა. ანგარიშში მოცემული შეფასებით საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის ჩატარებული ტრენინგები კარგად იყო ორგანიზებული და მონაწილეების მაღალი ჩართულობით გამოირჩეოდა.“ 2020 წლის 31 ოქტომბერი, მოხსენება წინასწარი მიგნებების და დასკვნების შესახებ. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის შემადგენლობა: ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა (OSCE PA), ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა (PACE) და ნატოს საპარლამენტო ასამბლეა (NATO PA).

ცესკოს სწავლების ცენტრსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) აკადემიას შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ჩატარდა დისტანციური ტრენინგები არჩევნების უსაფრთხოების საკითხებზე საქართველოს შსს სტრუქტურული ერთეულების, ტერიტორიული ორგანოებისა და სხვა საპოლიციო ქვედანაყოფების 4 000-ზე მეტი მოსამსახურესთვის.

ცესკოს, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიასა და 13 ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმი შემუშავდა საარჩევნო ადმინისტრაციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების სამუშაო შეხვედრების შედეგად საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით. მემორანდუმზე ხელმომწერი მხარეები შეთანხმდნენ, რომ საარჩევნო კოდექსის 45-ე, 48-ე და 49-ე მუხლების ქვემოთ მოყვანილი ნორმები მათ მიერ განმარტებული იყო მემორანდუმის ტექსტის შესაბამისად და ადმინისტრაციული და სასამართლო წარმოების დროს იხელმძღვანელებდნენ მემორანდუმში მითითებული განმარტებით.

ცესკოს თავმჯდომარემ, ევროპის საბჭოს (CoE) საქართველოს ოფისის ხელმძღვანელის მოადგილემ, იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის ხელმძღვანელმა, საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ადმინისტრაციული რესურსებისა და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის არამართლზომიერად გამოყენების, წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისა და მასში მონაწილეობის წესების დარღვევის პრევენციის უზრუნველსაყოფად.

ცესკომ და სწავლების ცენტრმა საჯარო მოსამსახურეებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის შეიმუშავეს სასწავლო პროგრამა „საარჩევნო კამპანია და ადმინისტრაციული რესურსი – საარჩევნო პროცესებში ადმინისტრაციული რესურსის არამართლზომიერად გამოყენების პრევენცია და რეაგირება დარღვევებზე“, რომელიც განთავსდა ევროპის საბჭოს (CoE) საქართველოს ოფისის მხარდაჭერით შექმნილ დისტანციური სწავლების პლატფორმაზე. სასწავლო პლატფორმაზე ასევე განთავსდა შემდეგი ელექტრონული სასწავლო პროგრამები: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობა“[9] და „კენჭისყრის დღის პროცედურები“.

ცესკოს მიერ განსაზღვრული დაფინანსების პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად სწავლების ცენტრმა საგრანტო კონკურსების ფარგლებში დააფინანსა 74 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია შემდეგ მიმართულებებზე: ა) პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა; ბ) ახალგაზრდა ამომრჩეველი საარჩევნო პროცესში; გ) ამომრჩეველთა ინფორმირება 2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის. დაფინანსების ბიუჯეტმა შეადგინა 2 364 121.75 ლარი.

9 სასწავლო პროგრამა ცესკომ, სწავლების ცენტრთან და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით შეიმუშავა.

ცესკომ ჩაატარა ფართომასშტაბიანი ინფორმირების კამპანია ამომრჩეველთა ერთიან სიაში მონაცემების გადამოწმების, ხმის მიცემის პროცედურებისა და პანდემიასთან დაკავშირებული სავალდებულო სანიტარიულ-ჰიგიენური პროცედურების შესახებ. ცესკომ ასევე უზრუნველყო სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი ამომრჩევლების ინფორმირება არჩევნებში მათი მონაწილეობის წესის თაობაზე.[10]

საარჩევნო ადმინისტრაციის დისკრედიტაციის მცდელობების, ცესკოს მიმართ გაჟღერებული ბრალდებებისა და საოლქო საარჩევნო კომისიების მუშაობის ხელის შეშლის ფაქტებთან დაკავშირებით საზოგადოებისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ცესკომ მედიასაშუალებებისა და სოციალური ქსელების მეშვეობით განახორციელა აქტიური საინფორმაციო კამპანია.

ამომრჩეველთა და დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას უზრუნველყოფდა ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრი.

სტაციონარულ დაწესებულებებსა და იზოლაციაში (თვითიზოლაცია, კარანტინი) მყოფი პირების არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად სპეციალურად შექმნილი სატელეფონო-საინფორმაციო ცენტრი 2510051(0) მუშაობდა სრული დატვირთვით და მოქალაქეების მოთხოვნებს 30 ოპერატორი აფიქსირებდა.

კენჭისყრის დღეს ყველა საარჩევნო უბანი აღჭურვილი იყო საჭირო ინვენტარით, მათ შორის ეპიდემიოლოგიური პროტოკოლით გათვალისწინებული სანიტარიულ-ჰიგიენური საშუალებებით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის საარჩევნო უბანზე ხელმისაწვდომი იყო სპეციალური სერვისები, ხოლო ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები ამომრჩევლებისთვის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე – საარჩევნო დოკუმენტაცია.

13 ნოემბერს გამართულ სხდომაზე, ცესკომ შეაჯამა საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნები და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების I ტურის შედეგები.

იმავე სხდომაზე, საოლქო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე, ცესკომ დანიშნა პარლამენტის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების II ტური შემდეგ 17 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში: №1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 10, 11, 12, 16, 21, 23, 27, 28, 30. არჩევნების II ტური გაიმართა 21 ნოემბერს. 21 ნოემბერს, ასევე გაიმართა ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნების II ტური.

პარლამენტის არჩევნების II ტურში, 17 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში მონაწილეობას იღებდა საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი, ჯამში ექვსი[11] საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი 34 კანდიდატი.

---

10 ცესკომ ამომრჩეველთა ინფორმირებისთვის ტელე და რადიო რგოლები გამოიყენა, რომლებშიც აქცენტი ხმის მიცემის პროცედურებზე, საარჩევნო უბნებზე COVID-19-ისგან დაცვის ზომებსა და კენჭისყრის ფარულობაზე გაამახვილა; ამომრჩეველთა განათლებაზე მიმართული ღონისძიებები საოლქო საარჩევნო კომისიებმაც განახორციელეს, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ერთად. ამასთანავე, ინფორმაცია ეთნიკური უმცირესობების ენებზეც იყო ხელმისაწვდომი. 2020 წლის 31 ოქტომბერი, მოხსენება წინასწარი მიგნებების და დასკვნების შესახებ. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის შემადგენლობა: ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა (OSCE PA), ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა (PACE) და ნატოს საპარლამენტო ასამბლეა (NATO PA).

11 „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია – ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“, საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“, „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“, „ალეკო ელისაშვილი – მოქალაქეები“, „გირჩი“, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“.

პარლამენტის არჩევნების II ტურისთვის, 17 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობა შეადგენდა 2 140 210-ს, მათ შორის: 1 171 535 (54.74%) ქალი და 968 675 (45.26%) კაცი.

არჩევნების II ტურისთვის შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიის დროებით წევრებს უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდათ ცესკოს მიერ არჩევნების II ტურის შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნების დღის ჩათვლით, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიების უფლებამოსილებას ახორციელებდნენ I ტურისთვის შესაბამის საარჩევნო ოლქში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიები.

არჩევნების II ტურში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს, ცესკოსა და შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ დამკვირვებელ ორგანიზაციებსა და მათ რეგისტრირებულ დამკვირვებლებს უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდათ II ტურის შედეგების გასაჩივრების ვადების ამოწურვამდე.

ცესკოსა და შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში აკრედიტებულ მედია ორგანიზაციების წარმომადგენლებს აკრედიტაციის ვადა გაუგრძელდათ არჩევნების II ტურის საბოლოო შედეგების გამოცხადების დღის ჩათვლით.

3 დეკემბერს, ცესკომ შეაჯამა პარლამენტის არჩევნების საბოლოო შედეგები, რომლის შესაბამისად არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1 992 891-მა ამომრჩეველმა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 56.75%-ია. საბოლოო შედეგების მიხედვით, 1%-იანი ბარიერი გადალახა ცხრა[12] საარჩევნო სუბიექტმა. 30-ვე მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში პარლამენტის მაჟორიტარ წევრებად არჩეულ იქნენ №41 „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“-ს მიერ წარდგენილი კანდიდატები.

ცესკომ ცნობად მიიღო ინფორმაცია ქალაქ თბილისის (კრწანისის №4.07 ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი), თელავის, თეთრიწყაროსა და ონის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნების და კასპის, ონის, ხარაგაულის, თერჯოლისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნებისთვის, შესაბამისი საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილი, კანონიერ ძალაში შესული შემაჯამებელი ოქმების მიხედვით, საკრებულოს წევრად და მერად არჩეული პირების შესახებ.

პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით (I და II ტური) ცესკოში შემოვიდა 148 განცხადება/საჩივარი. აქედან დაკმაყოფილდა/ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ორი, არ დაკმაყოფილდა 142, ხოლო გასაჩივრების ვადისა და წესის დარღვევის გამო განუხილველი დარჩა ოთხი. შედგენილ იქნა ექვსი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. საოლქო საარჩევნო კომისიებში კენჭისყრის დღეს და შემდგომ პერიოდში შევიდა სულ 2 091 საჩივარი შევიდა. საერთო ჯამში დაკმაყოფილდა/ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 270, არ დაკმაყოფილდა 698, ხოლო გასაჩივრების ვადისა და წესის დარღვევის გამო განუხილველი დარჩა 1 117, გაითხოვეს ოთხი და რეაგირებისთვის შესაბამის ორგანოს გადაეგზავნა ორი საჩივარი.

12 „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია – ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“, საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“, „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, „შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია“, „ალეკო ელისაშვილი – მოქალაქეები“, „ბლოკი გიორგი ვაშაძე – სტრატეგია აღმაშენებელი“, „გირჩი“, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ლელო – მამუკა ხაზარაძე“.

I. წინასაარჩევნო პერიოდი

I.I არჩევნების სამართლებრივი უზრუნველყოფა

პარლამენტის არჩევნებისთვის საქართველოს კონსტიტუციასა და საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განხორციელდა ცვლილებები, რომლითაც არსებითად შეიცვალა საარჩევნო სისტემა, დაიხვეწა ზოგიერთი ნორმა, აღმოიფხვრა შეუსაბამობები, ხარვეზები და გამარტივდა ზოგიერთი საარჩევნო პროცედურა, კერძოდ:

- შეიცვალა საქართველოს პარლამენტის შემადგენლობა, პარლამენტის არჩევნების შედეგად არჩეული პარლამენტი შედგება პროპორციული სისტემით არჩეული 120 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 30 პარლამენტის წევრისგან;

- შეიცვალა პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგად საქართველოს პარლამენტის წევრთა მანდატების განაწილების წესი და ის ნაწილდება იმ პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებიც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების ერთ პროცენტს მაინც მიიღებდნენ, ასევე იმ საარჩევნო ბლოკებზე, რომელთა მიერ მიღებული ნამდვილი ხმების პროცენტული მაჩვენებელი ერთი პროცენტისა და საარჩევნო ბლოკში შემავალი პოლიტიკური პარტიების რაოდენობის ნამრავლს შეადგენდა;

- შემცირდა პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად მხარდამჭერ ამომრჩეველთა ხელმოწერების მინიმალური რაოდენობა კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული პარტიებისთვის, რომლებსაც ამგვარი ხელმოწერების წარმოდგენის ვალდებულება გააჩნდათ;

- განისაზღვრა საარჩევნო სუბიექტების კატეგორია, რომლებიც გათავისუფლდნენ მხარდამჭერების სიის წარდგენის ვალდებულებისგან;

- შეიცვალა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის წესი, კერძოდ ექვს წევრს ირჩევდა შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია სრული შემადგენლობის უმრავლესობით, იმ პირობით, რომ მას მხარს დაუჭერდა, მათ შორის, შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში ცესკოს მიერ ხუთი წლის ვადით არჩეული სამი წევრი მაინც. არჩევის პროცედურაში არ მონაწილეობდა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი, თუ ის იყო შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატის ოჯახის წევრი. დაუშვებელი იყო საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად იმ პირის არჩევა, რომელიც ბოლო საერთო არჩევნებში რომელიმე დონის საარჩევნო კომისიის წევრად პოლიტიკური პარტიის მიერ იყო დანიშნული;

- საარჩევნო ადმინისტრაციას გაუჩნდა საუბნო საარჩევნო კომისიის ექვსი წევრის არჩევამდე შესაბამისი კანდიდატთა სიის ცესკოს ვებგვერდზე გამოქვეყნების ვალდებულება;

- აიკრძალა კენჭისყრის შენობის შესასვლელიდან 25 მეტრის მანძილზე სააგიტაციო მასალის განთავსება. ასევე, კენჭისყრის შენობაში ან ამ შენობიდან 25 მეტრის მანძილზე პირის მიერ არჩევნებზე გამოცხადებული ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება (გარდა ეგზიტპოლის მიზნით განხორციელებული საქმიანობისა);

- დაზუსტდა იმ საჯარო დაწესებულებების ჩამონათვალი, რომელთა თანამშრომლებს აეკრძალათ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა და აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან უშუალოდ სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას;

- ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით განისაზღვრა ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიება და ვადა;

- განისაზღვრა საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებში ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლის მონაწილეობის დროებითი წესი;

- პირველად, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობაში საარჩევნო სიებთან დაკავშირებით დაწესდა სავალდებულო გენდერული კვოტირების პრინციპი, კერძოდ განისაზღვრა პარტიულ სიაში სქესთა ბალანსთან დაკავშირებული სავალდებულო კვოტა პარტიის საარჩევნო რეგისტრაციისა და არჩევნებში მონაწილეობისთვის;

- განისაზღვრა საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებისთვის პარლამენტის წევრობის კანდიდატების მიერ საარჩევნო რეგისტრაციის პროცესში ნარკოლოგიური შემოწმებისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების წარმოდგენის საკითხები და შესაბამისი რეგისტრაციის წესი;

- შემცირდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შედგენისა და საქმის განხილვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების ვადები.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში ცესკომ უფლებამოსილების ფარგლებში საარჩევნო კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით გაუთვალისწინებელი საარჩევნო და სხვა პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებზე მიიღო 33 ნორმატიული აქტი – დადგენილება. ცესკოს მიერ მიღებული დადგენილებების ჩამონათვალი იხილეთ დანართში (3).

საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების/სამართლებრივი აქტების ხელმისაწვდომობისა და საჯაროობის მიზნით, ცესკო რეგულარულად და დროულად აქვეყნებდა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებულ განკარგულებებსა და სხდომების ოქმებს ცესკოს ვებგვერდზე.

I.II ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით განხორციელებული საქმიანობა

ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციისა და კენჭისყრის დღის შესაბამისი პროცედურების რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, გაიმართა ცესკოს ინიციატივით შექმნილი სპეციალური სამუშაო ჯგუფის ოთხი შეხვედრა. სპეციალური სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის, ისე პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეხვედრებზე ჩართულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგად ცესკომ მიიღო კენჭისყრის დღის ეპიდემიოლოგიური პროტოკოლი და დადგენილება, რომლითაც განისაზღვრა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში მყოფი ამომრჩევლების ყველა ჯგუფის არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ზოგიერთი საარჩევნო პროცედურა და სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები.

ცესკოს ხელმძღვანელმა პირებმა სხვადასხვა დროს გამართეს შეხვედრები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრთან, მინისტრის მოადგილეებთან, სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსთან და „დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ გენერალური დირექტორის მოადგილე, ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელთან. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და საკარანტინო სივრცეებში კენჭისყრის ორგანიზებისას გასათვალისწინებელი სავალდებულო წესები და რეკომენდაციები, ასევე, შესაძლებლობები და რისკები. შეხვედრაზე გამართულმა მსჯელობამ და ექსპერტების მიერ წარმოდგენილმა მოსაზრებებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საარჩევნო ადმინისტრაციის პოზიციის ჩამოყალიბებას აღნიშნულ საკითხებზე.

არჩევნების დანიშვნისთანავე, პირველ სექტემბერს გამართულ სხდომაზე ცესკომ, ჩართულ მხარეებთან კონსულტაციების საფუძველზე მიიღო დადგენილება[13], რომლის თანახმადაც განსაზღვრა საარჩევნო კომისიების კუთვნილ ან/და საარჩევნო კომისიებისთვის გადაცემულ შენობებში შესვლისას/გამოსვლისას და შენობებში ყოფნისას/გადაადგილებისას სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები, საარჩევნო კომისიების საქმიანობისთვის საჭირო სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები, რომელთა შესრულება სავალდებულო იყო როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის, ისე არჩევნებში ჩართული მხარეებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციასთან ურთიერთობისას და საარჩევნო კომისიის შენობებში მყოფი ნებისმიერი პირისთვის. საარჩევნო კომისიის შენობებში მყოფ ნებისმიერ პირს დაევალდებულა განსაზღვრული წესის მიხედვით პირბადის ტარება, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ექვემდებარებოდა გაფრთხილებას და წესის დარღვევის გაგრძელების შემთხვევაში შენობიდან დაუყოვნებლივ გაძევებას.

მნიშვნელოვან ჩანაწერს წარმოადგენდა დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ნორმა, რომელიც საჩივრის ავტორს ტემპერატურის დაფიქსირების შემთხვევაში, მისივე წერილობითი განცხადების საფუძველზე, აძლევდა მისი ჩამნაცვლებელი პირის წარმოდგენის შესაძლებლობას, რის თაობაზეც მხარის ტექნიკური საშუალებით დაბარების აქტში კეთდებოდა შესაბამისი აღნიშვნა.

18 სექტემბერს, საარჩევნო პროცესებში ჩართულ მხარეებთან აქტიური კონსულტაციების საფუძველზე, ცესკომ განსაზღვრა კენჭისყრის დღის ეპიდემიოლოგიური პროტოკოლი.[14]

13 ცესკოს 2020 წლის 1 სექტემბრის №24/2020 დადგენილება.
14 ცესკოს 2020 წლის 18 სექტემბრის №38/2020 დადგენილება.

პროტოკოლის შესაბამისად, არჩევნების ორივე ტურისთვის კენჭისყრის შენობებში შესვლის/გამოსვლის და შენობებში ყოფნის/გადაადგილებისას საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ დაცული იყო შემდეგი სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები:

- კენჭისყრის შენობის შესასვლელთან განთავსებული იყო დეზობარიერი და ხელის დასამუშავებელი ხსნარი, ასევე თვალსაჩინო ადგილას – კოვიდ რეგულაციების გათვალისწინებით ხმის მიცემის პროცედურის ამსახველი პოსტერი ამომრჩევლებისთვის და კენჭისყრის შენობაში შესვლის/გამოსვლის და შენობაში ყოფნის/გადაადგილებისას დასაცავი სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების შესახებ პოსტერი საარჩევნო უბანზე ყოფნის უფლების მქონე პირებისთვის;

- კენჭისყრის შენობაში არ დაიშვებოდა პირი პირბადისა და სადეზინფექციო ხსნარით ხელების დამუშავების, ასევე ტემპერატურის შემოწმების გარეშე. ტემპერატურის შემოწმება არ ეხებოდა ამომრჩეველს, ამასთან, არქონის შემთხვევაში ამომრჩეველს გადაეცემოდა პირბადე;

- ფარული კენჭისყრის კაბინების შესასვლელი ამომრჩევლისთვის ერთი (კედლის) მხრიდან იყო გახსნილი და განთავსებული იმგვარად, რომ არ დარღვეულიყო კენჭისყრის ფარულობის პრინციპი;

- ამომრჩეველთა შორის საარჩევნო უბნის შესასვლელთან დაცული იყო უსაფრთხო დისტანცია;

- ამომრჩევლები იყენებდნენ ინდივიდუალური მოხმარებისთვის განკუთვნილ კალმისტარს, რომელიც ხმის მიცემის შემდეგ თავსდებოდა სპეციალურ კონტეინერში;

- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები უზრუნველყოფილი იყვნენ პირბადით, დამცავი ფარითა და ერთჯერადი ხელთათმანებით; პერიოდულად ხდებოდა კენჭისყრის შენობების ბუნებრივი ვენტილაცია;

- უზრუნველყოფილი იყო კენჭისყრის შენობაში ხშირად შეხებადი ზედაპირების სათანადო წესით წმენდა/დეზინფექცია გარკვეული პერიოდულობით. საარჩევნო უბნის გახსნამდე და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცესის დასრულების შემდეგ, ხდებოდა კენჭისყრის შენობის დალაგება და სადეზინფექციო ხსნარით დამუშავება. აღნიშნულ სადეზინფექციო, დასუფთავების საქმიანობას, პირველად საარჩევნო ადმინისტრაციის პრაქტიკაში, ყველა საარჩევნო უბანზე ახორციელებდა კონკრეტული პირი – შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული დამლაგებელი.

სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი პირებისთვის კენჭისყრის პროცედურის ორგანიზების დროს განხორციელებული პრევენციული ღონისძიებები

სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი პირების არჩევნებში (I და II ტური) მონაწილეობის უზრუნველყოფისა და მათი საყოველთაო საარჩევნო უფლების რეალიზების მიზნით, ცესკოს მიერ მიღებული დადგენილებით[15] განისაზღვრა კონკრეტული წესები და პირობები. თითოეული მუნიციპალიტეტის საზღვრებში შეიქმნა სპეციალური საარჩევნო უბნები. საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციების განსახორციელებლად შეიქმნა სპეციალური ჯგუფები, რომელთაც ჩაუტარდათ შესაბამისი ტრენინგი.

პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების მიერ ცესკოს გადმოეცა მონაცემები სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში მყოფ პირთა შესახებ.

15 ცესკოს 2020 წლის 19 ოქტომბრის №45/2020 დადგენილება.

თვითიზოლაციაში მყოფი პირებისთვის ცესკომ შექმნა გადასატანი ყუთის საშუალებით არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა. მათ შეეძლოთ გადასატანი ყუთის მოთხოვნა თუ ისინი ირიცხებოდნენ შესაბამისი უწყების მიერ გადმოცემულ მონაცემთა ბაზაში. დამატებით განხორციელდა სპეცჯგუფებში დამკვირვებელთა და საარჩევნო სუბიექტების/პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენელთა რეგისტრაცია/აკრედიტაცია. ცესკომ განსაზღვრა გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის ჩატარების, ასევე ხმის დათვლისა და სპეცჯგუფის მიერ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის პროცედურები.

გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემისას, სპეცჯგუფების მიერ დაცული იყო შემდეგი ძირითადი სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები:

- საარჩევნო უბანში არ დაიშვებოდა პირი სათანადოდ მორგებული პირბადის, სახის დამცავი ფარის, ერთჯერადი ხალათის, ხელთათმანების გარეშე. ასევე ხდებოდა კარის სახელურების, სამუშაო მაგიდების, საარჩევნო ყუთების სათანადო წესით წმენდა და დეზინფექცია. პერიოდულად, დღეში რამდენჯერმე ხდებოდა სპეცჯგუფის განთავსების ოთახების განიავება, ხოლო შენობის შესასვლელთან ხორციელდებოდა შემსვლელ პირთა თერმოსკრინინგი;

- გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები სპეცჯგუფის წევრები და მეთვალყურეები აღჭურვილი იყვნენ და იყენებდნენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს, კერძოდ სათანადოდ მორგებულ პირბადეს, სახის დამცავ ფარს, ერთჯერად ხალათს, ხელთათმანებს, ხელის სადეზინფექციო ხსნარს. გადასატანი საარჩევნო ყუთის ზედაპირი, ბინის/სახლის/ოთახის/ნომრის კარის სახელური და სხვა ზედაპირები მუშავდებოდა სადეზინფექციო ხსნარით;

- სპეცჯგუფის წევრები არ შედიოდნენ ამომრჩევლის ბინაში/სახლში/ოთახში/ნომერში. გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის, საარჩევნო ბიულეტენის გადაცემა და საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის წარდგენა ხდებოდა კონტაქტის გარეშე და დაცული იყო უსაფრთხო დისტანცია 1,5-2 მეტრი. ამომრჩეველს საარჩევნო ბიულეტენი გადაეცემოდა მხოლოდ პირბადის გამოყენებისა და ხელების ანტისეპტიკური საშუალებებით დამუშავების შემდეგ. ამომრჩეველი უზრუნველყოფილი იყო ინდივიდუალური მოხმარებისთვის განკუთვნილი კალმისტრით;

- არჩევანის გაკეთების შემდეგ ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენს ათავსებდა ბინის შესასვლელთან განთავსებულ გადასატან საარჩევნო ყუთში, რომელიც მუშავდებოდა სადეზინფექციო ხსნარით;

- გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის პროცესის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ, სპეცჯგუფის წევრები სათანადო წესით იმუშავებდნენ ხელებს, ასევე ხორციელდებოდა სატრანსპორტო საშუალების დეზინფექცია.

ავღანეთში საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის განხორციელებული პრევენციული ღონისძიებები

ავღანეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ბატალიონებში, პარლამენტის არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფისთვის, საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციების შესრულების მიზნით დაკომპლექტებული სპეციალური ჯგუფების წევრებთან მიმართებაში დაცული იყო ცესკოს მიერ დადგენილი შემდეგი წესები:

- USCENTCOM-ის დადგენილი წესების შესაბამისად სპეცჯგუფების წევრებს ჩაუტარდათ იმუნიზაცია, გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია;

- ავღანეთში გამგზავრებამდე მათ გაიარეს 14 დღიანი და საქართველოში დაბრუნებისას რვა დღიანი სავალდებულო კარანტინი შესაბამის საკარანტინო სივრცეში;

- მათ ორჯერ, ავღანეთში გამგზავრებამდე და საქართველოში დაბრუნებისას ჩაუტარდათ PCR ტესტები.

პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული პრევენციული ღონისძიებები

ცესკომ მიიღო დადგენილება[16], რომლითაც განსაზღვრა არჩევნებისთვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებაში შექმნილ საარჩევნო უბნებზე ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები:

- საუბნო საარჩევნო კომისიის/სპეცჯგუფის წევრებმა/დამკვირვებლებმა/საარჩევნო სუბიექტების/პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებმა გაიარეს 14 დღიანი სავალდებულო კარანტინი შესაბამის საკარანტინო სივრცეში. მათ ჩაუტარდათ PCR ტესტი. აღნიშნული პირები საკარანტინო სივრციდან შესაბამისად დაცული ტრანსპორტით პირდაპირ გამოცხადნენ პენიტენციურ დაწესებულებაში;

- საუბნო საარჩევნო კომისიის/სპეცჯგუფის წევრებს/დამკვირვებლებს/საარჩევნო სუბიექტების/პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებს, კენჭისყრის შენობის დატოვების შემთხვევაში, არ ჰქონდათ განმეორებით აღნიშნულ ან ნებისმიერ სხვა კენჭისყრის შენობაში შესვლის უფლება;

- ასევე არ შეიძლებოდა დამკვირვებლებისა და საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლების ჩანაცვლება მისი წარმდგენი ორგანიზაციის სხვა რეგისტრირებული პირით;

- ისინი ვალდებული იყვნენ პენიტენციურ დაწესებულებამდე ტრანსპორტირებისას და პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნისას დაეცვათ ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით პენიტენციურ დაწესებულებებში მოქმედი ჰიგიენური ნორმები და აღჭურვილი იყვნენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.

სანიტარიულ-ჰიგიენური საშუალებები

არჩევნების ორივე ტურისთვის, ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოში ჩატარების მიზნით, ცესკოს მიერ შეძენილ იქნა შემდეგი რაოდენობის სანიტარიულ-ჰიგიენური საშუალებები: 615 250 ცალი ერთჯერადი პირბადე, 98 900 ცალი მრავალჯერადი პირბადე, 31 936 ლიტრი ხელის სადეზინფექციო ხსნარი, 33 550 ლიტრი სადეზინფექციო ხსნარი, 26 410 ცალი სახის დამცავი ფარი, 4 030 ცალი დეზობარიერი, 4 662 ცალი დისტანციური თერმომეტრი, 4 000 000 ცალი ერთჯერადი გამოყენებისთვის განკუთვნილი კალამი და სხვა საშუალებები.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მეშვეობით და საქართველოში აშშ-ის საელჩოს აქტიური მონაწილეობით არჩევნების (I და II ტური) ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოში ჩატარების ხელშეწყობისთვის საარჩევნო ადმინისტრაციას გადასცა 4 500 000 ცალი პირბადე, 48 976 ცალი სახის დამცავი ფარი, 88 310 წყვილი ლატექსის ხელთათმანი და 20 042 ლიტრი სადეზინფექციო საშუალება.

16 ცესკოს 2020 წლის 9 ოქტომბრის №43/2020 დადგენილება.

I.III საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების ადმინისტრირება უზრუნველყო ცესკომ და ცესკოს აპარატმა, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებმა.

ცესკოს შემადგენლობა 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის

თამარ ჟვანია, კომისიის თავმჯდომარე
გიორგი შარაბიძე, თავმჯდომარის მოადგილე
გიორგი ჯავახიშვილი, კომისიის მდივანი
დიმიტრი ჯავახაძე, ცესკოს წევრი, საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული
გიორგი ძაგანია, ცესკოს წევრი, საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული
გიორგი ჭიქაბერიძე, ცესკოს წევრი, საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული
არჩილ ანასაშვილი, ცესკოს წევრი, პ/გ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“
ლევან მაისურაძე, ცესკოს წევრი, პ/გ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“
მარინე წულუკიძე, ცესკოს წევრი, პ/გ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“
დავით კირთაძე, ცესკოს წევრი, პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
დავით გურგენიძე, ცესკოს წევრი, პ/გ „ევროპული საქართველო“
ხათუნა სხირტლაძე, ცესკოს წევრი, პ/გ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“

1 სექტემბერი-3 დეკემბრის პერიოდში ცესკოში გაიმართა 30 სხდომა.

ცესკოს სხდომებს აკვირდებოდნენ[17]:

25 საარჩევნო სუბიექტის 77 წარმომადგენელი;

31 ადგილობრივი დამკირვებელი ორგანიზაციის 206 დამკვირვებელი;

ერთი საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციის სამი დამკვირვებელი.

ცესკოს აპარატი და სწავლების ცენტრი

- ამომრჩეველთა სიებისა და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი;
- იურიდიული დეპარტამენტი;
- სარეგისტრაციო და ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი;
- საფინანსო დეპარტამენტი;
- საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი;
- კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი;
- შიდა აუდიტის და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი;
- ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი;
- საარჩევნო კომისიებთან ურთიერთობის დეპარტამენტი;
- პრეს-სპიკერი;
- ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი.

- სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი.

17 ცესკოს სხდომებზე დამკვირვებელთა დასწრების სტატისტიკა იხილეთ დანართში (4).

საოლქო საარჩევნო კომისიები

პარლამენტის არჩევნებისთვის ცესკომ დაამტკიცა ძირითადი და დამხმარე საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ განსახორციელებელი ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის აღმწერი ინსტრუქცია,[18] რომლის შესაბამისად 30 საოლქო საარჩევნო კომისია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 21-ე მუხლით დადგენილ უფლებამოსილებას ახორციელებდა სრულად, ხოლო 43 – ნაწილობრივ.

პარლამენტის არჩევნების I ტურში საოლქო კომისიის წევრთა რაოდენობა შეადგენდა 891-ს, მათ შორის 584 (65.54%) ქალი და 307 (34.46%) კაცი. აქედან, ცესკოს მიერ ხუთი წლის ვადით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, სახელობითი კენჭისყრის საფუძველზე არჩეული – 380 მუდმივმოქმედი წევრი, მათ შორის 227 (59.74%) ქალი და 153 (40.26%) კაცი. საარჩევნო პერიოდში არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე დროის მონაკვეთით არჩეული – 73 დროებითი წევრი, მათ შორის 44 (60.27%) ქალი და 29 (39.73%) კაცი. არჩევნების დანიშვნის შემდეგ, ოთხმა უფლებამოსილმა პარტიამ დანიშნა 438 დროებითი წევრი, მათ შორის 312 (71.23%) ქალი და 126 (28.77%) კაცი, აქედან პარტიამ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ – 219, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ – 73, „ევროპული საქართველო“ – 73 და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 73.

არჩევნების დანიშვნისთანავე, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, ცესკომ გამოაცხადა პარლამენტის არჩევნებისთვის საოლქო საარჩევნო კომისიების დროებითი წევრების შესარჩევი კონკურსი ყველა, 73 საოლქო საარჩევნო კომისიაში.[19] 4 სექტემბერს გამართულ სხდომაზე, ცესკომ აირჩია 72 დროებითი წევრი[20]. ვინაიდან ხმათა უმრავლესობით ვერ აირჩა №37 ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრი, იმავე სხდომაზე გამოცხადდა ხელახალი კონკურსი და კონკურსის დასრულებისთანავე, 6 სექტემბრის სხდომაზე მოხდა ახალციხის დროებითი წევრის არჩევაც. 73 საოლქო საარჩევნო კომისიაში გამოცხადებულ ვაკანტურ თანამდებობებზე სულ შემოვიდა 172 განაცხადი. 17 საოლქო საარჩევნო კომისიაში მხოლოდ თითო კანდიდატი დარეგისტრირდა, 28 კომისიაში ორ-ორი, 14 კომისიაში სამ-სამი, 13 კომისიაში ოთხ-ოთხი და მხოლოდ ერთ კომისიაში – ხუთი კანდიდატი, ხოლო ახალციხის ხელახალ კონკურსში მონაწილეობას იღებდა ერთი კანდიდატი.

საოლქო საარჩევნო კომისიების დროებითი წევრების არჩევის პროცესს აკვირდებოდნენ რვა ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის დამკვირვებლები და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები.

ცესკოს მიერ არჩეული 73 დროებითი წევრიდან, 68-ს ჰქონდა საარჩევნო სფეროში, კონკრეტულად კი საარჩევნო ადმინისტრაციაში სხვადასხვა წლებში როგორც კომისიებში, მათ შორის ცესკოში წევრად, ისე ტრენერად მუშაობის გამოცდილება. ამასთან, 73 ახლად არჩეული წევრიდან 22 პირს მონაწილეობა ჰქონდა მიღებული საარჩევნო ადმინისტრაციის საგანმანათლებლო პროგრამებში.

ამავდროულად, 73 არჩეული დროებითი წევრიდან 2018-2019 წლებში გამართული არჩევნების მონაცემების მიხედვით, 44 პირი ცესკოს მიერ პროფესიული ნიშნით იყო საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად არჩეული, ხოლო ხუთი პირი წარმოადგენდა პარტიული ნიშნით ნომინირებულ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეს, საიდანაც ხუთივეს ჰქონდა სხვადასხვა წლებში საარჩევნო კომისიის წევრად მუშაობის გამოცდილება.

18 ცესკოს 2020 წლის 23 ივლისის №16/2020 დადგენილება.
19 ცესკოს 2020 წლის 1 სექტემბრის №68/2020 განკარგულება.
20 ცესკოს 2020 წლის 4 სექტემბრის №105/2020 განკარგულება.

არჩევნების II ტურისთვის შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის დროებით წევრებს უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდათ ცესკოს მიერ არჩევნების II ტურის შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნების დღის ჩათვლით. ერთმა უფლებამოსილმა პარტიამ[21] გაიწვია მის მიერ დანიშნული წევრები.

საარჩევნო უბნების შექმნა

პარლამენტის არჩევნებისთვის სულ შეიქმნა 3 852 საარჩევნო უბანი, მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნა 3 795, ხოლო საზღვარგარეთ 39 სახელმწიფოში – 57 საარჩევნო უბანი. მოგვიანებით აზერბაიჯანში გაუქმდა სამივე საარჩევნო უბანი, ხოლო საბერძნეთში – ორი.

პარლამენტის არჩევნები გაიმართა 3 847 საარჩევნო უბანზე, მათ შორის 30 ძირითადი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი 3 657 საარჩევნო უბანი, გამონაკლის შემთხვევაში ცესკოს მიერ შექმნილი 11 საარჩევნო უბანი[22] და სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი პირებისთვის – 127 საარჩევნო უბანი. საზღვარგარეთ, არჩევნები ჩატარდა 38 სახელმწიფოში 52 საარჩევნო უბანზე, მათ შორის საზღვარგარეთ დისლოცირებულ საქართველოს შეიარაღებულ ნაწილებში მოსამსახურე საქართველოს მოქალაქეებისთვის – ორი საარჩევნო უბანი: №1 საზღვარგარეთის ბაგრამის საარჩევნო უბანი „ბაგრამის საავიაციო ბაზა“ და №2 საზღვარგარეთის მაზარი-შარიფის საარჩევნო უბანი „ბაზა მარმალი“.

კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ცესკომ ვებგვერდზე გამოაქვეყნა საარჩევნო უბნების ნომრები, მისამართები და სხვა რეკვიზიტები.

21 ნოემბერს, არჩევნების II ტურისთვის, 17 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ამომრჩევლებს 2003 საარჩევნო უბანი მოემსახურა, მათ შორის საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ შექმნილი 1 914 საარჩევნო უბანი, გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი ცხრა უბანი და სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი ამომრჩევლებისთვის შექმნილი 80 სპეციალური უბანი.

საუბნო საარჩევნო კომისიები

პარლამენტის არჩევნების I ტურისთვის 3 852 საარჩევნო უბანზე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების რაოდენობა შეადგენდა 45 908-ს, მათ შორის 33 748 (73.51%) ქალი და 12 160 (26.49%) კაცი. აქედან საოლქო საარჩევნო კომისიებმა, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, სახელობითი კენჭისყრის საფუძველზე აირჩიეს 23 049 წევრი, ხოლო ოთხმა უფლებამოსილმა პარტიამ დანიშნა 22 859 წევრი, მათ შორის „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ – 11 494, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ – 3 724, ევროპული საქართველო“ – 3 796, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 3 845.

საზღვარგარეთ 38 სახელმწიფოში 52 საარჩევნო უბანზე საუბნო საარჩევნო კომისიაში არჩეულ/დანიშნულ წევრთა რაოდენობა შეადგენდა 544-ს, მათ შორის 340 (62.5%) ქალი და 204 (37.5%) კაცი.

21 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

22 ცესკოს 2020 წლის 10 ოქტომბრის №250/2020 განკარგულება.

4-9 სექტემბერს ჩატარდა საქართველოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების შესარჩევი კონკურსები. საოლქო საარჩევნო კომისია, როგორც კოლეგიური ორგანო, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს ირჩევდა სრული შემადგენლობის უმრავლესობით, არანაკლებ შვიდი ხმით, სახელობითი კენჭისყრის საფუძველზე. საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების არჩევის პროცესი წარიმართა საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის ახალი მოთხოვნებისა და კრიტერიუმების შესაბამისად. ცესკომ დამატებითი რეკომენდაციებით მიმართა საოლქო საარჩევნო კომისიებს, რათა საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების პროცესში სასურველი იყო შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინება:

- კარგი პროფესიული და საარჩევნო გამოცდილება;
- საარჩევნო ადმინისტრაციაში კვალიფიციურად და მიუკერძოებლად მუშაობის გამოცდილება;
- საარჩევნო ადმინისტრაციის საგანმანათლებლო პროგრამებში, მათ შორის „საარჩევნო განვითარების სკოლა“, „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“ მონაწილეობა;
- საარჩევნო ადმინისტრაციაში საქმიანობისას, ბოლო ორი წლის განმავლობაში არაერთგზის დაკისრებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების არქონა.

11-14 სექტემბრის პერიოდში 73 საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ, 3 652 საარჩევნო უბანში არსებულ 21 942 ვაკანტურ ადგილზე აირჩა საუბნო საარჩევნო კომისიის 21 894 წევრი. საოლქო საარჩევნო კომისიებში გამართულ სხდომებს დააკვირდა 16 ადგილობრივი ორგანიზაციის 84 დამკვირვებელი, ხუთი საარჩევნო სუბიექტის 38 და ერთი მედიასაშუალების ორი წარმომადგენელი.

აღსანიშნავია, რომ 21 942 ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსზე შემოვიდა 25 201 განაცხადი, რაც ერთ ვაკანტურ ადგილზე საშუალოდ არის 1.14 საკონკურსო კოეფიციენტი. ამასთან, თითოეულ საარჩევნო უბანზე არსებულ ექვს ვაკანსიაზე ნაკლები განაცხადი შესული იყო 18 საარჩევნო უბანზე (0.49%), ზუსტად ექვსი განაცხადი შევიდა 1 878 საარჩევნო უბანზე, რაც არის საარჩევნო უბნების საერთო რაოდენობის 51.35%. ასევე, ექვს ვაკანტურ ადგილზე შვიდი განაცხადი შევიდა 955 საარჩევნო უბანზე (26.11%), შვიდზე მეტი განაცხადი – 806 (22.04%) საარჩევნო უბანზე.

ახალი საკანონმდებლო რეგულაციების მიხედვით, კონკურსში მონაწილე 25 201 კონკურსანტიდან 892 (3.54%) სხდომაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის ამოღებულ იქნა, ვინაიდან ისინი ბოლო საერთო არჩევნებზე იყვნენ დანიშნული პარტიის მიერ. ამასთან, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი ვალდებული იყო განეცხადებინა კონკურსანტთა შორის კანონით განსაზღვრული ახლო ნათესავის არსებობის თაობაზე და არ მიეღო მონაწილეობა შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევ კონკურსში. მსგავსი განცხადებით საოლქო საარჩევნო კომისიებს მიმართა 66-მა წევრმა. მათ 44 საარჩევნო უბანზე კომისიის წევრების არჩევის პროცესში მონაწილეობა არ მიუღიათ.

რაც შეეხება საუბნო საარჩევნო კომისიებში არჩეულ პირებს არჩეული 21 894 წევრიდან 21 513 (98.26%) არჩეული იყო მაღალი კვორუმით, კერძოდ ცხრა და მეტი ხმით (12 ხმით არჩეულია საუბნო საარჩევნო კომისიის ცხრა წევრი, 11 ხმით – 1 225 წევრი, 10 ხმით – 13 703 წევრი, ცხრა ხმით – 6 576 წევრი). რვა ხმით არჩეულია საუბნო საარჩევნო კომისიის 366 წევრი, ხოლო შვიდი ხმით – 15 წევრი.

არჩეულ პირთა შორის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის სტატუსით მუშაობის გამოცდილება ჰქონდა და 2012 წლიდან, ბოლო ექვს საერთო არჩევნებზე ერთხელ მაინც მონაწილეობა მიუღია 16 886 (77.13%) პირს. დანარჩენ არჩეულ პირთაგან უმრავლესობას საარჩევნო გამოცდილება ჰქონდა მიღებული სხვადასხვა არჩევნებზე კომისიის წევრად, დამკვირვებლად, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლად. ამასთან, საუბნო საარჩევნო კომისიის არჩეული წევრებიდან 10 018 იყო „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსების“ მონაწილე, 231 – „საარჩევნო განვითარების სკოლების“,

ხოლო რვა – „ახალგაზრდული ბანაკების“ კურსდამთავრებული. აღსანიშნავია, რომ საუბნო საარჩევნო კომისიების არჩეული წევრებიდან 99.99%-ს ბოლო ორი წლის განმავლობაში საარჩევნო ადმინისტრაციაში საქმიანობისას მრავალგზის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა არ დაკისრებია.

არჩევნების II ტურში საუბნო საარჩევნო კომისიების უფლებამოსილებას ახორციელებდნენ I ტურისთვის შესაბამის საარჩევნო ოლქში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიები. ორმა უფლებამოსილმა პარტიამ[23] გაიწვია მათ მიერ დანიშნული წევრები.

საუბნო საარჩევნო კომისიების პირველი სხდომები

28-30 სექტემბერს ჩატარდა საუბნო საარჩევნო კომისიების პირველი სხდომები. კანონმდებლობის შესაბამისად, პირველ სხდომებზე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა აირჩიეს კომისიების თავმჯდომარე/თავმჯდომარის მოადგილე/კომისიის მდივანი. ინფორმაცია საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარე/მოადგილე/მდივნის არჩევის შესახებ იხილეთ დანართში (5).

11 სექტემბერს ცესკოში გაიმართა ავღანეთში შექმნილ საარჩევნო უბნებზე საუბნო საარჩევნო კომისიის ფუნქციების შესრულების მიზნით შექმნილი სპეციალური ჯგუფების პირველი სხდომები, სადაც სპეციალური ჯგუფების წევრებმა აირჩიეს ხელმძღვანელი პირები.

ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების ეთიკის კოდექსი

30 სექტემბერს ყველა დონის საარჩევნო კომისიების წევრებმა მოაწერეს ხელი ეთიკის კოდექსს.[24] კომისიების წევრები შეთანხმდნენ, რომ იმოქმედებდნენ საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, საკუთარი ფუნქციების შესრულებისას იქნებოდნენ სამართლიანები, მიუკერძოებლები და დამოუკიდებლები, უზრუნველყოფდნენ საარჩევნო სუბიექტების, ამომრჩევლებისა და საარჩევნო პროცესში მონაწილე სხვა პირებისთვის თანაბარ და სამართლიან საარჩევნო გარემოს.

ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ ყველა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიას მიმართა წერილობითი რეკომენდაციით, რომელიც კომისიების წევრებს საქმიანობის ყველა ეტაპზე უნდა გაეთვალისწინებინათ. თამარ ჟვანიას წერილობითი რეკომენდაცია გადაეცა ყველა საოლქო საარჩევნო კომისიას, რომლებმაც, თავის მხრივ ზემოაღნიშნული საკანონმდებლო და ეთიკის ნორმების დაცვის აუცილებლობაზე მიმართეს საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს.

23 „ევროპული საქართველო“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

24 ეთიკის კოდექსს ხელი არ მოაწერეს პ/გ „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია – ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“ და ბლოკმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ მიერ ყველა დონის კომისიაში დანიშნულმა წევრებმა.

I.IV საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა კვალიფიკაციის ამაღლება

ცესკოს სწავლების ცენტრმა შეიმუშავა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგების კონცეფცია, რომლის შესაბამისად არჩევნების I ტურისთვის საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა ინსტრუქტაჟი ორ, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგები ოთხ ეტაპად ჩატარდა.

პროგრამების ხასიათიდან გამომდინარე, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს ტრენინგები ჩაუტარდათ პირისპირ შეხვედრების ფორმატში, პანდემიასთან დაკავშირებული რეკომენდაციების სრული დაცვით, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა ინსტრუქტაჟი განხორციელდა დისტანციურად.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა ინსტრუქტაჟი

საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის ინსტრუქტაჟი ორ ეტაპად ჩატარდა.

- I ეტაპი (10-16 სექტემბერი) – 63 საოლქო საარჩევნო კომისიის (20 ძირითადი და 43 დამხმარე კომისია) წევრებს ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟი ძირითადი და დამხმარე საოლქო საარჩევნო კომისიების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე. აღნიშნული ინსტრუქტაჟი ჩაატარეს საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელმა პირებმა.

- II ეტაპი (19-22 სექტემბერი) – სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა 73 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს დისტანციურად ჩაუტარეს ინსტრუქტაჟი შემდეგ საკითხებზე: საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებს შორის საქმიანობის კოორდინაცია, არჩევნების უსაფრთხო გარემოში ჩატარებასთან დაკავშირებული რეგულაციები, ამომრჩეველთა სიები, კენჭისყრის დღე და საარჩევნო ოპერაციების მართვა, კენჭისყრის შედეგების შეჯამება საოლქო საარჩევნო კომისიაში, არჩევნების სანდოობა და უსაფრთხოება.

სამუშაო შეხვედრა საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირებთან

ცესკოს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებმა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა გამართეს სამუშაო შეხვედრები საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირებთან. შეხვედრებზე განიხილეს შემდეგი საკითხები: საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებები, ინსტრუქცია ძირითადი და დამხმარე ოლქების საქმიანობის შესახებ, ფინანსები და შესყიდვები, საოლქო საარჩევნო კომისიებში საქმისწარმოების წესი, საარჩევნო დავები, ინსტრუქცია შშმ პირების არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობის შესახებ. სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 219-მა პირმა.

საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებმა ასევე გაიარეს ტრენინგი „პოზიციონირება და ეფექტური კომუნიკაცია“. ტრენინგის მონაწილეებმა განიხილეს შემდეგი საკითხები: კომუნიკაცია და კომუნიკაციის საშუალებები, ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია, ეფექტური კომუნიკაციის უნარების განვითარება, გუნდის წევრებს შორის პოზიტიური განწყობის ჩამოყალიბება. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 381-მა პირმა.

ტრენინგი საოლქო საარჩევნო კომისიებში პარტიების მიერ დასანიშნი პოტენციური წევრებისთვის

26 და 27 აგვისტოს, ცესკოს ინიციატივითა და სწავლების ცენტრის ჩართულობით გაიმართა დისტანციური ტრენინგი საოლქო საარჩევნო კომისიებში პარტიების მიერ დასანიშნი პოტენციური წევრებისთვის. ტრენინგზე განიხილეს ის საარჩევნო კანონმდებლობის საკითხები, რომელიც უკავშირდებოდა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების მიერ მათი უფლებამოსილების განხორციელებას.

ტრენინგში მონაწილება მიიღო სამი პარტიის[25] 220-მა წარმომადგენელმა.

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა სწავლება

24 სექტემბრიდან 25 ოქტომბრის პერიოდში, სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებულმა 190-მა ტრენერმა, არჩევნების I ტურისთვის, ოთხ ეტაპად ჩაატარეს ტრენინგები საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის[26]. მონაწილეთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავების მიზნით ტრენინგები განხორციელდა კომბინირებული მეთოდოლოგიის გამოყენებით.

ტრენინგის I ეტაპი (24-29 სექტემბერი) – პროფილური სასწავლო პროგრამის ფარგლებში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები (სრული შემადგენლობა) გაეცნენ შემდეგ საკითხებს: დემოკრატიული არჩევნების ჩატარების ძირითადი პრინციპები და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა როლი, მანდატი ეთიკური და სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში; საუბნო საარჩევნო კომისიის სამუშაო რეჟიმი და უფლებამოსილებები, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები; საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის კოორდინაცია; საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღემდე პერიოდში (მათ შორის, საკანონმდებლო სიახლე – ადაპტირებული საარჩევნო უბნის სპეციალურ სიაში ამომრჩეველთა შეყვანის საკითხი); ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების დაცვის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი ღონისძიებები.

ტრენინგის I ეტაპზე დასასწრებ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა – 43 844, ტრენინგზე დამსწრეთა რაოდენობა – 32 154, მათ შორის 24 986 (77.71%) ქალი და 7 168 (22.29%) კაცი. დასწრების კოეფიციენტი – 73%.

ტრენინგის II ეტაპი (7-12 ოქტომბერი) – პროფილური სასწავლო პროგრამის ფარგლებში საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების საორგანიზაციო/საზედამხედველო ფუნქციები საარჩევნო უბნის გახსნის, კენჭისყრის მიმდინარეობის, საარჩევნო უბნის დახურვისა და ხმების დათვლის პროცესში; საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების კომპეტენცია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენისა და საჯაროობის უზრუნველყოფის მიმართულებით, ასევე საოლქო საარჩევნო კომისიისთვის საარჩევნო დოკუმენტაციის გადაცემის პროცესში; ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებული კომპეტენციები (მათ შორის, საკანონმდებლო სიახლე – ადაპტირებული საარჩევნო უბნის სპეციალურ სიაში ამომრჩეველთა შეყვანის საკითხი); ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების დაცვის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი ღონისძიებები; არჩევნების უსაფრთხოების საკითხები.

25 „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ევროპული საქართველო“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“.

26 სწავლების ცენტრის ტრენერებმა ტრენინგები ჩაუტარეს 30 ძირითადი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი 3 657 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს. ცესკოს და საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებმა უზრუნველყვეს გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი 11 საუბნო საარჩევნო კომისიისა და სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი პირებისთვის შექმნილი 127 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების გადამზადება.

ტრენინგის II ეტაპზე დასასწრებ საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირთა რაოდენობა – 10 791, ტრენინგზე დამსწრეთა რაოდენობა – 9 569, მათ შორის 7 350 (76.8%) ქალი და 2 219 (23.2%) – კაცი. დასწრების კოეფიციენტი – 88.7%.

ტრენინგის III ეტაპი (13-21 ოქტომბერი) – პროფილური სასწავლო პროგრამის ფარგლებში საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები (სრული შემადგენლობა) გაეცნენ შემდეგ საკითხებს: საარჩევნო უბნის გახსნა და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შორის ფუნქციების წილისყრით განაწილება, მათ მიერ საქმიანობის განხორციელება კენჭისყრის პროცესში; ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დაცვა; კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირების უფლებრივი მდგომარეობა; საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მიერ საქმიანობის განხორციელება საარჩევნო უბნის დახურვისა და ხმის დათვლის პროცესში; კენჭისყრის შედეგების შეჯამება საუბნო საარჩევნო კომისიაში; ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების დაცვის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი ღონისძიებები.

ტრენინგის III ეტაპზე დასასწრებ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა რაოდენობა – 43 841, ტრენინგზე დამსწრეთა რაოდენობა – 30 258, მათ შორის 23 554 (77.84%) ქალი და 6 704 (22.16%) კაცი. დასწრების კოეფიციენტი – 69%.

ტრენინგის IV ეტაპი (22-25 ოქტომბერი) – ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით შეიცვალა ტრენინგების IV ეტაპის კონცეფცია და გრაფიკი. სამიზნე ჯგუფად საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირების ნაცვლად განისაზღვრა საუბნო საარჩევნო კომისიების მდივნები, რომლებიც პროფილური პროგრამის ფარგლებში გაეცნენ შემდეგ საკითხებს: კენჭისყრის შენობაში ფოტო/ვიდეო გადაღების რეგულაციები; კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შევსების წესი; კენჭისყრის დღის განცხადებები/საჩივრები; ლოჯისტიკა.

ტრენინგის IV ეტაპზე დასასწრებ საუბნო საარჩევნო კომისიების მდივნების რაოდენობა – 3 657, ტრენინგზე დამსწრეთა რაოდენობა – 3 114, მათ შორის 2 914 (93.58%) ქალი და 200 (6.42%) კაცი. დასწრების კოეფიციენტი – 85%.

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა გადამზადება არჩევნების II ტურისთვის

პარლამენტის არჩევნების II ტურისთვის ცესკოს სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული კონცეფციის შესაბამისად საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს ინსტრუქტაჟი ჩაუტარდათ ორ ეტაპად.

სწავლების ცენტრმა გადაამზადა საარჩევნო ადმინისტრაციის 115 ტრენერი, რომლებმაც განახორციელეს ინსტრუქტაჟი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის[27]. პროგრამების ხასიათიდან გამომდინარე, ინსტრუქტაჟი ჩატარდა პირისპირ შეხვედრების ფორმატში, პანდემიასთან დაკავშირებული რეკომენდაციების სრული დაცვით.

I ეტაპი (16-18 ნოემბერი) – დაეთმო საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ინსტრუქტაჟს (ცხრა წევრი თითო საუბნო საარჩევნო კომისიიდან, გარდა კომისიის ხელმძღვანელი პირებისა). მონაწილეები გაეცნენ კენჭისყრის დღეს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მიერ შესასრულებელ ფუნქციებსა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების დაცვის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელ ღონისძიებებს.

27 ტრენინგების სამიზნე აუდიტორია – 17 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში მოქმედი 1 923 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები, მათ შორის, გამონაკლის შემთხვევაში პენიტენციურ დაწესებულებებში შექმნილი ცხრა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები.

ტრენინგის I ეტაპზე დასასწრებ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა – 13 798, ტრენინგზე დამსწრეთა რაოდენობა – 7 507, მათ შორის 6 036 (80.4%) ქალი და 1 471 (19.6%) კაცი. დასწრების კოეფიციენტი – 54%.

II ეტაპი (17-19 ნოემბერი) – დაეთმო საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირების პრაქტიკულ სწავლებას. მონაწილეები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: კენჭისყრის დღეს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მიერ შესასრულებელი ფუნქციები; ამომრჩეველთა მიერ ხმის მიცემის წესი; ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხები; საარჩევნო უბნის დახურვა, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ფუნქციები საარჩევნო ბიულეტენების დახარისხება/დათვლა/დალუქვის პროცესში; კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენა და საჯაროობა; კენჭისყრის დღის განცხადება/საჩივრებთან დაკავშირებით საკანონმდებლო რეაგირების მექანიზმები; კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის წარმოება; ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების დაცვის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი ღონისძიებები.

ტრენინგის II ეტაპზე დასასწრებ საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირების რაოდენობა – 5 720, ტრენინგზე დამსწრეთა რაოდენობა – 4 134, მათ შორის 3 312 (80%) ქალი და 822 (20%) კაცი. დასწრების კოეფიციენტი – 72%.

ტრენინგი – „საარჩევნო დავების განხილვა – ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები“

6 და 7 აგვისტოს ცესკოსა და სწავლების ცენტრთან თანამშრომლობით, საქართველოში ევროპის საბჭოს (CoE) ოფისმა, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ჩართულობით, ჩაატარა ტრენინგი „საარჩევნო დავების განხილვა – ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს ცესკოს იურიდიული, შიდა აუდიტის და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტებისა და სწავლების ცენტრის თანამშრომლებმა. შეხვედრაზე განხილულ იქნა საარჩევნო დავებზე სამართალწარმოების გაუმჯობესების პრაქტიკული ასპექტები, ევროპის საბჭოს სტანდარტები და აშშ-ის პრეცედენტული სამართლის პრაქტიკა. გადამზადებულმა ტრენერებმა საარჩევნო დავების შესახებ ტრენინგები ჩაუტარეს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს.

ტრენინგი ავღანეთში არჩევნების უზრუნველყოფისთვის შექმნილი სპეციალური ჯგუფის წევრებისთვის

4 ოქტომბერს, სწავლების ცენტრმა ჩაატარა დისტანციური ტრენინგი ავღანეთში ბაგრამისა და მაზარი-შარიფის საარჩევნო უბნებზე შექმნილი სპეციალური ჯგუფების წევრებისთვის. ტრენინგზე განიხილეს შემდეგი საკითხები: საარჩევნო უბნის გახსნა და კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურები; კენჭისყრის დღეს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მიერ შესასრულებელი ფუნქციები; ხმის მიცემის წესი; ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხები; საარჩევნო უბნის დახურვა, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ფუნქციები საარჩევნო ბიულეტენების დახარისხება/დათვლა/დალუქვის პროცესში; კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენა და საჯაროობა; კენჭისყრის დღის განცხადება/საჩივრები; პანდემიის პირობებში არჩევნების უსაფრთხო გარემოში ჩატარებასთან დაკავშირებული რეგულაციები.

ტრენინგში მონაწილეობა მიიღო სპეცჯგუფების 17-მა წევრმა, მათ შორის ექვსი (35%) ქალი და 11 (65%) კაცი.

საინფორმაციო/სასწავლო მასალები

პარლამენტის არჩევნებისთვის ცესკომ და სწავლების ცენტრმა შეიმუშავეს შემდეგი საინფორმაციო/სასწავლო მასალები:

- საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ (ქართული, ინგლისური);
- ერთგვაროვანი პრაქტიკა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდებისა და ვადაზე ადრე მოხსნის შესახებ (ქართული, ინგლისური);
- საარჩევნო დავების სახელმძღვანელო (ქართული, ინგლისური);
- საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია (ქართული, ინგლისური);
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია (ქართული, ქართული/აზერბაიჯანული, ქართული/სომხური, ინგლისური);
- კენჭისყრის დღის პროცედურები (ქართული, ინგლისური);
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სამახსოვრო ინსტრუქცია (ქართული, ქართული/აზერბაიჯანული, ქართული/სომხური);
- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის უფლებამოსილებანი კენჭისყრის დღეს (ქართული, ქართული/აზერბაიჯანული, ქართული/სომხური);
- ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის ფუნქციები (ქართული, ქართული/აზერბაიჯანული, ქართული/სომხური);
- ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის ფუნქციები (ქართული, ქართული/აზერბაიჯანული, ქართული/სომხური);
- საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის ფუნქციები (ქართული, ქართული/აზერბაიჯანული, ქართული/სომხური);
- გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები კომისიის წევრის ფუნქციები (ქართული, ქართული/აზერბაიჯანული, ქართული/სომხური);
- საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების ინსტრუქცია არჩევნების უსაფრთხოების შესახებ (ქართული, ქართული/აზერბაიჯანული, ქართული/სომხური);
- საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვის ამსახველი პოსტერი (ქართული, ქართული/აზერბაიჯანული, ქართული/სომხური);
- საარჩევნო უბანზე ფოტო/ვიდეო გადაღების რეგულაციების ამსახველი პოსტერი (ქართული);
- კოვიდ რეგულაციების გათვალისწინებით ხმის მიცემის პროცედურის ამსახველი პოსტერი ამომრჩევლებისთვის (ქართული, ქართული/აზერბაიჯანული, ქართული/სომხური);
- კენჭისყრის შენობაში შესვლის/გამოსვლის და შენობაში ყოფნის/გადაადგილებისას დასაცავი სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების შესახებ პოსტერი საარჩევნო უბანზე ყოფნის უფლების მქონე პირებისთვის (ქართული, ქართული/აზერბაიჯანული, ქართული/სომხური).

აღსანიშნავია, რომ საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციები ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, ხოლო საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის – ინგლისურ ენაზე.

I.V საარჩევნო რეგისტრაციები

საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია/რეგისტრაციის გაუქმება

პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით ცესკოს თავმჯდომარეს განცხადებით მიმართა 78-მა პარტიამ[28], აქედან 23 პარტიას სხვადასხვა მიზეზების გამო უარი ეთქვა რეგისტრაციაზე/გაუუქმდა რეგისტრაცია. საარჩევნო ბლოკების შექმნის მიზნით, ცესკოს თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებული შვიდი პარტიის განცხადებებისა და წესდების, ცესკოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ შემოწმებისა და ცესკოს თავმჯდომარისთვის დასკვნის წარდგენის შემდეგ, ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით რეგისტრაციაში გატარდა ორი საარჩევნო ბლოკი.

შესაბამისად, არჩევნებისთვის ცესკოში რეგისტრირებული იყო 50 საარჩევნო სუბიექტი, მათ შორის 48 პარტია და ორი საარჩევნო ბლოკი. ასევე, საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარის მიერ დარეგისტრირდა 11 ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი, ხოლო 11-ს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე. დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართში (6).

პარტიული სიების რეგისტრაცია

რეგისტრაციაში გატარდა 50 საარჩევნო სუბიექტის პარტიული სია. სულ პარტიული სიით წარდგენილი იყო 6 882 კანდიდატი, მათ შორის 3 049 (44.30%) ქალი და 3 833 (55.70%) კაცი.

აღნიშნულ პარტიულ სიებში დაცული იყო საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 203-ე მუხლის მე-2 პუნქტითა და საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული მოთხოვნა, რომლის მიხედვით პარტიული სიის ყოველ ოთხეულში ერთი პირი მაინც იყო ქალი.

მაჟორიტარი კანდიდატების რეგისტრაცია

პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით დარეგისტრირდა 490 მაჟორიტარი კანდიდატი, მათ შორის 107 (21.84%) ქალი და 383 (78.16%) კაცი. აქედან, პარტიების/ბლოკების მიერ წარდგენილი იყო 479 მაჟორიტარი კანდიდატი, მათ შორის 105 (21.92%) ქალი და 374 (78.08%) კაცი და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი 11 კანდიდატი, მათ შორის ორი (18.18%) ქალი და ცხრა (81.82%) კაცი.

პარლამენტის არჩევნების II ტურში, 17 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში მონაწილეობას იღებდა საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი, ჯამში ექვსი[29] საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი 34 კანდიდატი.

28 საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის პარტიების რეგისტრაციის პროცესი განხორციელდა 2020 წლის 29 ივნისს მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების შესაბამისად.

29 „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია – ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ალეკო ელისაშვილი – მოქალაქეები“, საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია”, „გირჩი“, „შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია“.

საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები

პარლამენტის არჩევნების I ტურისთვის ცესკოში, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში დაინიშნა პარტიების, ბლოკებისა და კანდიდატების 80 818 წარმოდგენელი, მათ შორის ცესკოს თავმჯდომარის განკარგულების საფუძველზე ცესკოში რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტების 55 წარმომადგენელი, ცესკოს მდივნის განკარგულების საფუძველზე საოლქო საარჩევნო კომისიებში რეგისტრირებული 50 საარჩევნო სუბიექტის 1 957 წარმომადგენელი, საოლქო საარჩევნო კომისიების მდივნების განკარგულების საფუძველზე საუბნო საარჩევნო კომისიებში რეგისტრირებული იყო 78 806 წარმომადგენელი.

არჩევნების II ტურში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდათ II ტურის შედეგების გასაჩივრების ვადების ამოწურვამდე.

საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრის განსაზღვრა

19 სექტემბერს ცესკოში გამართულ სხდომაზე ჩატარდა საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრების წილისყრით განსაზღვრის პროცედურები და განისაზღვრა პარლამენტის, მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე და საკრებულოების შუალედური არჩევნებისთვის საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრები. წილისყრის პროცედურა ჩატარდა კანონმდებლობით შესაძლებელ უადრეს ვადაში არჩევნების დღემდე 42 დღით ადრე.

ამასთან, ცესკომ, საარჩევნო სუბიექტების საქმიანობისთვის მაქსიმალურად ხელშეწყობის მიზნით, მიიღო განკარგულება[30], რომლის თანახმად პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს მიეცათ შესაძლებლობა სამივე ტიპის არჩევნებში გამოეყენებინათ მათთვის მინიჭებული რიგითი ნომერი ან ის რიგითი ნომერი, რითაც მონაწილეობას იღებდნენ ბოლო საერთო მუნიციპალიტეტის არჩევნებში.

პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით, იმ პერიოდისთვის რეგისტრირებული 58 პარტიისა და ორი საარჩევნო ბლოკიდან წილისყრის პროცესში მონაწილეობა მიიღო 47-მა საარჩევნო სუბიექტმა. 13-მა საარჩევნო სუბიექტმა, კანონმდებლობის თანახმად, წილისყრის პროცედურის გარეშე შეინარჩუნა რიგითი ნომერი.

კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, საოლქო საარჩევნო კომისიებში ჩატარდა წილისყრის პროცედურები და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფებს განესაზღვრათ რიგითი ნომრები.

ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების რეგისტრაცია

საარჩევნო პროცესზე დაკვირვების მიზნით საარჩევნო ადმინისტრაციაში რეგისტრირებული იყო სულ 132 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია. ცესკოს სულ მომართა 132-მა ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ, მათგან 12-ს, სხვადასხვა მიზეზების გამო უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, შესაბამისად ცესკოში დარეგისტრირდა 120. ცესკოში რეგისტრირებული 120 ორგანიზაციიდან 115-მა დაარეგისტრირა 46 577 დამკვირვებელი. ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიებში რეგისტრირებული იყო 12 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია, რომლებმაც დაარეგისტრირეს 404 დამკვირვებელი.

ცესკოში რეგისტრირებული იყო 48 საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია, მათ შორის ხუთი ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაცია, 20 ქვეყნის საელჩო და 23 საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლებმაც ჯამში დაარეგისტრირეს 910 საერთაშორისო დამკვირვებელი.

30 ცესკოს 2020 წლის 19 სექტემბრის №163/2020 განკარგულება.

არჩევნების II ტურში რეგისტრირებულ დამკვირვებელ ორგანიზაციებსა და მათ რეგისტრირებულ დამკვირვებლებს უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდათ II ტურის შედეგების გასაჩივრების ვადების ამოწურვამდე. მათ ჰქონდათ არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-5 დღისა ცვლილებების შეტანისა და დამკვირვებლების დამატების უფლება.

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლების აკრედიტაცია

ის არჩევნებისთვის აკრედიტაცია გაიარა ცესკოში აკრედიტებული 118 მედია ორგანიზაციის 6 016-მა წარმომადგენელმა, აქედან ცესკოში აკრედიტაცია გაიარა
104 მედიასაშუალების 5 941-მა წარმომადგენელმა, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიებში
14 მედიასაშუალების 75-მა წარმომადგენელმა.

ცესკოსა და შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში აკრედიტებული მედია ორგანიზაციების წარმომადგენლებს აკრედიტაციის ვადა გაუგრძელდათ არჩევნების II ტურის საბოლოო შედეგების გამოცხადების დღის ჩათვლით. მათ ჰქონდათ არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-5 დღისა ცვლილებების შეტანისა და წარმომადგენლების დამატების უფლება.

ელექტრონული რეგისტრაციების პროგრამა

26 აგვისტოს, ცესკოში გაიმართა შეხვედრა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან ელექტრონული რეგისტრაციების პროგრამის შესახებ. ცესკოს თავმჯდომარემ შეხვედრის მონაწილეებს გააცნო საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განხორციელებული ცვლილებები და ის აქტივობები, რომლებსაც საარჩევნო ადმინისტრაცია ახორციელებდა საარჩევნო სუბიექტებისთვის არჩევნებში მონაწილეობის პროცედურების გასამარტივებლად. შეხვედრის მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია საარჩევნო სუბიექტების მიერ ელექტრონული საშუალებებით წარმომადგენელთა დანიშვნის შესახებ განცხადებების წარდგენისა და რეგისტრაციის პირობების, პარტიული სიების წარდგენის წესის, პარლამენტის წევრობის კანდიდატების რეგისტრაციისთვის საჭირო ცნობების წარმოდგენის პირობების, ასევე პარლამენტის წევრობის კანდიდატებისთვის თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის ფორმის შევსების ინსტრუქციის შესახებ.

აღნიშნული სერვისების დანერგვა და განვითარება საარჩევნო ადმინისტრაციამ ჯერ კიდევ პანდემიამდე დაიწყო და საარჩევნო პერიოდში, პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების შემოღების შემდეგ, უკვე სავსებით შესაძლებელი გახადა საარჩევნო რეგისტრაციების პროცედურების შეუფერხებლად განხორციელება ონლაინ რეჟიმში.

ცესკოში რეგისტრირებულმა 50 საარჩევნო სუბიექტიდან 46-მა ისარგებლა ელექტრონული რეგისტრაციის პროგრამით და ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიებში დაარეგისტრირა საარჩევნო სუბიექტების 2 008, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიებში – 78 773 წარმომადგენელი.

ოთხმა უფლებამოსილმა პარტიამ ელექტრონული რეგისტრაციების პროგრამით საოლქო საარჩევნო კომისიებში დანიშნა 438 დროებითი წევრი და საუბნო საარჩევნო კომისიების 22 859 წევრი.

რეგისტრირებული 120 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციიდან დამკვირვებლების რეგისტრაცია განახორციელა 115-მა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ, მათ შორის
114-მა დაარეგისტრირა 46 493 ადგილობრივი დამკვირვებელი.

ცესკოში რეგისტრირებული 48 საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციიდან ელექტრონული პროგრამით ისარგებლა ექვსმა ორგანიზაციამ და რეგისტრაცია გაიარა 240-მა საერთაშორისო დამკვირვებელმა.

ცესკოში აკრედიტებული 104 მედიასაშუალების წარმომადგენლიდან 12-მა ისარგებლა ელექტრონული რეგისტრაციის პროგრამით და აკრედიტაცია გაიარა 3 924-მა წარმომადგენელმა.

I.VI ამომრჩეველთა ერთიანი სია

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ცესკომ დაამუშავა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს დაზვერვის სამსახურის, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, სოციალური მომსახურების სააგენტოსა და კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისმგებელი სხვა უწყებების მიერ გადმოცემული მონაცემები.

პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, რეგისტრაციიდან მოხსნილი ამომრჩევლები ან ამომრჩევლები, რომელთა რეგისტრაციაც ძალადაკარგულად გამოცხადდა, ამომრჩეველთა ერთიან სიაში შედიოდნენ ბოლო რეგისტრაციის ან ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართის მიხედვით. რაც შეეხება მისამართის გარეშე რეგისტრირებულ პირებს, ისინი ამომრჩეველთა ერთიან სიაში შედიოდნენ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში არსებული ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საარჩევნო კოდექსის 184-ე მუხლით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

ცესკოში გამართულ შეხვედრაზე ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიას იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარემ და პროექტის „საარჩევნო სიების სრულყოფა“ მენეჯერმა გადასცეს 15 ოქტომბრის მდგომარეობით არსებული პოტენციური ამომრჩევლების, საარჩევნო ასაკის მქონე პირთა მონაცემთა ბაზა.

პარლამენტის არჩევნების I ტურისთვის ერთიან სიაში ამომრჩეველთა რაოდენობა შეადგენდა 3 511 338-ს, მათ შორის 1 882 257 (53.6%) ქალი და 1 629 596 (46.4%) კაცი.

არჩევნების II ტურისთვის სააგენტოს მიერ ცესკოსთვის მოწოდებული იქნა მონაცემები საქართველოს იმ მოქალაქეთა შესახებ, რომლებსაც I ტურის შემდეგ შეუსრულდათ ან II ტურის ჩატარების დღეს შეუსრულდებოდათ 18 წელი, აგრეთვე ინფორმაცია იმავე პერიოდში გარდაცვლილ პირთა შესახებ.

პარლამენტის არჩევნების II ტურისთვის, 17 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობა შეადგენდა 2 140 210-ს, მათ შორის 1 171 535 (54.74%) ქალი და 968 675 (45.26%) კაცი.

ამომრჩეველთა განახლებული სიების საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ვერსია ხელმისაწვდომი იყო საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიებისთვის, საარჩევნო ბლოკების, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფებისთვის, საარჩევნო კანონმდებლობით განსაზღვრული დამკვირვებელი ორგანიზაციებისა და ამომრჩევლებისთვის.

28 ოქტომბერს, ცესკომ განკარგულებით[31] დაამტკიცა ამომრჩეველთა სპეციალური სიები, სულ 12 762 ამომრჩეველი, რომლის მიხედვით თვითიზოლაციაში მყოფ ამომრჩეველთა რაოდენობა შეადგენდა 3 695-ს, ხოლო სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და საკარანტინო სივრცეებში მყოფი ამომრჩევლების (მათ შორის სამედიცინო პერსონალი) რაოდენობა 7 150-ს. რაც შეეხება სპეციალური ჯგუფების წევრებს, რომლებიც ემსახურებოდნენ იზოლაციაში მყოფ ამომრჩევლებს, ასევე საარჩევნო სუბიექტების, სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებს, რომლებიც პროცესს აკვირდებოდნენ და იმავდროულად შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ კენჭისყრაში მონაწილეობა, მათი რაოდენობა შეადგენდა 1 917-ს.

31 ცესკოს 2020 წლის 28 ოქტომბრის №354/2020 განკარგულება.

18 ნოემბერს, არჩევნების II ტურისთვის ცესკომ განკარგულებით[32] დაამტკიცა ამომრჩეველთა სპეციალური სიები, სულ 4 095 ამომრჩეველი, რომლის მიხედვით თვითიზოლაციაში მყოფ ამომრჩეველთა რაოდენობა შეადგენდა 984-ს, ხოლო სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და საკარანტინო სივრცეებში მყოფი ამომრჩევლების (მათ შორის სამედიცინო პერსონალი) რაოდენობა 2 525-ს. რაც შეეხება სპეციალური ჯგუფების წევრებს, რომლებიც ემსახურებოდნენ იზოლაციაში მყოფ ამომრჩევლებს, ასევე საარჩევნო სუბიექტების, სადამკვირვებლო ორგანიზაციების და მედიის წარმომადგენლებს, რომლებიც პროცესს აკვირდებოდნენ და იმავდროულად შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ კენჭისყრაში მონაწილეობა, მათი რაოდენობა შეადგენდა 486-ს.

ამომრჩეველთა ერთიან სიაში პირადი და ოჯახის წევრების მონაცემების გადამოწმება

ამომრჩეველთა ერთიან სიაში პირადი და ოჯახის წევრების მონაცემები და საარჩევნო უბნის ადგილმდებარეობა, საანგარიშო პერიოდში ცესკოს მიერ შეთავაზებული სერვისებით, ამომრჩევლებმა გადაამოწმეს 2 191 253-ჯერ, აქედან: 2 139 819-მა – ცესკოს ვებგვერდის voters.cec.gov.ge საშუალებით, 24 453-მა სწრაფი გადახდის ტერმინალით, 26 981-მა – Android და iOS ოპერაციული სისტემის გამოყენებით.[33]

32 ცესკოს 2020 წლის 18 ნოემბრის №379/2020 განკარგულება.

33 „საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან საუბარში დაინტერესებული მხარეების უმრავლესობას ამომრჩეველთა სიის სიზუსტესთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი შენიშვნები არ გამოუხატავს. ამომრჩევლებს საკუთარი რეგისტრაციის გადამოწმების და მონაცემებში ცვლილებების შეტანის მოთხოვნის მრავალი შესაძლებლობა გააჩნდათ.“ 2020 წლის 31 ოქტომბერი, მოხსენება წინასწარი მიგნებების და დასკვნების შესახებ. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის შემადგენლობა: ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა (OSCE PA), ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა (PACE) და ნატოს საპარლამენტო ასამბლეა (NATO PA).

I.VII საარჩევნო და სამოქალაქო საგანმანათლებლო პროგრამები

ცესკომ და სწავლების ცენტრმა განახორციელეს საარჩევნო სამოქალაქო განათლების ოთხი პროგრამა, რომლებშიც საერთო ჯამში მონაწილეობა მიიღო 7 512-მა პირმა.

საგანმანათლებლო პროექტები განახორციელეს სპეციალურად მომზადებულმა საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებმა და საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერებმა. სასწავლო კურსის მიმდინარეობისას დაცული იყო პანდემიასთან დაკავშირებული ყველა რეკომენდაცია. საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეთა სტატისტიკური მონაცემები იხილეთ ცხრილში (1).

ცხრილი 1.

პროექტის დასახელება	მონაწილეთა რაოდენობა	ქალი	კაცი	განხორციელების არეალი
საარჩევნო განვითარების სკოლა	179	119 (66%)	60 (34%)	8 მუნიციპალიტეტი
	399	265 (66%)	134 (34%)	თბილისი და 24 მუნიციპალიტეტი
ახალგაზრდული ბანაკები	148	73 (49%)	75 (51%)	
საარჩევნო სამართალი	370	239 (65%)	131 (35%)	თბილისი და 5 მუნიციპალიტეტი (8 უნივერსიტეტი)
საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები – საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისთვის	6 416	5 109 (80%)	1 307 (20%)	64 მუნიციპალიტეტი

აღსანიშნავია, რომ 2019-2020 წლებში საგანმანათლებლო პროგრამების (საარჩევნო განვითარების სკოლა, ადმინისტრატორის კურსები, ახალგაზრდული ბანაკები) კურსდამთავრებულებიდან პარლამენტის არჩევნებზე საარჩევნო უბნებზე დასაქმებული პირებიდან „საარჩევნო განვითარების სკოლა“ გავლილი ჰქონდა – 169, „ახალგაზრდული ბანაკები“ – ოთხ და „ადმინისტრატორის კურსები“ – 9 841 პირს.

სასწავლო პროგრამა უნივერსიტეტებში

ცესკოს, სწავლების ცენტრსა და უნივერსიტეტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში რვა უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებელში[34] დისტანციურად განხორციელდა სწავლების ცენტრის საავტორო პროგრამა საარჩევნო სამართლის დარგში.

სასწავლო კურსი გაიარა 370-მა სტუდენტმა, მათ შორის 239 (65%) ქალი და 131 (35%) კაცი. მათ შორის პროგრამაში მონაწილეობა მიიღო ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონში მოქმედი ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტის 11-მა სტუდენტმა, მათ შორის ცხრა (81.82%) ქალი და ორი (18.18%) კაცი.

34 სემესტრული სწავლება ჩატარდა შემდეგ უნივერსიტეტებში: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ცესკოს ინოვაციური საგანმანათლებლო პროექტი „ახალგაზრდული ბანაკები“

16-21 ივლისის პერიოდში ცესკომ განახორციელა ახალი საგანმანათლებლო საარჩევნო პროექტი „ახალგაზრდული ბანაკები“. საპილოტე პროექტის მიზანი იყო არჩევნების პოპულარიზაცია, მონაწილეთა ინტერესის გაზრდა საარჩევნო პროცესებისადმი, ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება მოქალაქეობრივი უფლებებისა და საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესახებ. სასწავლო კურსი, დაბა ბაკურიანში, გაიარეს 21-29 წლის ახალგაზრდებმა. სასწავლო კურსი ჩაატარეს საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერებმა და მოწვეულმა ექსპერტებმა.

„ახალგაზრდული ბანაკების“ მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: დემოკრატიული პრინციპები, საარჩევნო სისტემები, საარჩევნო პროცედურები, არჩევნების ისტორია, საარჩევნო ადმინისტრაციის მოდელები, ინკლუზიური საარჩევნო გარემო, გამჭვირვალობის პრინციპი, ეთიკური სტანდარტები, გენდერული თანასწორობა, არჩევნების უსაფრთხოება, კრიზისების მართვა.

პროექტში მონაწილეობა მიიღო 148-მა ახალგაზრდამ, მათ შორის 73 (49.32%) ქალი და 75 (50.68%) კაცი.

პროექტი – „საარჩევნო განვითარების სკოლა“

2020 წელს ცესკომ და სწავლების ცენტრმა, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით, პროექტი „საარჩევნო განვითარების სკოლა“ პირველად ჩაატარა ორჯერ, ზამთარსა და ზაფხულში. სასწავლო კურსის პროგრამას დაემატა სამი ახალი მოდული: ხმის მიცემის ელექტრონული საშუალებები, არჩევნები და კვლევები, დეზინფორმაცია და ყალბი ცნობების გავრცელება საარჩევნო პერიოდში. სასწავლო კურსი განახორციელეს სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებულმა საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებმა, ცესკოსა და სწავლების ცენტრის თანამშრომლებმა. სასწავლო კურსი 18-25 წლის ახალგაზრდებმა გაიარეს.

პროექტის I ეტაპი (17-28 თებერვალი) განხორციელდა რვა მუნიციპალიტეტის[35] 10 ჯგუფში. პროექტში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 254-მა პირმა, ხოლო კურსი წარმატებით დაასრულა და სერტიფიკატი მიიღო 179-მა მონაწილემ, მათ შორის 119 (66%) ქალი და 60 (34%) კაცი. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ ახალციხის მუნიციპალიტეტში სასწავლო კურსი წარმატებით გაიარა და სერტიფიკატი მიიღო ახალციხეში მცხოვრებმა 20-მა მონაწილემ, მათ შორის 18 (90%) ქალი და ორი (10%) კაცი.

პროექტის II ეტაპი (3-14 აგვისტო) განხორციელდა ქ. თბილისსა და 24 მუნიციპალიტეტში.[36] სწავლების ბოლო დღეს ახალგაზრდებმა ტრენერების დახმარებით ჩაატარეს იმიტირებული კენჭისყრის პროცესი. პროექტის II ეტაპში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 625-მა აპლიკანტმა, ხოლო კურსი წარმატებით დაასრულა და სერტიფიკატი მიიღო 399-მა მონაწილემ, მათ შორის 265 (66%) ქალი და 134 (34%) კაცი. კურსი ჩატარდა ასევე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ სამ მუნიციპალიტეტში. სასწავლო კურსი წარმატებით გაიარა და სერტიფიკატი მიიღო ეთნიკური უმცირესობების 49 წარმომადგენელმა, მათ შორის 33 (67.35%) ქალი და 16 (32.65%) კაცი.

35 პროექტის I ეტაპი განხორციელდა რვა მუნიციპალიტეტში: თბილისი, თელავი, რუსთავი, გორი, ახალციხე, ქუთაისი, ზუგდიდი და ბათუმი.

36 სასწავლო კურსის ჩატარება დაგეგმილი იყო ქ. თბილისსა და 25 მუნიციპალიტეტში, თუმცა ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, სასწავლო კურსი გარდაბანში ვერ განხორციელდა. პროექტის II ეტაპი განხორციელდა ქ. თბილისსა და 24 მუნიციპალიტეტში: გურჯაანი, სიღნაღი, თელავი, ახმეტა, რუსთავი, გარდაბანი, მარნეული, დუშეთი, ახალგორი (წეროვანი, დევნილთა დასახლება), გორი, ხაშური, ბორჯომი, ახალციხე, ამბროლაური, საჩხერე, ზესტაფონი, სამტრედია, ხონი, ქუთაისი, ოზურგეთი, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ბათუმი და ქობულეთი.

აღსანიშნავია, რომ პარლამენტის არჩევნებისთვის პროექტის „საარჩევნო განვითარების სკოლის“ 34 მონაწილე დასაქმდა შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე და ტექნიკურ და ადმინისტრაციულ დახმარებას უწევდა სხვადასხვა საოლქო საარჩევნო კომისიას.

პროექტი „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები – საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისთვის“

16-31 ივლისის პერიოდში, 64 მუნიციპალიტეტში განხორციელდა სასწავლო პროექტი „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები – საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისთვის“. სასწავლო კურსი ჩაატარეს სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებულმა საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებმა და საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერმა (157 ტრენერი). პროფილური სასწავლო პროგრამის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ კენჭისყრის დღის პროცედურებსა და საუბნო საარჩევნო კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს.

სასწავლო პროექტში მონაწილეობისთვის 73 საოლქო საარჩევნო კომისიაში შემოვიდა 11 414 განაცხადი. სასწავლო კურსი გაიარა 7 104-მა მონაწილემ, ხოლო კურსის წარმატებით დასრულების სერტიფიკატი მიიღო 6 416-მა მოქალაქემ, მათ შორის 5 109 (80%) ქალი და 1 307 (20%) კაცი. პროექტი განხორციელდა ასევე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით დასახლებულ 13 მუნიციპალიტეტში[37], კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ სერტიფიკატი მიიღო 1 078-მა პირმა, მათ შორის 693 (64.29%) ქალი და 385 (35.71%) კაცი.

37 საგარეჯო, ახმეტა, ლაგოდეხი, თელავი, გარდაბანი, მარნეული, ბოლნისი, დმანისი, წალკა, თეთრიწყარო, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა.

I.VIII ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა

ეთნიკური უმცირესობები

პარლამენტის არჩევნებისთვის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მაჟორიტარულ ოლქებში შექმნილი იყო 348 საარჩევნო უბანი, მათ შორის:

- ქართულ/აზერბაიჯანული – 211;
- ქართულ/სომხური – 133;
- ქართულ/სომხურ/აზერბაიჯანული – ოთხი.

აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ითარგმნა ცესკოს მიერ მომზადებული ვიდეორგოლები, მათ შორის ვიდეორგოლი ეთნიკური უმცირესობებისთვის შეთავაზებული სერვისების შესახებ და სახელმძღვანელო ინსტრუქციები საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის. როგორც სომხურ, ისე აზერბაიჯანულ ენებზე მომზადდა და გავრცელდა საინფორმაციო ფლაერები. გარდა ამისა, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა ბეჭდური გამოცემა საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით და განთავსდა გაზეთებში „ვრასტანი“ და „გურჯისტანი“.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს საარჩევნო საკითხებზე ინფორმაციის მიღება შეეძლოთ ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრში დასაქმებული აზერბაიჯანულ და სომხურენოვანი ოპერატორებისგან.

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ ამომრჩევლებს ჰქონდათ ამომრჩეველთა ერთიან სიაში პირადი მონაცემების სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე გადამოწმების შესაძლებლობა. მონაცემების გადამოწმება შესაძლებელი იყო ცესკოს ვებგვერდის, მობილურის, პლანშეტისა და სწრაფი გადახდის აპარატის საშუალებით.

ცესკოს ვებგვერდზე ბანერში „ეთნიკური უმცირესობები“ განთავსებული იყო სხვადასხვა საარჩევნო ინფორმაცია სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

შეხვედრა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებთან

8 სექტემბერს პროექტის „ეროვნული უმცირესობები პოლიტიკურ პროცესებში – ჩართულობა უკეთესი მომავლისთვის“ ფარგლებში გაიმართა შეხვედრა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებთან. ცესკოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი შარაბიძემ და კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსმა სოფიო სიჭინავამ მონაწილეებს მიაწოდეს ინფორმაცია პარლამენტის არჩევნების, საარჩევნო პროცედურებისა და ცესკოს მიერ ეთნიკური უმცირესობების მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის შესახებ. პროექტი განხორციელდა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის (რონდელის ფონდი) მიერ, ეროვნული უმცირესობების საკითხებზე ეუთოს უმაღლესი კომისრის ოფისის მხარდაჭერით.

ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრა

21 ოქტომბერს, გაიმართა დისტანციური შეხვედრა ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის წევრებთან პარლამენტის არჩევნებისთვის ეთნიკური უმცირესობების მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა სოფიო სიჭინავამ შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების, ეთნიკური უმცირესობების არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფისა და საგრანტო კონკურსების

შესახებ. შეხვედრის მონაწილეებს ასევე მიაწოდეს ინფორმაცია პანდემიის პირობებში არჩევნების ჩატარებისა და კენჭისყრის დღის ეპიდემიოლოგიური პროტოკოლის და სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი ამომრჩევლების კენჭისყრაში მონაწილეობისთვის განსაზღვრული რეგულაციების შესახებ.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები

არჩევნების ორივე ტურის კენჭისყრის დღეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის საარჩევნო უბანზე ხელმისაწვდომი იყო შემდეგი სერვისები: ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებისთვის – ადაპტირებულ საარჩევნო უბნებზე ხმის მიცემის სპეციალური კაბინა, მცირემხედველი ამომრჩევლებისთვის – ორი ცალი გამადიდებელი ლინზა. ამომრჩევლებისთვის ყველა საარჩევნო უბანზე გამოკრული იყო კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველი პოსტერი.

უსინათლო ამომრჩევლებისთვის ცესკომ შეიმუშავა საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა განსხვავებული ფორმატით. ჩარჩო/ფორმის ცვლილება განაპირობა პარლამენტის არჩევნებისთვის რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტების რაოდენობის ზრდამ. კენჭისყრის დღეს გამოიყენებოდა ორი სახის ჩარჩო-ფორმა: ერთი – მხოლოდ პროპორციული ბიულეტენისთვის და მას ჰქონდა 50 ჭრილი და მეორე – ყველა დანარჩენი სახის ბიულეტენისთვის და მას ჰქონდა 30 ჭრილი. ორივე ჩარჩო/ფორმა გამოიყენებოდა როგორც ქართულ, ისე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებისთვის დამზადებული ბიულეტენებისთვის.

პარლამენტის არჩევნებისთვის საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილების[38] შესაბამისად, განისაზღვრა ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველთა არჩევნებში მონაწილეობის დროებითი წესი. ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით, ცესკომ დაამზადა ვიდეორგოლი აღნიშნული ცვლილების შესახებ, რომელიც გადიოდა ეთერში 25-30 სექტემბრის და 17-21 ოქტომბრის პერიოდში. აღნიშნული სერვისით ისარგებლა და საარჩევნო უბნის ცვლილება მოითხოვა ეტლით მოსარგებლე 14-მა პირმა.

საქართველოს მასშტაბით, ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებისთვის მისაწვდომი იყო 1 134 საარჩევნო უბანი (მარტივი ადაპტაცია – 239, პანდუსი – 895). ცესკოს ვებგვერდზე ბანერში „საარჩევნო რუკა“ განთავსდა დეტალური ინფორმაცია საარჩევნო უბნების შესახებ, მათ შორის დასურათებულ ფორმატში.[39]

ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის, ცესკოს მიერ ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით მომზადებული ვიდეორგოლები უზრუნველყოფილი იყო სურდოთარგმანით, ასევე ცესკოს საინფორმაციო ბრიფინგები პირდაპირ ეთერში შუქდებოდა სურდოთარგმანის თანხლებით.

ყრუ და სმენადაქვეითებულ ამომრჩეველს ცესკოს ვებგვერდზე რეგისტრაციის გავლის შემდეგ შეეძლოთ ინფორმაციის მიღება ვიდეო ზარის საშუალებით ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორისგან.

ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებგვერდები სრულად მისაწვდომი იყო უსინათლო და მცირემხედველი პირებისთვის.

ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრში ოპერატორის პოზიციაზე დასაქმებული იყო ორი შშმ პირი, რომლებმაც გაიარეს ინტენსიური სწავლება.

38 საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მუხლი 200.
39 ცესკოს ვებგვერდზე იხილეთ ბანერი „საარჩევნო რუკა“ https://map.cec.gov.ge/.

ცესკომ, სწავლების ცენტრთან და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით შეიმუშავა ელექტრონული სასწავლო კურსი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობა“. კურსის მიზანი იყო საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება შშმ ამომრჩევლებთან საუბრის ეტიკეტის, ქცევის ნორმებისა და არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობისთვის დანერგილი სერვისების შესახებ.

შშმ პირთა საკითხებზე გამართული შეხვედრები

საანგარიშო პერიოდში გაიმართა სამი შეხვედრა ცესკოში შექმნილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფის წევრებთან.

9 ოქტომბერს, ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია პარლამენტის არჩევნებისთვის შშმ პირთა მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის შესახებ. სამუშაო ჯგუფის წევრებს წარედგინა პრეზენტაცია ელექტრონული სასწავლო კურსის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობა“ შესახებ.

18 ოქტომბერს, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა სოფიო სიჭინავამ ჯგუფის წევრებს წარუდგინა უსინათლო ამომრჩევლების არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის მიღების მიზნით მომზადებული საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა. სამუშაო ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს ჩარჩო/ფორმის დამზადების ტექნიკურ საკითხებზე და წარადგინეს რეკომენდაციები.

23 ოქტომბერს, უსინათლო ამომრჩევლებისთვის, ხოლო 24 ოქტომბერს ყრუ ამომრჩევლებისთვის გაიმართა დისტანციური შეხვედრები. შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია ცესკოს მიერ პარლამენტის არჩევნებისთვის შშმ პირებისთვის მისაწვდომი სერვისებისა და კენჭისყრის დღის ეპიდემიოლოგიური პროტოკოლის შესახებ.

საინფორმაციო-სასწავლო კურსი პოტენციური კანდიდატი ქალებისთვის

29 სექტემბერს, სწავლების ცენტრმა დისტანციურად განახორციელა საინფორმაციო-სასწავლო კურსი „ქალთა შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა პასიური საარჩევნო უფლების განსახორციელებლად“. კურსის მსმენელები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: საკანონმდებლო სიახლეები, გენდერული თანასწორობა არჩევნებში, პარლამენტის წევრობის კანდიდატის წარდგენის/რეგისტრაციის წესი და ვადა, წინასაარჩევნო კამპანია და ადმინისტრაციული რესურსების არამართლზომიერად გამოყენების პრევენცია საარჩევნო პროცესში, კიბერშევიწროვების პრევენცია, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის უფლებრივი მდგომარეობა, კენჭისყრის დღე, მათ შორის, პანდემიის პირობებში არჩევნების უსაფრთხო გარემოში ჩატარებასთან დაკავშირებული რეგულაციები.

პროგრამაში მონაწილეობა მიიღო რვა პარტიის[40] წარმომადგენელმა 26-მა ქალმა.

40 სასწავლო პროგრამაში მონაწილე პოლიტიკური პარტიები: „გიორგი ვაშაძე-სტრატეგია აღმაშენებელი“, „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, „ლელო საქართველოსთვის“, „ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა“, „რეფორმერი“, „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის“, „ჩვენი გაერთიანებული საქართველო“, „ახალი ძალა“.

გენდერული პორტალი

ცესკომ, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ფინანსური მხარდაჭერით შექმნა ახალი საინფორმაციო პორტალი, სადაც განათავსა 2014 წლიდან დღემდე ჩატარებული არჩევნების შესახებ გენდერულ ჭრილში დამუშავებული შემდეგი სტატისტიკური მონაცემები: ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრირებული პირები, აქტივობა სიიდან, არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლები, საარჩევნო სუბიექტების მიერ წარდგენილი კანდიდატები, არჩეული პირები, დამკვირვებლები, მედია და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები (ცესკო, ოლქი, უბანი).

გენდერული სტატისტიკა პორტალზე ხელმისაწვდომი იყო დამუშავებად ფორმატში (Excel), ხოლო სტატისტიკური მონაცემები დიაგრამებზე იყო გამოსახული როგორც რიცხობრივი, ისე პროცენტული მაჩვენებლით. აღსანიშნავია, რომ პორტალის საშუალებით შესაძლებელი იყო სხვადასხვა წლებში ჩატარებული არჩევნების მონაცემების ერთდროულად გამოტანა.

28 ოქტომბერს, დისტანციურად გამართულ შეხვედრაზე ცესკომ გენდერული პორტალი წარუდგინა ქალთა საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე მთავრობის ადმინისტრაციისა და პარლამენტის აპარატის, სულ 30 წარმომადგენელს.

I.IX თანამშრომლობა საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებთან

პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსი

ცესკომ შვეიცარიის სახელმწიფოს, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) მხარდაჭერით გაუწია ფასილიტაცია პარლამენტის არჩევნებისთვის პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსის შემუშავების პროცესს. დოკუმენტი შეიქმნა საერთაშორისო პარტნიორების დახმარებითა და პარტიების მონაწილეობის შედეგად, საუკეთესო პრაქტიკისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. დოკუმენტი ეფუძნებოდა 2018 წელს პრეზიდენტის არჩევნებისას, ცესკოს ორგანიზებითა და შვეიცარიის სახელმწიფოს მხარდაჭერით შექმნილ, საპრეზიდენტო კანდიდატების მიერ ხელმოწერილ ეთიკის პრინციპებს. დოკუმენტის შექმნა ეხმიანებოდა საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიების, სხვა საერთაშორისო ჩართული მხარეებისა და საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებში გაცემულ რეკომენდაციებს.

„პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსი“[41] წარმოადგენდა ეთიკის ნორმებს, რომლის მიზანი იყო დემოკრატიული ღირებულებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა, საგნობრივი, პროგრამაზე ორიენტირებული, ინკლუზიური საარჩევნო კამპანიის წარმოება, რომელშიც უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი თანაბარი შესაძლებლობები საარჩევნო პროცესის მონაწილეებისთვის.

12 სექტემბერს გამართულ ბრიფინგზე ცესკოს თავმჯდომარემ საზოგადოებას გააცნო „პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსი“ და ყველა რეგისტრირებულ პარტიას მოუწოდა აღნიშნული ქცევის კოდექსის შემოერთებისა და მის შესრულებაზე პასუხისმგებლობის აღებისკენ. „ქცევის კოდექსს“ შემოუერთდა 42 პარტია.

ცესკოს ინიციატივა „ვიმსჯელოთ ერთად“

საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობისთვის არსებულ ფორმატში „ვიმსჯელოთ ერთად“ ცესკომ ჩაატარა სამი დისტანციური შეხვედრა შემდეგ საკითხებზე: საარჩევნო ადმინისტრაციისა და ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციათა ქცევის (ეთიკის) კოდექსი, პანდემიის პირობებში საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ უსაფრთხოების მიზნით განხორციელებული აქტივობები, საარჩევნო კომისიების კუთვნილ ან/და საარჩევნო კომისიებისთვის გადაცემულ შენობებში შესვლისას/გამოსვლისას და შენობებში ყოფნისას/გადაადგილებისას სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები.

ტექნიკური სამუშაო ჯგუფი (TWG)

საანგარიშო პერიოდში გაიმართა ტექნიკური სამუშაო ჯგუფის (TWG) შეხვედრები საერთაშორისო, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებთან შემდეგ საკითხებზე: მზადება პარლამენტის არჩევნებისთვის, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საქმიანობა და კორონავირუსის გავრცელების პრევენციისთვის მიღებული ზომები. ტექნიკური სამუშაო ჯგუფის შეხვედრებს, რომელიც ცესკოში იმართება, თანათავმჯდომარეობენ გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და ევროკავშირი.

41 პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსი იხილეთ ბმულზე https://cesko.ge/res/docs/20200916161120CoC-final.pdf

შეხვედრები პოლიტიკური პარტიების, ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან

7 და 8 ივლისს გაიმართა დისტანციური სამუშაო შეხვედრები პოლიტიკური პარტიების, ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. შეხვედრების თემა იყო – პარლამენტის არჩევნებისთვის საოლქო საარჩევნო კომისიების ნუმერაცია, საზღვრები და საარჩევნო კომისიების მუშაობის პრინციპი. ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ შეხვედრების მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია პარლამენტის არჩევნებზე მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საზღვრების, ძირითადი და დამხმარე ოლქის სტატუსის, 30 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ნომრების განსაზღვრის შესახებ.

შეხვედრებში მონაწილეობა მიიღეს ცესკოს ხელმძღვანელმა პირებმა, 30 პოლიტიკური პარტიისა და 35 ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა.

შეხვედრა სახალხო დამცველთან

19 ოქტომბერს, ცესკოს თავმჯდომარემ და ცესკოს წარმომადგენლებმა გამართეს შეხვედრა სახალხო დამცველ ნინო ლომჯარიასთან. შეხვედრაზე განიხილეს ახალი კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის პირობებში არჩევნების უსაფრთხოების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები, მიმდინარე საარჩევნო პროცესები, არსებული გამოწვევები და არჩევნების დღისთვის მიღებული უსაფრთხოების რეგულაციები. თამარ ჟვანიამ ისაუბრა ჩართულ მხარეებთან კონსულტაციების საფუძველზე შემუშავებული კენჭისყრის დღის ეპიდემიოლოგიური პროტოკოლისა და დადგენილების პროექტის შესახებ, რომლის მიხედვით საარჩევნო ადმინისტრაციამ სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფ ამომრჩევლებს შესთავაზა არჩევნებში მონაწილეობა საარჩევნო კომისიის ფუნქციების მქონე სპეციალური ჯგუფების მომსახურებით.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

25 სექტემბერს, ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ, ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელის მოადგილე ვაჰაგ მურადიანმა, იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის ხელმძღვანელმა და საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. მემორანდუმს ხელი მოეწერა ევროპის საბჭოს პროექტის „საარჩევნო პრაქტიკისა და პროცესის გამჭვირვალობის, ინკლუზიურობისა და სანდოობის მხარდაჭერა საქართველოში“ ხელშეწყობით.

მემორანდუმის მიზანი იყო – პარლამენტის არჩევნების დროს ადმინისტრაციული რესურსებისა და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის არამართლზომიერად გამოყენების, წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისა და მასში მონაწილეობის წესების დარღვევის პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული პირების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა.

მემორანდუმის მიზნების შესაბამისად, ცესკოსა და სწავლების ცენტრის მიერ, ევროპის საბჭოს (CoE) საარჩევნო მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში შემუშავდა დისტანციური საინფორმაციო-სასწავლო კურსი სასწავლო კურსი განკუთვნილი იყო საჯარო მოსამსახურეებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის. აღნიშნული კურსი განთავსდა ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისთან თანამშრომლობით შექმნილ დისტანციური სწავლების პლატფორმაზე და ხელმისაწვდომი იყო 27 სექტემბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში.

დისტანციური სწავლებისთვის სისტემაში დარეგისტრირდა 18 056 მომხმარებელი, მათ შორის 5 224 (29%) ქალი და 12 832 (71%) კაცი. ტესტირებაში მონაწილეობა მიიღო 16 210-მა მომხმარებელმა, მათ შორის 4 511 (28%) ქალი და 11 699 (72%) კაცი, ხოლო ტესტირება წარმატებით გაირა 15 838-მა მომხმარებელმა, მათ შორის 4 364 (28%) ქალი და 11 474 (72%) კაცი.

ცესკოსა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების ქცევის (ეთიკის) კოდექსი

28 სექტემბერს, ცესკოს თავმჯდომარემ და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ქცევის (ეთიკის) კოდექსს. დოკუმენტი პარლამენტის არჩევნებისთვის შემუშავდა და გულისხმობდა საარჩევნო ადმინისტრაციასა და ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებს შორის შეთანხმებას პროფესიული და ეთიკური ნორმების დაცვის შესახებ.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ პატივს სცემდნენ კანონის უზენაესობას, იხელმძღვანელებდნენ არჩევნების საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებით და ქცევის (ეთიკის) კოდექსით, ხელს შეუწყობდნენ არჩევნების სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარებასა და ძირითადი საარჩევნო პრინციპების, ასევე საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის განხორციელებას. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებდნენ უფლების აღდგენისა და დაცვის მხოლოდ სამართლებრივ საშუალებებს, იქნებოდნენ მიუკერძოებელნი და თავიანთ მოვალეობებს შეასრულებდნენ გამჭვირვალედ და ობიექტურად.

ქცევის (ეთიკის) კოდექსის სახელმძღვანელო პრინციპები იყო – პოლიტიკური ნეიტრალობა და მიუკერძოებლობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება, თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა, პროაქტიული თანამშრომლობა და პანდემიის პირობებში ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა.

დოკუმენტს ხელი მოაწერა 33-მა ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ.

ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ

16 ოქტომბერს, ცესკოს, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიასა და 13 ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.[42] მემორანდუმი შემუშავდა საარჩევნო ადმინისტრაციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების სამუშაო შეხვედრების შედეგად საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით.

მემორანდუმზე ხელმომწერი მხარეები შეთანხმდნენ, რომ საარჩევნო კოდექსის 45-ე, 48-ე და 49-ე მუხლების ქვემოთ მოყვანილი ნორმები მათ მიერ განმარტებული იყო მემორანდუმის ტექსტის შესაბამისად და ადმინისტრაციული და სასამართლო წარმოების დროს იხელმძღვანელებდნენ მემორანდუმში მითითებული განმარტებით.

42 ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი იხილეთ ბმულზე: https://cesko.ge/res/docs/img083833-rotated.pdf.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შინაგან საქმეთა სამინისტროსთან

16 ოქტომბერს, ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ და შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა პარლამენტის არჩევნების უსაფრთხო და მშვიდ გარემოში ჩატარების მიზნით გააფორმეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.[43]

მემორანდუმი ითვალისწინებდა არჩევნების დღეს ხმის მიცემის პროცესის მშვიდ და თავისუფალ გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფად, მხარეთა თანამშრომლობასა და კოორდინირებულ მუშაობას, ასევე, ინფორმაციის გაცვლას, ერთობლივი ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას.

7-24 ოქტომბერს, სწავლების ცენტრსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) აკადემიას შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ჩატარდა დისტანციური ტრენინგები არჩევნების უსაფრთხოების საკითხებზე საქართველოს შსს სტრუქტურული ერთეულების, ტერიტორიული ორგანოებისა და სხვა საპოლიციო ქვედანაყოფების მოსამსახურეებისთვის. სწავლების ცენტრის ტრენერებმა მონაწილეებს მიაწოდეს ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: უსაფრთხო საარჩევნო გარემოს მნიშვნელობა დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისთვის, არჩევნებში ჩართული მხარეები და მათი როლი არჩევნების უსაფრთხოების პროცესში, კენჭისყრის დღემდე პერიოდში და კენჭისყრის დღეს საარჩევნო პროცესის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად რისკების იდენტიფიცირება და პრევენციული ღონისძიებების გატარება, კენჭისყრის პროცესის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კანონმდებლობით განსაზღვრული რეაგირების მექანიზმები და პასუხისმგებლობა სამართალდარღვევებზე.

სწავლება დისტანციურად გაიარა შსს-ს საპოლიციო დანაყოფების 4000-ზე მეტმა თანამშრომელმა.

შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან

3 ნოემბერს, ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ გამართა შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილთან. ცესკოს თავმჯდომარემ პრეზიდენტს მიაწოდა დეტალური ინფორმაცია გამართული პარლამენტის არჩევნების შესახებ.

პრეზიდენტმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ პანდემიის გამოწვევების მიუხედავად არჩევნები დემოკრატიულად და გამჭვირვალედ ჩატარდა. პრეზიდენტი, ასევე გამოეხმაურა სადამკვირვებლო მისიებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის შეფასებებს და აღნიშნა, რომ მათი მიგნებები დადებითად აისახება საარჩევნო პროცესზე. პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ დემოკრატიული ქვეყნისთვის ერთ-ერთ მთავარ მიუკერძოებელ ინსტიტუტზე – საარჩევნო ადმინისტრაციაზე და მის ქალ თავმჯდომარეზე ზეწოლა, მუქარა და შეურაცხყოფა მიუღებელი იყო.

43 ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი იხილეთ ბმულზე: https://cesko.ge/res/docs/%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9B%E1%83%AF%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A8%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%92%E1%83%90%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A1.pdf

საინფორმაციოს შეხვედრა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის აპარატის თანამშრომლებთან

14 სექტემბერს, ცესკომ და სწავლების ცენტრმა, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის აპარატის თანამშრომლებისთვის დისტანციურ ფორმატში ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრა შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებზე: არჩევნებში ჩართული მხარეები და მათი უფლებრივი მდგომარეობა წინასაარჩევნო პერიოდში და კენჭისყრის დღეს (მათ შორის, საკანონმდებლო რეგულაციები კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირების მიერ ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფად); საჯარო მოსამსახურის უფლებრივი მდგომარეობა საარჩევნო პროცესებში; საჯარო მოსამსახურის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო შეზღუდვები; საარჩევნო პროცესში ადმინისტრაციული რესურსისა და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის არამართლზომიერად გამოყენების საკითხები, პრევენცია და დარღვევებზე რეაგირება.

ღონისძიება საარჩევნო პროცესებში მოქალაქეთა პერსონალური მონაცემების დაცვის ხელშეწყობის მიმართულებით საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციასა და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს შორის არსებული თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა. საინფორმაციო შეხვედრაში მონაწილეობა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის აპარატის 10-მა თანამშრომელმა მიიღო.

საინფორმაციო შეხვედრა მედიის წარმომადგენლებთან

21 ოქტომბერს, ცესკომ და სწავლების ცენტრმა, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრა მედიის წარმომადგენლებთან. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს შემდეგი საკითხები: პანდემიის პირობებში არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებული რეგულაციები, მედიის როლი და უფლებრივი მდგომარეობა კენჭისყრის პროცესში, კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში ფოტო/ვიდეო გადაღების რეგულაციები (მათ შორის რეგულაციები ხმის მიცემის პროცესში ფარულობისა და კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობისას ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველსაყოფად), მედიის და სხვა ჩართული მხარეების როლი არჩევნების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. შეხვედრის მონაწილეებს დეზინფორმაციისა და სიძულვილის ენასთან დაკავშირებული საკითხები გააცნო საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მოწვეულმა ექსპერტმა.

საინფორმაციო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო, როგორც ცენტრალური, ისე რეგიონული მედია საშუალებების 25-მა წარმომადგენელმა, მათ შორის 20 (80%) ქალი და ხუთი (20%) კაცი.

საინფორმაციო შეხვედრა პარლამენტის აპარატის წარმომადგენლებთან

23 ოქტომბერს, სწავლების ცენტრმა ჩაატარა დისტანციური შეხვედრა პარლამენტის აპარატის წარმომადგენლებთან, რომლებიც პროტოკოლურ უზრუნველყოფას უწევდნენ საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში არჩევნებისთვის ჩამოსულ საპარლამენტო დელეგაციებს. შეხვედრის მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: პანდემიის პირობებში არჩევნების უსაფრთხო გარემოში ჩატარებასთან დაკავშირებული რეგულაციები, კენჭისყრის დღის პროცედურები, საუბნო საარჩევნო კომისიების პროფესიული საქმიანობის ასპექტები, არჩევნებში ჩართული მხარეების, მათ შორის, საერთაშორისო დამკვირვებლების უფლებრივი მდგომარეობა კენჭისყრის პროცესში, ამომრჩეველთა საარჩევნო უფლებების რეალიზების მექანიზმი. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო პარლამენტის აპარატის 17-მა წარმომადგენელმა, მათ შორის 14 (82.35%) ქალი და სამი (17.65%) კაცი.

საინფორმაციო შეხვედრა დამკვირვებელი ორგანიზაციებისა და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებთან

16 ოქტომბერს, სწავლების ცენტრმა გამართა საინფორმაციო შეხვედრა პარლამენტის არჩევნებისთვის დამკვირვებლად რეგისტრირებული ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საარჩევნო სუბიექტების (საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტია/საარჩევნო ბლოკი/საინიციატივო ჯგუფი) წარმომადგენლებთან. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს შემდეგი საკითხები: საარჩევნო კანონმდებლობის სიახლეები, პანდემიის პირობებში კენჭისყრის პროცესის ჩატარებასთან დაკავშირებული რეგულაციები, კენჭისყრის დღის პროცედურები, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისა და არჩევნებში ჩართული მხარეების უფლებრივი მდგომარეობა (მათ შორის, მათი როლი უსაფრთხო საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად), ამომრჩეველთა საარჩევნო უფლებების რეალიზება, კენჭისყრის შედეგების შეჯამება, კენჭისყრის დღის საჩივრის/განცხადების შედგენის საფუძველი და ტექნიკა.

საინფორმაციო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 29 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის 45- მა წარმომადგენელმა, მათ შორის 27 (60%) ქალი და 18 (40%) კაცი და 15 საარჩევნო სუბიექტის 20-მა წარმომადგენელმა, მათ შორის 11 (55%) ქალი და ცხრა (45%) კაცი.

დისტანციური საინფორმაციო-სასწავლო კურსი „კენჭისყრის დღის პროცედურები“

პარლამენტის არჩევნებისთვის საარჩევნო პროცედურების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, სწავლების ცენტრმა შეიმუშავა დისტანციური საინფორმაციო-სასწავლო კურსი „კენჭისყრის დღის პროცედურები“, რომელიც მოიცავდა შემდეგ საკითხებს: საარჩევნო უბნის გახსნა და კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურები, კენჭისყრის პროცესი, ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დაცვა კენჭისყრის პროცესში, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირების უფლებრივი მდგომარეობა, საარჩევნო უბნის დახურვა და ხმის დათვლის პროცესი, კენჭისყრის შედეგების შეჯამება საუბნო საარჩევნო კომისიაში, კენჭისყრის დღის განცხადებები/საჩივრები, კენჭისყრის შენობაში ფოტო-ვიდეოგადაღების რეგულაციები, პანდემიის პირობებში არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებული რეგულაციები.

დისტანციური სასწავლო კურსი განთავსდა ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებგვერდებზე არსებულ ელექტრონულ სასწავლო პლატფორმაზე და მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომი იყო 27 ოქტომბრიდან-31 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში.

პროგრამაში ინტეგრირებული ტესტური დავალებები მომხმარებელს აძლევდა ცოდნის გადამოწმების შესაძლებლობას. ტესტირებაში მონაწილეობა მიიღო 127-მა პირმა, მათ შორის 76 (60%) ქალი და 51 (40%) კაცი, მათგან ტესტირება წარმატებით გაიარა 93-მა პირმა, მათ შორის 58 (62) ქალი და 35 (38%) კაცი.

საერთაშორისო პარტნიორობა

ელჩების სამუშაო ჯგუფის შეხვედრა (AWG)

25 ივლისს, ცესკოს თავმჯდომარემ მონაწილეობა მიიღო ელჩების სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში (AWG), რომელიც გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და ევროკავშირის (EU) ფასილიტაციით გაიმართა. თამარ ჟვანიამ ისაუბრა პარლამენტის არჩევნების მზადების, პანდემიის პირობებში არჩევნების ჩატარებისა და არსებული გამოწვევების შესახებ.

შეხვედრა ისრაელის ელჩთან

26 აგვისტოს, ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანია საქართველოში ისრაელის ელჩს რან გიდორს შეხვდა. განხილვის მთავარი თემები 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის მზადების პროცესი და ქვეყანაში არსებული წინასაარჩევნო გარემო იყო. რან გიდორის თქმით, მაღალია საერთაშორისო პარტნიორების ინტერესი საპარლამენტო არჩევნების მიმართ და სწორედ აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია უშუალოდ საარჩევნო ადმინისტრაციასთან კომუნიკაცია მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. ცესკოს თავმჯდომარემ პანდემიის პირობებში არჩევნების ჩატარებაზე, არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებზე ისაუბრა. მან ყურადღება იმ საქმიანობებზეც გაამახვილა, რომელსაც საარჩევნო ადმინისტრაცია არჩევნების გამჭვირვალედ და მაღალპროფესიულ დონეზე ჩატარების მიზნით ახორციელებს.

შეხვედრა ლატვიის ელჩთან

11 სექტემბერს, ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ გამართა შეხვედრა ლატვიის ელჩ ინგრიდა ლევრენცთან. თამარ ჟვანიამ ისაუბრა პარლამენტის არჩევნების მზადების, წინასაარჩევნო გარემოს, პანდემიის პირობებში არჩევნების ჩატარებისა და არსებული გამოწვევების შესახებ, ასევე საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ არჩევნების პროფესიულ და გამჭვირვალე დონეზე ჩატარების მიზნით განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

შეხვედრა ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან

22 სექტემბერს, ცესკოს თავმჯდომარემ მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის ეგიდით, ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებთან გამართულ დისტანციურ ყოველთვიურ შეხვედრაში. შეხვედრაზე თამარ ჟვანიამ ისაუბრა პანდემიის პირობებში არჩევნების ჩატარებაზე, არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებზე.

ასევე, 18 ნოემბერს არჩევნების შემდეგ, ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანია შეხვდა საქართველოში ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებს, სადაც წარადგინა ცესკოს ხელთ არსებული ინფორმაცია, სტატისტიკური მონაცემები და პოზიცია საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით. შეხვედრა გაიმართა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ფასილიტაციით, რომელსაც ასევე ესწრებოდა ოთხი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

შეხვედრა დიდი ბრიტანეთის ელჩთან

15 ოქტომბერს, ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ გამართა შეხვედრა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ელჩთან საქართველოში მარკ კლეიტონთან. თამარ ჟვანიამ ისაუბრა არჩევნებისთვის მზადებისა და საარჩევნო ადმინისტრაციაში მიმდინარე საქმიანობის, რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტების, სადამკვირვებლო და მედია ორგანიზაციების შესახებ, ასევე, პანდემიის პირობებში არჩევნების უსაფრთხოდ ჩატარებასთან დაკავშირებით მიღებული დადგენილებებისა და ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობით შემუშავებულ კენჭისყრის დღის ეპიდემიოლოგიური პროტოკოლის შესახებ. თამარ ჟვანიამ ყურადღება გაამახვილა პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსზე, ასევე, ცესკოსა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ ხელმოწერილ ქცევის კოდექსზე.

შეხვედრა უკრაინის ელჩთან

21 ოქტომბერს, ცესკოს თავმჯდომარემ გამართა შეხვედრა უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში იგორ დოლგოვთან. თამარ ჟვანიამ ისაუბრა არჩევნებისთვის მზადებისა და საარჩევნო ადმინისტრაციაში მიმდინარე საქმიანობის შესახებ, ასევე, პანდემიის პირობებში არჩევნების უსაფრთხოდ ჩატარებასთან დაკავშირებით მიღებული დადგენილებების თაობაზე, ასევე კენჭისყრის დღის ეპიდემიოლოგიური პროტოკოლი, ისე კორონავირუსის გამო სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი ამომრჩევლების კენჭისყრაში მონაწილეობისთვის აუცილებელი რეგულაციები.

შეხვედრა საქართველოში მოქმედი უცხო ქვეყნის საელჩოებისა და დელეგაციების წარმომადგენლებთან

23 ოქტომბერს, ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ და სწავლების ცენტრის დირექტორმა ნათია ზაალიშვილმა, სსიპ-საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის მხარდაჭერით ჩაატარეს დისტანციური საინფორმაციო შეხვედრა უცხო ქვეყნის საელჩოებისა და დელეგაციების წარმომადგენლებთან. ცესკოსა და სწავლების ცენტრის ხელმძღვანელმა პირებმა შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდეს დეტალური ინფორმაცია პანდემიის პირობებში არჩევნების უსაფრთხო გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფად საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ; საარჩევნო სისტემასთან და არჩევნებში ქალთა ჩართულობის ზრდის ხელშეწყობასთან დაკავშირებული ძირითადი საკანონმდებლო სიახლეები; საარჩევნო კომისიების პროფესიული გადამზადების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები; ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანია და ჩართულ მხარეებთან განხორციელებული საინფორმაციო/სასწავლო პროგრამები; ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეებისთვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შეთავაზებული საარჩევნო სერვისები; არჩევნების სანდოობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად გატარებული მექანიზმები (მათ შორის, ეთიკის კოდექსების გაფორმება ჩართულ მხარეებთან, ადმინისტრაციული რესურსების არამართლზომიერად გამოყენების პრევენცია, საარჩევნო ადმინისტრაციის და პოლიციის ტრენინგი არჩევნების უსაფრთხოების საკითხებზე, დეზინფორმაციისა და სიძულვილის ენის გავრცელების პრევენცია); ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები, საკანონმდებლო სიახლე ადაპტირებულ საარჩევნო უბნებთან მიმართებით და სასწავლო პროგრამები მოწყვლადი ჯგუფებისთვის (მათ შორის შშმ პირებისთვის).

შეხვედრის მონაწილეებს ასევე მიეწოდათ სტატისტიკური მონაცემები 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტების, მათი წარმომადგენლების, დამკვირვებელებისა და მედია საშუალებების შესახებ.

შეხვედრას დაესწრო საქართველოში მოქმედი უცხო ქვეყნის საელჩოებისა და დელეგაციების 12[44] წარმომადგენელი.

შეხვედრა საარჩევნო ადმინისტრაციების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან

30 ოქტომბერს, ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ გამართა შეხვედრა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვდასხვა ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციების წარმომადგენლებთან. თამარ ჟვანიამ შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია პარლამენტის არჩევნების ორგანიზების, კენჭისყრის დღის ეპიდემიოლოგიური პროტოკოლის, ამომრჩეველთა უსაფრთხოების, სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი ამომრჩევლების კენჭისყრაში მონაწილეობისთვის აუცილებელი რეგულაციების და წინასაარჩევნო გარემოს შესახებ.

კენჭისყრის დღეს გამართული შეხვედრები დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან

31 ოქტომბერს, ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ გამართა შეხვედრები საქართველოში მოქმედი დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან, კერძოდ:

- ამერიკის შეერთებული შტატების ელჩ კელი დეგნანთან;
- ისრაელის ელჩ რან გიდორთან;
- შვეიცარიის ელჩთან საქართველოში პატრიკ ფრანცენთან;
- ევროკავშირის ელჩ კარლ ჰარცელთან.

თამარ ჟვანიამ ელჩებს მიაწოდა ინფორმაცია საარჩევნო პროცესის მიმდინარეობასა და პანდემიის პირობებში არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ. ელჩებმა, თავის მხრივ, დადებითად შეაფასეს ცესკოს ძალისხმევა პანდემიის პირობებში არჩევნების ადმინისტრირებისა და ორგანიზების კუთხით.

შეხვედრა სკანდინავიურ-ბალტიური ქვეყნების ელჩებთან

9 ნოემბერს, ცესკოს თავმჯდომარემ მონაწილეობა მიიღო სკანდინავიურ-ბალტიური ქვეყნების ელჩებთან დისტანციურ შეხვედრაში. ცესკოს თავმჯდომარემ შეხვედრის მონაწილეებს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა, თამარ ჟვანიამ შეხვედრაზე დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან იმ მიზანმიმართულ კამპანიაზე გაამახვილა ყურადღება, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციის დისკრედიტაციის მიზნით ხორციელდებოდა.

44 ავსტრიის რესპუბლიკა (ელჩი); იტალიის რესპუბლიკა (მისიის ხელმძღვანელის მოადგილე); გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (მისიის ხელმძღვანელის მოადგილე); საბერძნეთის რესპუბლიკა (მისიის ხელმძღვანელის მოადგილე); ჩეხეთი (მისიის ხელმძღვანელის მოადგილე); ნორვეგიის სამეფო (მრჩეველი პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებში); ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში (ელჩის მრჩეველი, ელჩის მდივანი) შვედეთის სამეფო (მეორე მდივანი პოლიტიკურ საკითხებში); ლიეტუვას რესპუბლიკა (მესამე მდივანი); უნგრეთი (კონსული); იაპონია (ოფიცერი პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებში).

შეხვედრა გერმანიის ელჩთან საქართველოში

10 ნოემბერს, ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ გამართა შეხვედრა საქართველოში გერმანიის ელჩს ჰუბერტ ქნირშთან. თამარ ჟვანიამ ელჩს მიაწოდა ინფორმაცია საარჩევნო დავების განხილვის პროცესის შესახებ და აღნიშნა, რომ საარჩევნო ადმინისტრაციაში გრძელდებოდა გადათვლის პროცესი საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების მონაცემების გადამოწმებისა და დაზუსტების მიზნით. შეხვედრის მონაწილეებმა ისაუბრეს განვითარებული პროცესების, მათ შორის არასწორი ინფორმაციის გავრცელების ფაქტების შესახებ.

კიბერუსაფრთხოება და კიბერ-ჰიგიენა

საარჩევნო ადმინისტრაცია უკვე რამდენიმე წელია მუშაობს კიბერუსაფრთხოების გაუმჯობესების მიმართულებით. საარჩევნო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პირების, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ხელმძღვანელების შეთანხმების შედეგად განხორციელდა საარჩევნო ადმინისტრაციის სათანადო საინფორმაციო ტექნოლოგიური აღჭურვილობით უზრუნველყოფა და ცესკოსა და სწავლების ცენტრის 100 თანამშრომლის კიბერუსაფრთხოების და კიბერჰიგიენის მიმართულებით გადამზადება.

17 აგვისტოს, ცესკოში გაიმართა სასერვერო ინფრასტრუქტურის გახსნის ცერემონია, რომელშიც ცესკოს თავმჯდომარესთან ერთად მონაწილეობა მიიღეს საქართველოში აშშ-ის სრულუფლებიანმა ელჩმა კელი დეგნანმა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მისიის ხელმძღვანელმა პიტერ ვიბლერმა.

ახალმა სასერვერო ინფრასტრუქტურამ ცესკოს შესაძლებლობა მისცა კიდევ უფრო მაღალ დონეზე უზრუნველყოს კრიტიკული ინფორმაციის დაცვა და იმ ინტერნეტ სერვისების შეუფერხებელი და უსაფრთხო ფუნქციონირება, რომელსაც საარჩევნო ადმინისტრაცია ამომრჩევლებსა და არჩევნებში ჩართულ სხვა მხარეებს სთავაზობდა.

საარჩევნო ადმინისტრაციის საინფორმაციო ტექნოლოგიური აღჭურვილობით უზრუნველყოფა განხორციელდა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) პროექტის – „საარჩევნო და პოლიტიკური პროცესების მხარდაჭერა საქართველოში“ (EPPS) ფარგლებში, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით.

ტრენინგი – „ჰიბრიდული დეზინფორმაცია“

24-27 აგვისტოს, ცესკოს ხელმძღვანელების გადაწყვეტილებით, კანადის არასამთავრობო ორგანიზაციასთან „Delian Project“ მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში, კანადის მთავრობის დახმარებით, დისტანციურად, ჩატარდა ოთხ-დღიანი ონლაინ ტრენინგ-კურსი თემაზე „ჰიბრიდული დეზინფორმაცია“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო ცესკოს ხელმძღვანელმა პირებმა, ცესკოს წევრებმა, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებმა, პრეს-სპიკერმა, ცესკოს აპარატის ზოგიერთმა თანამშრომელმა და სწავლების ცენტრის დირექტორმა.

ტრენინგზე განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: ჰიბრიდული დეზინფორმაცია არჩევნების დროს, „ზიანის ჯაჭვი“, დეზინფორმაციის შედეგების განმარტება, ჰიბრიდული დეზინფორმაცია როგორც ინსტრუმენტი, შეტყობინებები ჰიბრიდულ გარემოში და სხვა.

შეხვედრები სადამკვირვებლო მისიების დელეგაციებთან

დისტანციური შეხვედრები ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან

ცესკოს ხელმძღვანელმა პირებმა გამართეს სამი დისტანციური შეხვედრა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) სადამკვირვებლო დელეგაციასთან:

3 აგვისტოს, ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) წინასაარჩევნო დელეგაციის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: კორონავირუსის პანდემიის გამო შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე არჩევნებისთვის მზადების პროცესი, არსებული გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები.

15 სექტემბერს, ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) გრძელვადიანი დამკვირვებლების ანალიტიკოსთა მისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: პარტიების ქცევის კოდექსი, საზღვარგარეთ არჩევნების ორგანიზება, კიბერუსაფრთხოების შესაძლებლობების გაძლიერების მხრივ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გატარებული ღონისძიებები და პარლამენტის არჩევნებისთვის სხვა მიმდინარე აქტივობები.

30 სექტემბერს, სწავლების ცენტრის დირექტორმა ნათია ზაალიშვილმა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) გრძელვადიანი დამკვირვებლების ანალიტიკოსთა მისიის წარმომადგენლებს, დისტანციურად გამართულ შეხვედრაზე მიაწოდა ინფორმაცია ცესკოსა და სწავლების ცენტრის მიერ არჩევნებისთვის დაგეგმილი და განხორციელებული საინფორმაციო-სასწავლო პროგრამების შესახებ.

შეხვედრები ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) სადამკვირვებლო დელეგაციის წარმომადგენლებთან

ცესკოს ხელმძღვანელმა პირებმა გამართეს ორი შეხვედრა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) სადამკვირვებლო დელეგაციასთან:

6 აგვისტოს, ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) საჭიროებების შემფასებელ მისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია საარჩევნო რეფორმაზე, მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებზე, ცესკოს უფლებამოსილებებსა და მიღებულ გადაწყვეტილებებზე, ასევე, ახალი კორონავირუსის პანდემიის შესაძლო გავლენაზე საარჩევნო პროცესზე.

25 სექტემბერს, ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) სადამკვირვებლო მისიის წევრებს გააცნო ინფორმაცია რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტების, სადამკვირვებლო და მედია ორგანიზაციების შესახებ.

მან, ისაუბრა ახალი კორონავირუსის პანდემიის პირობებში არჩევნების უსაფრთხოდ ჩატარებასთან დაკავშირებით მიღებული ზომებისა და კენჭისყრის დღის ეპიდემიოლოგიური პროტოკოლის შესახებ.

8 ოქტომბერს, სწავლების ცენტრის დირექტორმა ნათია ზაალიშვილმა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) პარლამენტის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებს მიაწოდა ინფორმაცია საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების პროფესიული გადამზადების მიზნით შემუშავებული ინტენსიური ტრენინგების კონცეფციის

შესახებ, არჩევნებში ამომრჩეველთა ჩართულობის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად მიმდინარე საინფორმაციო კამპანიის მექანიზმებზე, ასევე ჩართული მხარეების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის მიზნით ცესკოსა და სწავლების ცენტრის მიერ, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, შემუშავებულ საინფორმაციო-სასწავლო პროგრამებზე, რომლებიც ეხმიანება ეუთოს/ოდირის სადამკვირვებლო მისიის რეკომენდაციებს.

შეხვედრა საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) გრძელვადიან ანალიტიკოსებთან

29 სექტემბერს, გაიმართა დისტანციური შეხვედრა საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) გრძელვადიან ანალიტიკოსებთან. ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია არჩევნების მზადების, მათ შორის საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მიღებულ სანიტარიულ-ჰიგიენური წესების, პოლიტიკური პარტიებისთვის შემუშავებული ეთიკის პრინციპებისა და არჩევნებთან დაკავშირებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

შეხვედრა საერთაშორისო შემფასებელი მისიის წევრებთან

29 ოქტომბერს, ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ და თავმჯდომარის მოადგილე გიორგი შარაბიძემ გამართეს შეხვედრა საფრანგეთის პარლამენტის მაღალი რანგის საჯარო მოხელეებისა და საერთაშორისო ექსპერტების მისიასთან, რომელიც ცესკოში იმყოფებოდა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის (CDD)“ ეგიდით.

საერთაშორისო შემფასებელი მისიის წარმომადგენლებს მიაწოდეს ინფორმაცია კენჭისყრის დღის ეპიდემიოლოგიური პროტოკოლის, ამომრჩეველთა უსაფრთხოების, სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი ამომრჩევლების კენჭისყრაში მონაწილეობისთვის რეგულაციების, წინასაარჩევნო გარემოს, ასევე პარლამენტის არჩევნებისთვის რეგისტრირებული საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საარჩევნო სუბიექტების შესახებ.

შეხვედრა სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან

3 ნოემბერს, ცესკოს თავმჯდომარე და ხელმძღვანელი პირები შეხვდნენ დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ცესკოს თავმჯდომარემ ისაუბრა საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ მიმდინარე მიზანმიმართულ კამპანიაზე. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ხშირ შემთხვევაში ბრალდებები, რომელიც ადმინისტრაციის მიმართ იყო გაჟღერებული არ იყო არგუმენტირებული და არ ასახავდა რეალობას.

I.X საგრანტო კონკურსები

2020 წელს ცესკოს მიერ განსაზღვრული დაფინანსების პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად სწავლების ცენტრმა გამოაცხადა ორი საგრანტო კონკურსი: 2020 წლის 6 თებერვალს და 13 ივლისს.

6 თებერვალს გამოცხადებული საგრანტო კონკურსის I მიმართულებაზე „პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარება“ დაფინანსებულმა 21-მა ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციამ განახორციელა საინფორმაციო-სასწავლო პროგრამები პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისთვის. პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 39 პოლიტიკური პარტიის (მათ შორის, 19 კვალიფიციური და 20 არაკვალიფიციური პარტიის) 1 816-მა წარმომადგენელმა. აღნიშნულ მიმართულებაზე საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსების ბიუჯეტმა შეადგინა 1 340 525 ლარი.

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული პროგრამების ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ მნიშვნელოვან საარჩევნო საკითხებს: არჩევნების საერთაშორისო სტანდარტები; ძალადობისა და სიძულვილის ენისგან თავისუფალი საარჩევნო გარემო; დეზინფორმაციის გავლენა სანდო საარჩევნო გარემოზე; პარტიის როლი უსაფრთხო საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფაში; ჩართული მხარეების საარჩევნო ეთიკა და პროფესიული სტანდარტები; წინასაარჩევნო კამპანიის/აგიტაციის წარმოება და შეზღუდვები; საარჩევნო პროცესში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული რეგულაციები. ამასთან, საგრანტო პროექტების განხორციელების პროცესში სწავლების ცენტრმა, კონტრიბუციის სახით, უზრუნველყო პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების სწავლება შემდეგ მოდულებზე: საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობის წესი; არჩევნების ორგანიზება (საარჩევნო ციკლი); კენჭისყრის დღე; საჩივრის/განცხადების შედგენის საფუძველი და ტექნიკა. დაფინანსებული საგრანტო პროექტები განხორციელდა 15 ივნისი-14 სექტემბრის პერიოდში, საქართველოს ყველა რეგიონში.

6 თებერვლის საგრანტო კონკურსის II მიმართულებაზე „ახალგაზრდა ამომრჩეველი საარჩევნო პროცესში“ დაფინანსდა ცხრა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია. დაფინანსების ბიუჯეტმა შეადგინა 267 927 ლარი. პროექტები მიზნად ისახავდა პარლამენტის არჩევნებისთვის ამომრჩეველთა საარჩევნო ცნობიერების ამაღლების, სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდისა და არჩევნებში ამომრჩევლის გააქტიურების ხელშეწყობის მიმართულებით საინფორმაციო-სასწავლო პროგრამების, საინფორმაციო კამპანიების, გადაცემების ან/და სხვა ფორმატის ღონისძიებების განხორციელებას. დაფინანსებული საგრანტო პროექტები განხორციელდა 2020 წლის 15 ივნისი-14 აგვისტოს პერიოდში.

13 ივლისს სწავლების ცენტრის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, დაფინანსდა 44 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია მიმართულებაზე: „ამომრჩეველთა ინფორმირება 2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის“. დაფინანსების ბიუჯეტმა შეადგინა 755 669.75 ლარი. პროექტები ითვალისწინებდა ელექტორატის ინფორმირებულობის უზრუნველყოფას არჩევნებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე, პანდემიის პირობებში არჩევნების ჩატარების წესსა და საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის უსაფრთხო პროცედურების საკითხებზე. დაფინანსებული საგრანტო პროექტები განხორციელდა 25 სექტემბერი-25 ოქტომბრის პერიოდში, საქართველოს ყველა რეგიონში.

I.XI საინფორმაციო კამპანია

პარლამენტის არჩევნებისთვის ცესკომ განსაზღვრა საინფორმაციო კამპანიის ძირითადი მიმართულებები, მათ შორის მედიასთან ურთიერთობის, ამომრჩეველთა და არჩევნებში ჩართული სხვა მხარეების ინფორმირების, დეზინფორმაციის წინააღმდეგ კამპანიის განხორციელების კუთხით. საინფორმაციო კამპანიის მიზანი იყო როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების ინფორმირება საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობისა და ამომრჩევლებისთვის საარჩევნო პერიოდში და უშუალოდ კენჭისყრის დღეს შეთავაზებული სერვისების შესახებ.

არსებული პანდემიური ვითარებიდან გამომდინარე ცესკომ განახორციელა მასშტაბური საინფორმაციო კამპანია, პანდემიის პირობებში არჩევნების ორგანიზებასთან დაკავშირებით. მომზადდა სატელევიზიო ვიდეორგოლები, აუდიორგოლები რადიოსთვის, ფლაერები და შესაბამისი საინფორმაციო მასალა სოციალური ქსელებისთვის. მასალები ასევე გამოქვეყნდა ბეჭდურ მედიაში. აღნიშნულ თემაზე საარჩევნო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა პირებმა გააკეთეს განცხადებები როგორც ცესკოში გამართულ საინფორმაციო ბრიფინგებზე, ისე სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემებში მონაწილეობისას. საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით საარჩევნო უბნებზე, თვალსაჩინო ადგილას განთავსდა ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეებისთვის განკუთვნილი პოსტერები, რომელშიც ასახული იყო კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბანზე დასაცავი სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები.

მიმდინარე საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით ცესკომ გაავრცელა 41 საინფორმაციო განცხადება, მათ შორის, 17 განცხადება საარჩევნო ადმინისტრაციის დისკრედიტაციის მცდელობასთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში, როგორც საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკით დაგეგმილ, ისე მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით ცესკოში გაიმართა 43 ბრიფინგი. მათი ნაწილი (13 ბრიფინგი) ეხებოდა გარკვეული ძალების მხრიდან საარჩევნო ადმინისტრაციის დისკრედიტაციის მცდელობებს, ცესკოს მიმართ გაჟღერებულ ბრალდებებსა და საოლქო საარჩევნო კომისიების მუშაობის ხელის შეშლის ფაქტებს. აღსანიშნავია, რომ ბრიფინგები, რომლებიც საარჩევნო პერიოდში ტარდებოდა ცესკოში სპეციალური სიგნალის მეშვეობით მედიას მიეწოდებოდა ლაივ რეჟიმში. გარდა ამისა, ისინი ლაივ რეჟიმში გადიოდა სოციალური ქსელებში ცესკოს ოფიციალურ არხებზე.

შესაბამისი ინფორმაცია ასევე ვრცელდებოდა ცესკოს ვებგვერდით და ოფიციალური გვერდებით სოციალურ ქსელებში. ცესკოს ხელმძღვანელი პირები აღნიშნულ საკითხებზე საუბრობდნენ როგორც ტელევიზიების, ისე რადიო გადაცემებში. სწორი ინფორმაციის გავრცელების მიზნით ცესკო იყენებდა ყველა მედია პლატფორმას.

მედიის მიერ გავრცელებულ დეზინფორმაციასთან დაკავშირებით ცესკომ ფეისბუქ გვერდზე გაავრცელა ორი განცხადება. ორივე შემთხვევაში შესაბამისი რეაგირებისთვის წერილობით მიმართა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას. ქარტიის საბჭოს გადაწყვეტილებით, ჟურნალისტებმა დაარღვიეს ინფორმაციის სიზუსტის პრინციპი.[45]

45 დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://www.qartia.ge/ka/siakhleebi/article/85644 და https://www.qartia.ge/ka/siakhleebi/article/85647.

აღსანიშნავია, რომ ცესკოში საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერითა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მეშვეობით (USAID) ფუნქციონირებდა ინფორმაციის დაცულობის ცენტრი. საარჩევნო პერიოდში ცენტრი ახორციელებდა მედიის მონიტორინგს, რომლის მიზანიც იყო, გამოეკვეთა რა ტიპის ყალბი ამბები თუ დეზინფორმაცია ვრცელდებოდა საარჩევნო პროცესებთან მიმართებით. საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდმა (IFES) მოამზადა მედიამონიტორინგის ანგარიში, რომელსაც საარჩევნო ადმინისტრაცია დეზინფორმაციასთან ბრძოლის სამომავლო სტრატეგიის შემუშავებისას გამოიყენებს.

გარდა ამისა, საარჩევნო ადმინისტრაცია თანამშრომლობდა სამოქალაქო სექტორთან საარჩევნო პროცესის დამაზიანებელი მცდარი ინფორმაციის გავრცელებაზე რეაგირების მიზნით. სწორედ აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში პარლამენტის არჩევნებისთვის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციისა და ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებს შორის გაფორმებულ ქცევის (ეთიკის) კოდექსში, ერთ-ერთ პუნქტად გაწერილი იყო, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია იღებდა ვალდებულებას, საარჩევნო პროცესის დამაზიანებელი მცდარი ინფორმაციის გავრცელებაზე რეაგირების მიზნით, განევითარებინა სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობის მექანიზმები. თავის მხრივ, დამკვირვებელი ორგანიზაციები, რომლებმაც ხელი მოაწერეს კოდექსს, იღებდნენ საარჩევნო პროცესის დამაზიანებელი მცდარი ინფორმაციის გავრცელებაზე რეაგირების მიზნით საარჩევნო ადმინისტრაციასთან თანამშრომლობის ვალდებულებას.

პარლამენტის არჩევნების შესახებ საქართველოს მოქალაქეების ინფორმირების, ასევე საარჩევნო ადმინისტრაციასა და ამომრჩევლებს შორის კომუნიკაციის გაძლიერების მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციამ ჩაატარა ინფორმირების კამპანია „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“. კამპანია პანდემიასთან დაკავშირებული ყველა რეგულაციის სრული დაცვით, სექტემბერსა და ოქტომბერში გაიმართა. საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და მოხალისეებმა საქართველოს მასშტაბით, თბილისსა და 63 მუნიციპალიტეტის ცენტრებსა და სოფლებში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გამართეს 270 შეხვედრა. საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებმა და მოხალისეებმა მოქალაქეებს მიაწოდეს ინფორმაცია პარლამენტის არჩევნების, მათი საარჩევნო უფლების, ხმის მიცემის ფარულობის, ამომრჩეველთა რეგისტრაციის, საარჩევნო ადმინისტრაციასა და მოქალაქეებს შორის ხელმისაწვდომი საკომუნიკაციო არხების შესახებ, ასევე შესთავაზეს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ამომრჩეველთა ერთიან სიაში პირადი და ოჯახის წევრების მონაცემების გადამოწმება.

საინფორმაციო აქციების ფარგლებში განხორციელდა მოქალაქეების გამოკითხვა კითხვარის მეშვეობით. სულ გამოიკითხა 3 263 მოქალაქე, გამოკითხულთა 71.84%-მა 2018 წელს გამართული პრეზიდენტის არჩევნების დროს საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა „ძალიან კარგად“ ან „კარგად“ შეაფასა.

კამპანიის ფარგლებში ამომრჩეველთა რეგისტრაციის ადგილის მიხედვით საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების მიერ გავრცელდა შემდეგი საინფორმაციო ფლაერები: „ამომრჩეველთა ერთიან სიაში მონაცემების გადამოწმება“, „ხმის მიცემის პროცედურები“, „ცესკოს თავმჯდომარის მიმართვა ახალგაზრდა ამომრჩევლებს, რომლებსაც პარლამენტის არჩევნებისთვის შეუსრულდათ 18 წელი“. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში გამართული 40 შეხვედრის

დროს გავრცელებული ყველა საინფორმაციო ფლაერი ნათარგმნი იყო სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. საინფორმაციო ფლაერებთან ერთად საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებმა დაარიგეს ამომრჩეველთა მონაცემების ბარათები, რომელთა საშუალებით ამომრჩევლებმა მიიღეს ინფორმაცია არჩევნებისა და საარჩევნო უბნის შესახებ. საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები ამომრჩევლებს საინფორმაციო მასალას ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო ყველა წესის დაცვით გადასცემდნენ, ისინი იყვნენ აღჭურვილი ყველა სავალდებულო სანიტარიულ-ჰიგიენური საშუალებით.

სწავლების ცენტრის საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებულ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან პარტნიორობით, საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებმა გამართეს 86 შეხვედრა 36 პოლიტიკური პარტიის 1 802 წარმომადგენელთან. შეხვედრის მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია პარლამენტის არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ.

საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლების ინფორმირების მიზნით, ცესკოს თავმჯდომარემ ფეისბუქ ლაივის საშუალებით საზღვარგარეთ მყოფ ამომრჩევლებს მიაწოდა ინფორმაცია არჩევნებში მათი მონაწილეობის შესახებ, ასევე უპასუხა მათთვის საინტერესო კითხვებს. მომზადდა საინფორმაციო რგოლი, რომელიც განთავსდა ცესკოს ვებგვერდსა და სოციალურ ქსელებში, დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან თანამშრომლობით ასევე გავრცელდა საკონსულოების ვებგვერდებზე. გარდა ამისა, ცესკოს ვებგვერდზე შეიქმნა სპეციალური ბანერი, სადაც თავმოყრილი იყო ინფორმაცია საზღვარგარეთ არჩევნებში მონაწილეობის შესახებ.

მნიშვნელოვანია, რომ ამომრჩევლებს პირადი და ოჯახის წევრების მონაცემების გადამოწმება შეეძლოთ, როგორც ელექტრონულად შეთავაზებული სერვისების საშუალებით, ისე უშუალოდ საარჩევნო უბანზე, სადაც გამოკრული იყო ამომრჩეველთა სიის საჯარო ვერსია ქართულ, ხოლო შესაბამისი უბნებისთვის აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.

საანგარიშო პერიოდში ცესკომ მოამზადა 22 ვიდეო და 11 აუდიო რგოლი, რომლებიც განათავსა როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონულ ტელევიზიებსა და რადიოში. სარეკლამო ბანერი განთავსდა 72 ცენტრალური და რეგიონული საინფორმაციო სააგენტოს ვებგვერდზე. გარდა ამისა, განთავსდა 14 გარე სარეკლამო ბანერი საქართველოს მასშტაბით. სარეკლამო მასალა განთავსდა ასევე ხუთ გარე მონიტორზე თბილისსა და ბათუმში და ვებგვერდებზე „Imovies.ge“ და „Myvideo.ge“. მომზადდა ინტერვიუ ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიასთან და საგაზეთო ჩანართის სახით გავრცელდა რეგიონებში (20 000 ცალი).

ცესკოს ვებგვერდსა და სოციალურ ქსელებში გავრცელდა 158 პრეს-რელიზი. ასევე მომზადდა და ვებგვერდზე განთავსდა ოთხი საინფორმაციო ბიულეტენი საარჩევნო ადმინისტრაციაში მიმდინარე პროცესების შესახებ.

ამომრჩევლების ინფორმირებისა და საარჩევნო საკითხების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, როგორც ცესკოს ხელმძღვანელი პირები, ისე საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა მედიასაშუალების გადაცემებში.

ცესკოსა და ცესკოს თავმჯდომარის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდებზე განხორციელდა აქტიური საინფორმაციო კამპანია. სოციალური ქსელების მართვა ახალი მიდგომებით დაიწყო, რაც აისახა როგორც ვიზუალურ, ისე შინაარსობრივ მხარეზე. შედეგად, მკვეთრად გაიზარდა როგორც წვდომის, ისე ჩართულობის მაჩვენებლები ცესკოსა და ცესკოს თავმჯდომარის ფეისბუქ გვერდებზე. მხოლოდ ოქტომბრის თვეში ცესკოს ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე დღეში საშუალოდ 146 000 მომხმარებელს ჰქონდა წვდომა. მომხმარებლების ჩართულობის ზრდა ასევე უზრუნველყო ცესკოს თავმჯდომარის ვიდეო ლაივებმა.

ცესკოს ტვიტერის გვერდზე განთავსდა საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სიახლეები ინგლისურ ენაზე. საანგარიშო პერიოდში ცესკოს ტვიტერის გვერდზე წვდომა ჰქონდა 42 000-მდე მომხმარებელს.

ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია პროაქტიულად ქვეყნდებოდა ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე, რომლის მომხმარებლების რაოდენობა საარჩევნო პერიოდში შეადგენდა 591 000-ს.

25 ოქტომბერს, პარლამენტის არჩევნების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციამ გამოაქვეყნა შუალედური ანგარიში 31 აგვისტოდან 10 ოქტომბრის ჩათვლით განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

ცესკომ ასევე უზრუნველყო სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი ამომრჩევლების ინფორმირება არჩევნებში მათი მონაწილეობის წესის თაობაზე. შესაბამისი უწყების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ ამომრჩევლებს ცესკომ გაუგზავნა მოკლე ტექსტური შეტყობინებები და მოუწოდა დაეფიქსირებინათ გადასატანი ყუთის მოთხოვნა, ხოლო სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და კარანტინში მყოფ მოქალაქეებს დაურიგდათ საინფორმაციო ფლაერები არჩევნებში მათი მონაწილეობის შესახებ. თვითიზოლაციაში მყოფ ამომრჩევლებს არჩევნებში (I და II ტური) მონაწილეობის მიზნით, შეეძლოთ ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრისთვის ზეპირი განცხადებით მიემართათ და მოეთხოვათ გადასატანი საარჩევნო ყუთით მომსახურება.

გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ცესკომ მნიშვნელოვნად მიიჩია წარმოედგინა დეტალური ინფორმაცია ბრალდებების თაობაზე სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების მხრიდან. ცესკომ მოამზადა და ვებგვერდზე გამოაქვეყნა სხვადასხვა სტატისტიკური ინფორმაცია, მათ შორის:

ბათილი ბიულეტენების სტატისტიკა

ცესკომ გამოაქვეყნა ბათილი ბიულეტენების საშუალო პროცენტული მაჩვენებლები 2002 წლიდან დღემდე.[46] 2020 წლის 31 ოქტომბრის პარლამენტის პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებზე ბათილი ბიულეტენების საშუალო პროცენტული მაჩვენებელი იყო 3.28%, მაჟორიტარული სისტემით ჩატარებული არჩევნების – 4.14%, ხოლო პარლამენტის მაჟორიტარული სისტემით ჩატარებული არჩევნების II ტურის შედეგების მიხედვით – 4.10%. ცესკოს მიერ დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პარლამენტის არჩევნებზე დაფიქსირებული ბათილი ბიულეტენების რაოდენობა მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ყველა სხვა არჩევნებზე ბათილი ბიულეტენების საშუალო მაჩვენებლისგან.

46 ბათილი ბიულეტენების სტატისტიკა იხილეთ ბმულზე: https://cesko.ge/res/docs/%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%902002-2020.pdf.

ინფორმაცია წინასწარი შედეგების გამოცხადების შესახებ (2012-2020 წლები)

ცესკომ გამოაქვეყნა ინფორმაცია 2012 წლიდან დღემდე ჩატარებული არჩევნების შედეგების გამოცხადების შესახებ. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ცხრილში (2).

ცხრილი 2.

N	არჩევნები	საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა	საარჩევნო სუბიექტების რაოდენობა (პროპორციულ ნაწილში ან პრეზიდენტობის კანდიდატები)	წინასწარი შედეგების გამოცხადება საარჩევნო უბნების დახურვიდან
1	2012 წლის პარლამენტის არჩევნები	**ორი საარჩევნო ბიულეტენი** პროპორციული/მაჟორიტარული	16 საარჩევნო სუბიექტი	8 საათი
2	2013 წლის პრეზიდენტის არჩევნები	**ერთი საარჩევნო ბიულეტენი**	23 საარჩევნო სუბიექტი	4 საათი
3	2014 წლის თვითმმართველობის არჩევნები	სამი საარჩევნო ბიულეტენი: 2 პროპორციულ/მაჟორიტარული საკრებულოს არჩევნებისთვის; 1 მერის/გამგებლის არჩევნებისთვის	24 საარჩევნო სუბიექტი	6 საათი და 30 წუთი
4	2016 წლის პარლამენტის არჩევნები	**ორი საარჩევნო ბიულეტენი:** პროპორციული/მაჟორიტარული; 1 საკრებულოს შუალედური არჩევნებისთვის (7 ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი); 1 მერის და გამგებლის რიგგარეშე არჩევნებისთვის (5 საარჩევნო ოლქი). 4 საარჩევნო ბიულეტენი: 2 პარლამენტის არჩევნებისთვის; 2 აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის	25 საარჩევნო სუბიექტი	5 საათი და 30 წუთი
5	2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები/ I ტური	**სამი საარჩევნო ბიულეტენი:** 2 მაჟორიტარულ/პროპორციული; 1 თვითმმართველი ქალაქის, ან თვითმმართველი თემის მერის არჩევნებისთვის	27 საარჩევნო სუბიექტი	7 საათი და 20 წუთი
6	2017 წლის თვითმმართველი ქალაქის/ თვითმმართველი თემის მერის არჩევნები/ II ტური	**ერთი საარჩევნო ბიულეტენი**	12 საარჩევნო სუბიექტი	4 საათი
7	2018 წლის პრეზიდენტის არჩევნები/I ტური	**ერთი საარჩევნო ბიულეტენი** პრეზიდენტის არჩევნებისთვის; 1 საკრებულოს შუალედური არჩევნებისთვის (2 ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი)	25 საარჩევნო სუბიექტი	5 საათი
8	2018 წლის პრეზიდენტის არჩევნები/II ტური	**ერთი საარჩევნო ბიულეტენი**	2 საარჩევნო სუბიექტი	4 საათი
9	2020 წლის პარლამენტის არჩევნები	**ორი საარჩევნო ბიულეტენი:** პროპორციული/მაჟორიტარული; ასევე, 1 ბიულეტენი საკრებულოს შუალედური არჩევნებისთვის (4 ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი); 1 მუნიციპალიტეტის მერის არჩევნებისთვის (5 საარჩევნო ოლქი). ოთხი საარჩევნო ბიულეტენი: 2 პარლამენტის არჩევნებისთვის; 2 აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის	50 საარჩევნო სუბიექტი	7 საათი და 25 წუთი

სტატისტიკური ინფორმაცია შემაჯამებელ ოქმებში მონაცემებთან დაკავშირებით და ბიულეტენების ნაკლებობის თაობაზე

ცესკომ გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომელშიც ასახული იყო მონაცემები საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელ ოქმებში ე.წ. დისბალანსის თაობაზე, როგორც პროპორციულ, ისე მაჟორიტარულ ნაწილში.

ე.წ დისბალანსი, პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შემაჯამებელ ოქმებში, 14 ნოემბრის მდგომარეობით, საერთო ჯამში დაფიქსირდა 943 საუბნო საარჩევნო კომისიაში (უმეტეს შემთხვევაში ეს იყო გამოწვეული ბიულეტენების ნაკლებობით და ცალკეულ შემთხვევებში ბიულეტენების მეტობით).

უნდა აღინიშნოს, რომ გაბათილებული ბიულეტენებისა და ნამდვილი ხმების ჯამი სცდებოდა არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობას 19 საუბნო საარჩევნო კომისიაში, თუმცა ეს მეტობა იყო არაუმეტეს ხუთი ან ნაკლები ბიულეტენის შემთხვევაში. ხოლო გაბათილებული ბიულეტენებისა და ნამდვილი ხმების ჯამი 10 და მეტი ბიულეტენის შემთხვევაში ნაკლები იყო ვიდრე არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა 67 საუბნო საარჩევნო კომისიაში, გაბათილებული ბიულეტენებისა და ნამდვილი ხმების ჯამი ნაკლები იყო არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობაზე 857 საარჩევნო უბანში, 10 ბიულეტენზე ცოტა ბიულეტენის შემთხვევაში, საუბარი იყო ერთი ან ორი ბიულეტენის ნაკლებობაზე.[47]

რაც შეეხებოდა ბიულეტენების ნაკლებობას მაჟორიტარული სისტემით ჩატარებული არჩევნების შემაჯამებელ ოქმებში, აღნიშნული, კანონმდებლობის შესაბამისად ძირითადად გამოწვეული იყო იმით, რომ საარჩევნო უბნის სპეციალურ სიაში მყოფი ამომრჩევლებიდან მაჟორიტარული ბიულეტენი ყველას არ გადაეცემოდა, რადგან მათ ჰქონდათ განსხვავებული რეგისტრაციის ადგილი, ანუ სპეციალურ სიებში შეყვანილი ამომრჩევლების დიდი ნაწილი ვერ მონაწილეობდა მაჟორიტარულ არჩევნებში, მათ შორის, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები, ამომრჩევლები, რომლებიც სამკურნალოდ იმყოფებოდნენ საავადმყოფოში ან სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში და პატიმრები (აღკვეთის ღონისძიება მძიმე, ნაკლებად მძიმე). სპეციალურ სიებში მყოფი ამომრჩევლები მხოლოდ იმ შემთხვევაში მონაწილეობდნენ მაჟორიტარულ არჩევნებში თუ ადგილსამყოფელს იცვლიდნენ ერთსა და იმავე საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე. ასევე, კანონით განსაზღვრულ, სპეციალურ სიებში შეყვანილი სამხედრო მოსამსახურეებისა და სპეციალური წოდების მქონე პირების ნაწილი ვერ იღებდა მონაწილეობას არჩევნების მაჟორიტარულ ნაწილში (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 32).

აღსანიშნავია, ისიც, რომ კოვიდ-რისკ ჯგუფის ამომრჩევლებისთვის შეიქმნა 127 სპეციალური საარჩევნო უბანი და ეს ამომრჩევლები შეყვანილ იქნენ სპეციალურ სიებში. შესაბამისად, მაჟორიტარული არჩევნების ნაწილში მხოლოდ იმ ამომრჩევლებს შეეძლოთ ხმის მიცემა, რომელთა რეგისტრაციის მისამართი და განთავსების ადგილი ერთი და იგივე მაჟორიტარული ოლქის ტერიტორიას მოიცავდა.[48]

47 დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://cesko.ge/res/docs/1%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%982020.pdf.

48 დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://cesko.ge/res/docs/2%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9F%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%982020.pdf.

ცესკომ ასევე მოამზადა სტატისტიკა, სადაც ასახული იყო მონაცემები ე.წ. დისბალანსის შესახებ საუბნო შემაჯამებელ ოქმებში 2020 წლის 31 ოქტომბრის საკრებულოების შუალედური და მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნების მიხედვით.[49]

ცესკომ დამატებით, 14 ნოემბრის მდგომარეობით განაახლა სტატისტიკა, სადაც ასახული იყო მონაცემები ბიულეტენების ნაკლებობის შესახებ 2008 წლიდან 2020 წლის ჩათვლით. დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავდა მონაცემებს პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შესახებ, არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობას წლების მიხედვით, ნამდვილი ხმებისა და ბათილი ხმების რაოდენობას და ბიულეტენების ნაკლებობის სტატისტიკას.

პროპორციულ ნაწილში, არჩევნების საბოლოო შედეგების მიხედვით ნაკლები ბიულეტენების რაოდენობამ შეადგინა 3 062 (0.15%). არსებული გამოცდილებიდან გამომდინარე ეს პროცენტული მაჩვენებელი იგივეა რაც იყო 2016 წლის პარლამენტის არჩევნებისას, მცირედით ნაკლებია 2014 წლის და 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებთან შედარებით და რადიკალურად განსხვავდება 2008 წლის საქართველოს პრეზიდენტის და პარლამენტის არჩევნებისგან. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ცხრილში (3).

ცხრილი 3.

სტატისტიკური ინფორმაცია შემაჯამებელ ოქმებში მონაცემებთან დაკავშირებით და ბიულეტენების ნაკლებობის თაობაზე

არჩევნების დასახელება	წელი	კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა	ბიულეტენების რაოდენობა ყუთში (ბათილი ბიულეტენების ჩათვლით)	ბიულეტენების ნაკლებობა	% (მონაწილეთა ხმებიდან)
პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები	2008	1 982 318	1 969 475	12 843	0.65%
პარლამენტის არჩევნები	2008	1 850 407	1 830 608	19 799	1.07%
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები	2010	1 757 038	1 754 481	2 557	0.15%
პარლამენტის არჩევნები	2012	2 215 661	2 213 071	2 590	0.12%
პრეზიდენტის არჩევნები	2013	1 660 976	1 660 089	887	0.05%
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები	2014	1 486 315	1 483 591	2 724	0.18%
პარლამენტის არჩევნები	2016	1 825 054	1 822 310	2 744	0.15%
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები	2017	1 577 503	1 574 961	2 542	0.16%
პრეზიდენტის არჩევნების I ტური	2018	1 647 878	1 647 017	861	0.05%
პრეზიდენტის არჩევნების II ტური	2018	1 988 787	1 988 159	628	0.03%
პარლამენტის არჩევნები (პროპორციული)	2020	1 992 891	1 989 829	3062	0.15%

49 დეტალური ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ბმულებზე: https://cesko.ge/res/docs/3%E1%83%A8%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%982020.pdf და https://cesko.ge/res/docs/4%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%92%E1%83%92%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A8%E1%83%942020.pdf .

სტატისტიკური ინფორმაცია შესწორების ოქმებისა და ახსნა-განმარტებების შესახებ

ცესკომ დაამუშავა 2016 წლიდან 2020 წლის ჩათვლით შესწორების ოქმების სტატისტიკური მონაცემები. დოკუმენტი აჩვენებს რომ პარლამენტის არჩევნებსა და გასულ წლებში ჩატარებულ არჩევნებზე საარჩევნო უბნების რაოდენობის მიხედვით დაწერილ შესწორების ოქმებს შორის გარკვეულწილად განსხვავება არის, თუმცა ეს სხვაობა რადიკალურად განსხვავებულ სურათს არ იძლევა.

დოკუმენტში ასახული მონაცემების მიხედვით იმ უბნების პროცენტული მაჩვენებელი, სადაც პარლამენტის არჩევნებზე შესწორების ოქმები დაიწერა, მცირედით მეტია 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებზე დაფიქსირებულ ანალოგიურ მონაცემზე. პარლამენტის არჩევნებთან შედარებით ნაკლები შესწორების ოქმი იყო 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, თუმცა არჩევნების მიხედვით სტატისტიკური მონაცემების შედარებისას, გასათვალისწინებელია ბიულეტენებისა და არჩევნებში მონაწილე სუბიექტების რაოდენობა და შესაბამისად დათვლის პროცესის ხანგრძლივობა, ასევე, პანდემიისგან გამოწვეული ფაქტორები, რომლებსაც შესაძლოა ზეგავლენა მოეხდინა სამუშაო გარემოზე.

რაც შეეხება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მიერ წარმოდგენილ ახსნა-განმარტებებს სტატისტიკა გვაჩვენებს, რომ 2020 წლის არჩევნების I ტურზე იმ უბნების რაოდენობა, სადაც ახსნა-განმარტებები დაიწერა ჯამურად პროპორციული და მაჟორიტარული არჩევნებისთვის (615 – 15.99%) იმაზე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ეს იყო 2016 წლის პარლამენტის არჩევნების I ტურის შემთხვევაში (1 089 – 29.52%) და ასევე ნაკლებია 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების ანალოგიურ მაჩვენებელზე (624 – 17.17%). დეტალური ინფორმაცია იხილეთ ცხრილში (4).

ცხრილი 4.

ინფორმაცია პარლამენტის 2016 არჩევნებიდან პარლამენტის 2020 წლის არჩევნების ჩათვლით საარჩევნო უბნების მიხედვით შესწორების ოქმებისა და ახსნა–განმარტებების შესახებ

არჩევნების დასახელება	საარჩევნო სისტემა	ამომრჩევლის მიერ მიღებული ბიულეტენების რაოდენობა	სულ უბანი	რამდენ უბანზე დაიწერა შესწორების ოქმი	საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებით დაზუსტებული მონაცემები	ახსნა განმარტება
პარლამენტის არჩევნები 2016 წელი	პროპორციული	2	3 689	353 (9.57%)	16 (0.43%)	1 089 (29.52%)
	მაჟორიტარული I ტური		3 634	271 (7.46%)	27 (0.74%)	
	მაჟორიტარული II ტური	1	2 167	85 (3.92%)	14 (0.65%)	122 (5.63%)
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები 2017 წელი	პროპორციული	3 (მათ შორის 1 მერის არჩევნებისთვის)	3 634	370 (10.18%)	29 (0.8%)	624 (17.17%)
	მაჟორიტარული			493 (13.62%)	38 (1.05%)	
პრეზიდენტის არჩევნები 2018 წელი	I ტური	1	3 694	325 (8.80%)	13 (0.35%)	280 (7.58%)
	II ტური		3 694	202 (5.47%)	5 (0.14%)	252 (6.82%)
პარლამენტის არჩევნები 2020 წელი.	პროპორციული	2 (აჭარა 4)	3 847	507 (13.18%)	70 (1.8%)	615 (15.99%)
	მაჟორიტარული I ტური		3 795	584 (15.39%)	135 (3.56%)*	
	მაჟორიტარული II ტური	1	2 002	72 (3.60%)	11 (0.55%)	155 (7.74%)

* აღნიშნული მონაცემი ასევე მოიცავს საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ გადათვლის შედეგად მიღებულ განკარგულებებს

საარჩევნო ადმინისტრაციამ ასევე დაამუშავა სტატისტიკური მონაცემები 2017-2020 წლების მიხედვით იმის შესახებ, თუ რას ეხებოდა შესწორების ოქმები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შესწორების ოქმები მხოლოდ ხმებს არ ეხებოდა და ის შეიძლება უკავშირდებოდეს შემაჯამებელ ოქმში შეტანილ სხვა სახის მონაცემებს. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ცხრილში (5).

ცხრილი 5.

სტატისტიკური ინფორმაცია შესწორების ოქმების შინაარსის შესახებ

არჩევნების დასახელება	საარჩევნო სისტემა	სულ უბანი	რამდენ უბანზე დაიწერა შესწორების ოქმი*	შესწორების ოქმი შეეხება	
				ხმებს	დანარჩენ მონაცემებს
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები 2017 წელი	პროპორციული	3 634	370 (10%)	120 (32.43%)	257 (69.46%)
	მაჟორიტარული	3 634	493 (13.62%)	78 (15.76%)	417 (84.24%)
პრეზიდენტის არჩევნები 2018 წელი	I ტური	3 694	325 (8.8%)	156 (48.00%)	167 (51.38%)
	II ტური		202 (5.47%)	23 (11.39%)	179 (88.61%)
პარლამენტის არჩევნები 2020 წელი	პროპორციული	3 847	507 (13.18%)	311 (56.34%)	241 (43.66%)
	მაჟორიტარული I ტური	3 795	584 (15.39%)	212 (32.92%)	432 (67.08%)
	მაჟორიტარული II ტური	2 002	72 (3.60%)	19 (24.68%)	58 (75.32%)

* ზოგ შემთხვევაში ერთი უბნის შემაჯამებელ ოქმს/ოქმებს ახლავს ერთზე მეტი შესწორების ოქმი.

ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრი

ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრი უზრუნველყოფდა ამომრჩეველთა და დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას ყოველ დღე 10:00-20:00 საათამდე, ხოლო კენჭისყრის დღეს (I და II ტური) 24 საათის განმავლობაში. საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება შესაძლებელი იყო ქართულ, ინგლისურ, აზერბაიჯანულ, სომხურ და ჟესტურ ენებზე. ასევე, შესაძლებელი იყო არასამუშაო საათებში დატოვებულ კითხვებზე, როგორც ონლაინ ჩათის, ისე ხმოვანი შეტყობინებების პასუხების მიღება როგორც საქართველოდან, ისე საზღვარგარეთიდან.

საანგარიშო პერიოდში სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრის მომსახურებით (I და II ტური) მოქალაქეებმა ისარგებლეს 46 344 ჯერ, აქედან: განხორციელდა 31 742 შემოსული ზარი, 2 902 გამავალი ზარი, 8 181 ონლაინ ჩათი და გაიგზავნა 339 მოკლე ტექსტური შეტყობინება, ხმოვანი ავტომატური მენიუს სერვისით ისარგებლა 1 889-მა მოქალაქემ, არასამუშაო საათებში დატოვებულ კითხვაზე პასუხი გაეცა 1 291 მოქალაქეს. ცენტრში შემოსული კითხვები ძირითადად ეხებოდა შემდეგ საკითხებს: ამომრჩეველთა ერთიან სიაში პირადი მონაცემების გადამოწმება, საარჩევნო კოდექსი, ცესკოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები, საარჩევნო სუბიექტი, მონიტორინგი და მედია, ცესკოს/ოლქის/უბნის საკონტაქტო ინფორმაცია, გადასატანი ყუთის მოთხოვნა, კენჭისყრის დღის პროცედურები. სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრში საარჩევნო პერიოდში დასაქმდა 21 ოპერატორი, რომლებმაც გაიარეს გადამზადების ინტენსიური კურსი.

I.XII საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვა

ცესკომ 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის საარჩევნო ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების ბეჭდვის პროცესი შვიდ სტამბაში[50] განახორციელა და მას როგორც ცესკოს წევრები, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დააკვირდნენ.[51]

31 ოქტომბრის არჩევნების I ტურისთვის დაიბეჭდა 7 102 600 ბიულეტენი, მათ შორის კოვიდუბნისთვის 42 000 შემდეგი სახისა და რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენი:

- პარლამენტის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩასატარებელი არჩევნებისთვის დაიბეჭდა 3 160 900 და კოვიდუბნებისთვის – 15 650 ბიულეტენი;
- პარლამენტის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩასატარებელი არჩევნებისთვის დაიბეჭდა 3 097 800 და კოვიდუბნებისთვის – 15 650 ბიულეტენი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის დაიბეჭდა 584 000 საარჩევნო ბიულეტენი და კოვიდუბნებისთვის – 9 000;
- მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით გასამართი ქალაქ თბილისის (კრწანისის), თელავის, თეთრიწყაროსა და ონის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნებისთვის 40 100 და კოვიდუბნებისთვის – 200 ბიულეტენი;
- კასპის, ონის, ხარაგაულის, თერჯოლისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნებისთვის 219 800 და კოვიდუბნებისთვის – 1 500 ბიულეტენი.

კანონმდებლობის თანახმად, ზუსტი აღრიცხვის მიზნით, საარჩევნო ბიულეტენები თანმიმდევრობით დაინომრა და 50-50 ცალად აიკინძა ბლოკნოტების სახით. თითოეულ საარჩევნო უბანს ამომრჩეველთა რაოდენობიდან გამომდინარე, გადაეცა 50-ის ჯერადი ოდენობის ბიულეტენი.

ასევე, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული მაჟორიტარული ოლქების შესაბამისად, ქართულ-აზერბაიჯანულ ენაზე დაიბეჭდა – 321 200 ბიულეტენი; ქართულ-სომხური – 125 400 ბიულეტენი.

ცესკომ პარლამენტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს და ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნების II ტურისთვის საარჩევნო ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვის პროცესი ოთხ სტამბაში[52] განახორციელა და მას ცესკოს წევრები და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დააკვირდნენ.[53]

50 საარჩევნო ბიულეტენები დაიბეჭდა შემდეგ სტამბებში: შპს „ფავორიტი“, შპს „ფორმა“, შპს „საარი“, შპს „პრინტმასტერი“, შპს „თამარიონი 2002“, შპს „სეზანი“, შპს „ირიდესი“.

51 ცესკოს 2020 წლის 19 ოქტომბრის №285/2020 განკარგულება.

52 საარჩევნო ბიულეტენები დაიბეჭდა შემდეგ სტამბებში: შპს „ფავორიტი“, შპს „ფორმა“, შპს „საარი“, შპს „სეზანი“.

53 ცესკოს 2020 წლის 13 ნოემბრის №364/2020 განკარგულება.

21 ნოემბერს გასამართი არჩევნების II ტურისთვის დაიბეჭდა 2 240 600 და კოვიდუბნებისთვის 8 700 შემდეგი სახისა და რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენი:

- პარლამენტის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩასატარებელი არჩევნებისთვის დაიბეჭდა 1 885 600 და კოვიდუბნებისთვის – 6 100 ბიულეტენი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩასატარებელი არჩევნებისთვის დაიბეჭდა 227 900 და კოვიდუბნებისთვის 1 900 ბიულეტენი;
- ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნებისთვის დაიბეჭდა 127 100 და კოვიდუბნებისთვის 700 ბიულეტენი;
- ასევე, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული მაჟორიტარული ოლქების შესაბამისად, დაიბეჭდა 14 600 ქართულ-აზერბაიჯანული ბიულეტენი.

ცესკომ კანონით განსაზღვრულ ვადებში საოლქო საარჩევნო კომისიებს გადასცა ბიულეტენები. საოლქო საარჩევნო კომისიებმა კენჭისყრის დაწყებამდე არაუგვიანეს 12:00 საათისა უზრუნველყვეს ბიულეტენების მიწოდება საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის.

II. არჩევნების პირველი ტური

II.I 2020 წლის 31 ოქტომბერი. კენჭისყრის დღე

პარლამენტის არჩევნები ჩატარდა 2020 წლის 31 ოქტომბერს. საარჩევნო უბნები გაიხსნა კენჭისყრის დღის 07:00 საათზე და ჩატარდა კენჭისყრის წინა პროცედურები. ყველა საარჩევნო უბანი აღჭურვილი იყო საჭირო ინვენტარით და დაცული იყო სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები ცესკოს მიერ დადგენილი ეპიდემიოლოგიური პროტოკოლის შესაბამისად.

კენჭისყრის დღეს, საქართველოში, ამომრჩევლებს საარჩევნო უბნებზე პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობისთვის გადაეცათ ორი ბიულეტენი როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული საარჩევნო სისტემით. იქ, სადაც ასევე ტარდებოდა საკრებულოს შუალედური არჩევნები, კერძოდ, თბილისის (კრწანისის №4.07 ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი), თელავის, თეთრიწყაროსა და ონის მუნიციპალიტეტების საარჩევნო უბნებზე, ამომრჩევლებმა მიიღეს სამი ბიულეტენი. კასპის, ონის, ხარაგაულის, თერჯოლისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტების საარჩევნო უბნებზე, ამომრჩევლებმა პარლამენტის არჩევნების ბიულეტენთან ერთად ასევე მიიღეს მუნიციპალიტეტის მერის ასარჩევი ბიულეტენი. აღსანიშნავია, რომ ონის მუნიციპალიტეტის მხოლოდ ერთ საარჩევნო უბანზე, ვინაიდან იქ პარლამენტის არჩევნებთან ერთად, ასევე ტარდებოდა საკრებულოს შუალედური და მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნები, ამომრჩევლებმა მიიღეს ოთხი ბიულეტენი. ვინაიდან 31 ოქტომბერს იმართებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებიც, აჭარაში ამომრჩევლებმა მიიღეს ოთხი ბიულეტენი – ორი საქართველოს პარლამენტის, ხოლო ორი – აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის. ხოლო საზღვარგარეთ, სხვა სახელმწიფოში შექმნილ საარჩევნო უბნებზე ამომრჩევლებს გადაეცათ მხოლოდ ერთი ბიულეტენი პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩევნებში მონაწილეობისთვის.

საზღვარგარეთ დისლოცირებულ საქართველოს შეიარაღებულ ნაწილებში – ავღანეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ბატალიონებში მოსამსახურე საქართველოს მოქალაქეების არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფისა და მათი საყოველთაო საარჩევნო უფლების რეალიზების მიზნით, კენჭისყრა ასევე აიმართა 31 ოქტომბერს, საქართველოს დროით დღის 08:00 საათიდან 20:00 საათამდე. არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფისთვის დაკომპლექტებულმა სპეცჯგუფების წევრებმა დაიცვეს ცესკოს განკარგულებით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურები. არჩევნების დღეს კენჭისყრის, ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურები სპეცჯგუფებმა ჩაატარეს საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით. ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურები დაიწყო 20:00 საათიდან საქართველოს დროით. კენჭისყრის შედეგების შეჯამებისთანავე, სპეცჯგუფებმა შეადგინეს შესაბამისი კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები და ოქმების ფოტოასლები დაუყოვნებლივ, ელექტრონული საშუალებებით გაუგზავნეს ცესკოს. შედეგები შეჯამდა ცესკოს მიერ სხვა სახელმწიფოში შექმნილი საარჩევნო უბნების შედეგებთან ერთად. კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურების დასრულებისთანავე, საარჩევნო დოკუმენტაცია დაილუქა საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით საარჩევნო დოკუმენტაციის სავალდებულო კარანტინისა და ტრანსპორტირების სპეციფიკიდან გამომდინარე. დალუქული საარჩევნო დოკუმენტაცია გაიგზავნა ცესკოში.

არჩევნების დღეს საარჩევნო უბნებიდან განხორციელდა უბნის გახსნისა და ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ მონაცემების მოწოდება და ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება. ინფორმაცია ამომრჩეველთა აქტივობის წინასწარი მონაცემების მიხედვით იხილეთ ცხრილში (6).

ცხრილი 6.

საათი	ამომრჩეველთა % მაჩვენებელი	ამომრჩეველთა რაოდენობა
10:00	8.33	292 587
12:00	19.41	681 583
15:00	36.45	1 279 947
17:00	45.77	1 607 530
20:00	56.11	1 970 540

20:00 საათზე დაიხურა საარჩევნო უბნები, ხოლო გარკვეულ უბნებზე რიგში მყოფ ამომრჩევლებს კანონმდებლობის მიხედვით, მიეცათ არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა და საკუთარი ნების გამოხატვის საშუალება. რაც შეეხება სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში მყოფი ამომრჩევლებისთვის შექმნილ სპეციალურ უბნებს, ყველა გადასატანი საარჩევნო ყუთი 21:00 საათისთვის, დროულად დაბრუნდა სპეციალურად შექმნილ საარჩევნო უბნებზე.

კენჭისყრის დასრულების შემდეგ, საუბნო საარჩევნო კომისიებში ჩატარდა ხმის დათვლის პროცედურები, შეივსო კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები. კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა პროცედურის დასრულების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმები გადაეცა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას, რომლებიც ცესკომ არჩევნების დღის 21:21 საათიდან, ეტაპობრივად გამოაქვეყნა სპეციალურ ვებგვერდზე www.results.cec.gov.ge.

ნებისმიერ მსურველს ჰქონდა ცესკოში არჩევნების წინასწარი შედეგების შეჯამების პროცესზე დაკვირვების შესაძლებლობა. 360 გრადუსიანი ვიდეო გადაღების ტექნოლოგიის გამოყენებით, მიმდინარეობდა შედეგების შეჯამების პროცედურის ტრანსლირება ცესკოს სოციალური ქსელების (facebook, youtube) და ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით.

1 ნოემბერს, ცესკოში გამართულ საინფორმაციო ბრიფინგებზე, ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ არჩევნების პირველადი წინასწარი შედეგები საარჩევნო უბნების მონაცემების მიხედვით წარადგინა, კერძოდ: 03:25 საათზე – 1 085 (28.2%) საარჩევნო უბნის მიხედვით, 08:00 საათზე – 2 252 (58.53%) საარჩევნო უბნის მიხედვით. 14:00 საათზე გამართულ ბრიფინგზე კი ცესკოს პრეს-სპიკერმა პროპორციული სისტემით ჩატარებული კენჭისყრის წინასწარი შედეგები 3 626 (94.26%) უბნის მიხედვით წარადგინა.

კენჭისყრის დღის 07:00 საათიდან 24:00 საათამდე მუშაობდა ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრი და მედია-ცენტრი, ასევე 07:00 საათიდან მუშაობდა მედია-ცენტრი, სადაც მედიასაშუალებების წარმომადგენლებისთვის ყველა პირობა იყო შექმნილი მათი საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებისთვის. მედიას მთელი დღის განმავლობაში ოპერატიულად მიეწოდებოდა ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხების შესახებ. კენჭისყრის დღეს პერმანენტულად იმართებოდა ბრიფინგი. ცესკომ უზრუნველყო ბრიფინგების ლაივ რეჟიმში მიწოდება მედიის წარმომადგენლებისთვის სპეციალური სიგნალის მეშვეობით. შესაბამისად, აღნიშნული ბრიფინგები ხელმისაწვდომი იყო მედიის იმ წარმომადგენლებისთვისაც, რომლებიც ფიზიკურად არ იმყოფებოდნენ ცესკოში ბრიფინგების დროს.

არჩევნების დღემ საარჩევნო უბნებზე ძირითადად მშვიდ გარემოში ჩაიარა ცალკეული გამონაკლისების გარდა. აღნიშნულის მიუხედავად, ამომრჩევლებს ჰქონდა საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვის საშუალება.

II.II 2020 წლის 31 ოქტომბერს გამართული არჩევნების შედეგების შეჯამება და არჩევნების II ტურის დანიშვნა

13 ნოემბერს გამართულ სხდომაზე, ცესკომ შეაჯამა პარლამენტის არჩევნებისთვის სხვა სახელმწიფოში[54] შექმნილი საარჩევნო უბნების კენჭისყრის შედეგები[55] და დაადგინა:

1. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა, მათ შორის საზღვარგარეთ მისამართზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა;
2. არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა;
3. მიღებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა;
4. ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა;
5. ნამდვილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა;
6. საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობა.

სამი პოლიტიკური პარტიის მიერ დანიშნულმა ცესკოს წევრებმა გამოთქვეს განსხვავებული მოსაზრება[56], რომელიც აისახა სხდომის ოქმში. მათ დატოვეს სხდომათა დარბაზი, შესაბამისად, პარლამენტის არჩევნებისთვის სხვა სახელმწიფოში შექმნილი საარჩევნო უბნების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს ხელი მოაწერა ცესკოს ცხრა წევრმა.

ამავე სხდომაზე ცესკომ შეაჯამა პარლამენტის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების საბოლოო შედეგები[57] და დაადგინა:

1. პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა;
2. ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა;
3. საარჩევნო უბანი, სადაც არჩევნების შედეგები ბათილად იქნა ცნობილი;
4. საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმების ჯამური რაოდენობა და პროცენტი;
5. ყოველი საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების ჯამური რაოდენობა.

კანონმდებლობის შესაბამისად, ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ და კომისიის მდივანმა გიორგი ჯავახიშვილმა, ხელი მოაწერეს პარლამენტის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს.

54 საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის სხვა სახელმწიფოში შექმნილი საარჩევნო უბნების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის მონაცემები მოიცავს საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის საზღვარგარეთ დისლოცირებულ საქართველოს შეიარაღებულ ნაწილებში – ავღანეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ბატალიონებში მოსამსახურე საქართველოს მოქალაქეების არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილ №1 ბაგრამისა და №2 მაზარი-შარიფის საარჩევნო უბნებში გამართული კენჭისყრის შედეგების მონაცემებსაც.

55 შემაჯამებელი ოქმი იხილეთ დანართში (7).

56 „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია – ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“, საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“, „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“.

57 შემაჯამებელი ოქმი იხილეთ დანართში (8).

ცესკომ შეაჯამა პარლამენტის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების I ტურის შედეგები[58] და დაადგინა:

1. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა;
2. საარჩევნო უბნები, სადაც არჩევნების შედეგები ბათილად იქნა ცნობილი;
3. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა, არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა და ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობა ყოველ საარჩევნო ოლქში;
4. პარლამენტის წევრებად მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემით არჩეული პირები;
5. არჩევნების II ტურში გასული კანდიდატები.

კანონმდებლობის შესაბამისად, ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ და კომისიის მდივანმა გიორგი ჯავახიშვილმა ხელი მოაწერეს პარლამენტის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების I ტურის შედეგების შემაჯამებელ ოქმს.

იმავე სხდომაზე, საოლქო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების შესაბამისად და საფუძველზე, ცესკომ განკარგულებით დანიშნა პარლამენტის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების II ტური 17 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში: №1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 10, 11, 12, 16, 21, 23, 27, 28, 30.[59] არჩევნების გამართვის თარიღად გამოცხადდა 21 ნოემბერი. ასევე, კომისიის მიერ მიღებული განკარგულების თანახმად, 21 ნოემბერს დაინიშნა ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნების II ტური.[60]

ცესკომ სხდომაზე განსაზღვრა პარლამენტის არჩევნების II ტურისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესი, პარლამენტის არჩევნების II ტურისთვის ზოგიერთი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესი. ასევე კომისიამ მიიღო სხვა მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტები.

58 შემაჯამებელი ოქმი იხილეთ დანართში (9).
59 ცესკოს განკარგულება პარლამენტის არჩევნების II ტურის დანიშვნის შესახებ იხილეთ დანართში (10).
60 ცესკოს განკარგულება ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნების II ტურის დანიშვნის შესახებ იხილეთ დანართში (11).

III. არჩევნების მეორე ტური

III.I 2020 წლის 21 ნოემბერი. კენჭისყრის დღე

პარლამენტის არჩევნების II ტური, 17 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ჩატარდა 21 ნოემბერს.

21 ნოემბერს საარჩევნო უბნები გაიხსნა 07:00 საათზე და ჩატარდა კენჭისყრის წინა პროცედურები. ძირითადად საარჩევნო უბნები ამომრჩევლებისთვის 08:00 საათზე გაიხსნა. უამინდობის გამო ხადას ხეობაში შედარებით გვიან გაიხსნა №11.28.33 საარჩევნო უბანი, ხოლო შატილის №11.28.34 საარჩევნო უბანი ვერ გაიხსნა, ვინაიდან უამინდობის გამო ვერტმფრენმა ვერ გადაიყვანა კომისიის წევრები. გუდაურში, იგივე მიზეზით, დაგვიანებით გაიხსნა სპეციალურად შექმნილი №11.29.10 და №11.29.12 საარჩევნო უბნები.

ყველა საარჩევნო უბანი აღჭურვილი იყო საჭირო ინვენტარით და დაცული იყო სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები ცესკოს მიერ დადგენილი ეპიდემიოლოგიური პროტოკოლის შესაბამისად.

ამომრჩევლებს საარჩევნო უბნებზე პარლამენტის არჩევნების II ტურში მონაწილეობისთვის გადაეცათ ერთი ბიულეტენი, ქუთაისში კი, სადაც ასევე ტარდებოდა მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნების II ტური, ამომრჩევლებმა მიიღეს ორი საარჩევნო ბიულეტენი.

არჩევნების დღეს საარჩევნო უბნებიდან განხორციელდა უბნის გახსნისა და ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ მონაცემების მოწოდება და ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება. ინფორმაცია ამომრჩეველთა აქტივობის წინასწარი მონაცემების მიხედვით იხილეთ ცხრილში (7).

ცხრილი 7.

საათი	ამომრჩეველთა % მაჩვენებელი	ამომრჩეველთა რაოდენობა
10:00	3.51	75 037
12:00	8.29	177 462
15:00	16.47	352 456
17:00	20.74	443 963
20:00	26.29	562 664

კანონმდებლობის შესაბამისად, 20:00 საათზე დაიხურა საარჩევნო უბნები და დაიწყო ხმის დათვლის პროცედურები.[61] შემაჯამებელი ოქმების შედგენის შემდეგ, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დასრულებისთანავე, ოქმები გადაეცა საოლქო საარჩევნო კომისიებს, რომლებმაც თავის მხრივ შემაჯამებელ ოქმები ატვირთეს სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში. 21 ნოემბრის 20:31 საათიდან დაიწყო საუბნო შემაჯამებელი ოქმების ატვირთვა სპეციალურ ვებგვერდზე results.cec.gov.ge. საარჩევნო უბანზე ყველა სახის დოკუმენტაცია დაილუქა და ამის შემდეგ უკვე შემაჯამებელი ოქმების დამოწმებული ასლები გადაეცათ უფლებამოსილ პირებს.

61 საქართველოს მთავრობის დადგენილებაში შესული ცვლილების საფუძველზე 20-დან 22 ნოემბრის 05:00 საათის ჩათვლით პერიოდში მოიხსნა გადაადგილების შეზღუდვა, შესაბამისად საარჩევნო პროცესებში ჩართულ მხარეებს ჰქონდათ შეზღუდვის გარეშე გადაადგილების შესაძლებლობა.

რაც შეეხება სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში მყოფი ამომრჩევლებისთვის შექმნილ სპეციალურ უბნებზე, ყველა გადასატანი საარჩევნო ყუთი 21:00 საათისთვის, დროულად დაბრუნდა სპეციალურად შექმნილ საარჩევნო უბნებზე. არსებითი ხარვეზები არ გამოვლენილა და მთელი დღის განმავლობაში კენჭისყრის პროცესი მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა.

არჩევნების შედეგების სპეციალურ ვებგვერდზე results.cec.gov.ge შედეგების გამოქვეყნების დროს შიდა მოხმარების პროგრამიდან მონაცემების გამოქვეყნებისას დაფიქსირდა ტექნიკური/პროგრამული ხარვეზი. საარჩევნო ადმინისტრაციამ დროული რეაგირება მოახდინა და უმოკლეს ვადებში ყველასთვის ხელმისაწვდომი იყო II ტურის წინასწარი შედეგები ალტერნატიული ფორმატით. აღსანიშნავია, რომ ჩვეულ ფორმატში შედეგები მალევე გახდა ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ნებისმიერ მსურველს ჰქონდა ცესკოში არჩევნების წინასწარი შედეგების შეჯამების პროცესზე დაკვირვების შესაძლებლობა. 360 გრადუსიანი ვიდეო გადაღების ტექნოლოგიის გამოყენებით, მიმდინარეობდა შედეგების შეჯამების პროცედურის ტრანსლირება ცესკოს სოციალური ქსელების (facebook, youtube) და ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით.

22 ნოემბერს, 11:20 საათზე ცესკოში გამართულ საინფორმაციო ბრიფინგზე, ცესკოს პრეს-სპიკერმა არჩევნების II ტურის წინასწარი შედეგები ყველა, 2 003 საარჩევნო უბნის მიხედვით წარადგინა.

III.II პარლამენტის არჩევნების შედეგების შეჯამება

პარლამენტის არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმი შედგენილი იყო საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისგან მიღებული კანონიერ ძალაში შესული შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ პარლამენტის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების საბოლოო შედეგებში ცვლილება არ განხორციელებულა და ის ზუსტად იმ სახითა და მონაცემებით იყო წარმოდგენილი, როგორც თავიდანვე იქნა შეჯამებული და დადგენილი ცესკოს მიერ 13 ნოემბრის სხდომაზე, ვინაიდან, არ ყოფილა ისეთი სახის დავა ან რაიმე სახის ცვლილება, რომელსაც შეიძლებოდა ზეგავლენა მოეხდინა ამ არჩევნების საბოლოო შედეგებზე.

3 დეკემბერს გამართულ სხდომაზე, ცესკოს 13 ნოემბერს „საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი“-სა და „საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების I ტურის შედეგების შემაჯამებელი ოქმი“-ის შესაბამისად, ცესკომ შეაჯამა პარლამენტის არჩევნების საბოლოო შედეგები[62] და დაადგინა:

1. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა;
2. ყოველი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა;
3. საარჩევნო ოლქები და უბნები, რომლებზეც არჩევნების შედეგები ბათილად იქნა ცნობილი და განმეორებითი კენჭისყრა არ გამართულა;
4. პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა;
5. საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა, პროცენტი და მიღებული მანდატების რაოდენობა;
6. საქართველოს პარლამენტის წევრებად არჩეული პირების სია, რომელშიც მითითებული იყო მათი პარტიული კუთვნილება და მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი (მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევის შემთხვევაში).

რაც შეეხებოდა მაჟორიტარული სისტემით ჩატარებულ არჩევნებს, კანონიერ ძალაში შესული საოლქო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმები, რომელთა საფუძველზეც, 30-ვე მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში პარლამენტის მაჟორიტარ წევრებად არჩეული არიან №41 „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს მიერ წარდგენილი კანდიდატები“. კანონმდებლობის შესაბამისად, ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ და კომისიის მდივანმა გიორგი ჯავახიშვილმა ხელი მოაწერეს საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმებს.

62 პარლამენტის არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმი იხილეთ დანართში (12).

IV. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით გამართული ქალაქ თბილისის, თელავის, თეთრიწყაროსა და ონის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნები

კასპის, ონის, ხარაგაულის, თერჯოლისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნები (I და II ტური)

11 სექტემბერს გამართულ სხდომაზე, ცესკომ დანიშნა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით გასამართი ქალაქ თბილისის (ჯრწანისის №4.07 ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი), თელავის, თეთრიწყაროსა და ონის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნები. ცესკომ ასევე დანიშნა კასპის, ონის, ხარაგაულის, თერჯოლისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნები. როგორც მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნები, ისე მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნები საქართველოს პარლამენტის არჩევნებთან ერთად 31 ოქტომბერს ჩატარდა.

ცესკომ მიიღო დადგენილებები, რომელთა თანახმადაც საქართველოს პარლამენტის საერთო და მუნიციპალიტეტის საკრებულოების შუალედური და მერების რიგგარეშე არჩევნების ერთდროულად გამართვის შემთხვევაში[63] განისაზღვრა ზოგიერთი საარჩევნო პროცედურა, ასევე 31 ოქტომბერს გასამართი მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური და მერების რიგგარეშე არჩევნებისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესი. იმავე სხდომაზე დამტკიცდა საკრებულოების შუალედური[64] და მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკები.[65]

დადგინდა მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნებისთვის საინიციატივო ჯგუფების მიერ კანდიდატების წარსადგენად საჭირო მხარდამჭერთა ხელმოწერების მინიმალური ოდენობა[66] და მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნებისთვის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ მერობის კანდიდატის წარსადგენად საჭირო მხარდამჭერთა ხელმოწერების მინიმალური ოდენობა[67].

მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური და მერების რიგგარეშე არჩევნებზე რეგისტრირებული იყო 13 საარჩევნო სუბიექტი, მათგან ექვს საარჩევნო სუბიექტს გაუუქმდა საარჩევნო რეგისტრაცია. მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური და მერების რიგგარეშე არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით რეგისტრირებული/რეგისტრაცია გაუქმებული პარტიების ჩამონათვალი იხილეთ ცხრილში (8).

63 ცესკოს 2020 წლის 24 აგვისტოს №19/2020 დადგენილება.
64 ცესკოს 2020 წლის 11 სექტემბრის №125/2020 განკარგულება.
65 ცესკოს 2020 წლის 11 სექტემბრის №126/2020 განკარგულება.
66 ცესკოს 2020 წლის 11 სექტემბრის №127/2020 განკარგულება.
67 ცესკოს 2020 წლის 11 სექტემბრის №128/2020 განკარგულება.

ცხრილი 8.

<table>
<tr><th colspan="4">რეგისტრირებული მაჟორიტარი კანდიდატები</th></tr>
<tr><td rowspan="2">პარტიის სახელწოდება, რომლითაც მონაწილეობდა არჩევნებში</td><td rowspan="2">ხელმძღვანელი პირი</td><td rowspan="2">რიგითი №</td><td colspan="2">არჩევნების დასახელება/სტატუსი</td></tr>
<tr><td>მერების რიგგარეშე</td><td>საკრებულოების შუალედური</td></tr>
<tr><td>ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო</td><td>თავმჯდომარე
ბიძინა ივანიშვილი

გენერალური მდივანი
კახა კალაძე

აღმასრულებელი მდივანი
ირაკლი კობახიძე</td><td>41</td><td colspan="2" rowspan="8">რეგისტრირებული</td></tr>
<tr><td>ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია – ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის</td><td>თავმჯდომარე
დავით ბაქრაძე

პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე
გიორგი ბოკერია

გენერალური მდივანი
გიორგი უგულავა</td><td>2</td></tr>
<tr><td>დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი</td><td>თავმჯდომარე
დავით თარხან-მოურავი

გენერალური მდივანი
ირმა ინაშვილი</td><td>8</td></tr>
<tr><td>ერთიანი ნაციონალური მოძრაობა</td><td>თავმჯდომარე
გრიგოლ ვაშაძე

პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე
ნიკანორ მელია</td><td>5</td></tr>
<tr><td>შალვა ნათელაშვილი –საქართველოს ლეიბორისტული პარტია</td><td>თავმჯდომარე
შალვა ნათელაშვილი</td><td>10</td></tr>
<tr><td>სოციალური სამართლიანობისათვის</td><td>თავმჯდომარე
მამუკა ტუსკაძე</td><td>34</td></tr>
<tr><td>ლელო – მამუკა ხაზარაძე</td><td>თავმჯდომარე
მამუკა ხაზარაძე</td><td>56</td></tr>
<tr><th colspan="4">მაჟორიტარი კანდიდატები, რომლებსაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე</th></tr>
<tr><td rowspan="2">პარტიის სახელწოდება, რომლითაც მონაწილეობდა არჩევნებში</td><td rowspan="2">ხელმძღვანელი პირი</td><td rowspan="2">რიგითი №</td><td colspan="2">არჩევნების დასახელება/სტატუსი</td></tr>
<tr><td>მერების რიგგარეშე</td><td>საკრებულოების შუალედური</td></tr>
<tr><td>დავით ჭიჭინაძე ტრიბუნა – ქდმ</td><td>თავმჯდომარე
გრიგოლ ჯოჯუა</td><td>4</td><td rowspan="3">რეგისტრირებული</td><td rowspan="3">საარჩევნო რეგისტრაცია გაუუქმდა კანდიდატის არწარდგენის გამო</td></tr>
<tr><td>გიორგი ვაშაძე – სტრატეგია აღმაშენებელი</td><td>თავმჯდომარე
გიორგი ვაშაძე</td><td>27</td></tr>
<tr><td>თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია)</td><td>თავმჯდომარე
კახა კუკავა</td><td>21</td></tr>
<tr><td>ნინო ბურჯანაძე- ერთიანი საქართველო- დემოკრატიული მოძრაობა</td><td>თავმჯდომარე
ნინო ბურჯანაძე</td><td>3</td><td colspan="2" rowspan="3">საარჩევნო რეგისტრაცია გაუუქმდა კანდიდატის არწარდგენის გამო</td></tr>
<tr><td>თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა</td><td>თავმჯდომარე
მალხაზი გორგასლიძე</td><td>31</td></tr>
<tr><td>თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის</td><td>თავმჯდომარე
თამაზ მეჭიაური</td><td>7</td></tr>
</table>

მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნებისთვის რეგისტრირებული იყო 47 456 ამომრჩეველი, მათ შორის 26 703 (56.27%) ქალი და 20 753 (43.73%) კაცი. ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო ოლქების მიხედვით იხილეთ ცხრილში (9).

ცხრილი 9.

საარჩევნო ოლქის №	საარჩევნო ოლქის დასახელება	ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ნომერი	ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის დასახელება	ამომრჩეველთა რაოდენობა მაჟორიტარული ოლქების მიხედვით	ქალი	%	კაცი	%
1	თბილისი	4/07	კრწანისი	43 165	24 477	56.71%	18 688	43.29%
17	თელავი	17/07	კისისხევის თემი	2 185	1 125	51.49%	1 060	48.51%
26	თეთრიწყარო	26/02	მანგლისის დაბა	2 003	1 055	52.67%	948	47.33%
43	ონი	43/16	ცხმორის თემი	103	46	44.66%	57	55.34%
ჯამი				**47 456**	**26 703**	**56.27%**	**20 753**	**43.73%**

მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნებისთვის რეგისტრირებული იყო 17 მაჟორიტარი კანდიდატი, მათ შორის ექვსი (35.29%) ქალი და 11 (64.71%) კაცი. ორ მაჟორიტარ კანდიდატს (ერთი ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის და ერთი პარტიის მიერ წარდგენილი) უარი ეთქვა/გაუუქმდა რეგისტრაცია. რეგისტრირებული მაჟორიტარი კანდიდატები და მათი წარმდგენი საარჩევნო სუბიექტები საარჩევნო ოლქების მიხედვით იხილეთ, ასევე კანდიდატები, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე იხილეთ ცხრილში (10).

ცხრილი 10.

რეგისტრირებული მაჟორიტარი კანდიდატები

საარჩევნო ოლქის ნომერი	საარჩევნო ოლქის დასახელება	მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის №	კანდიდატის ნომერი	წარმდგენი საარჩევნო სუბიექტი	კანდიდატის სახელი	კანდიდატის გვარი
4	კრწანისი	7	5	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	რომეო	ფარულავა
4	კრწანისი	7	10	შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია	მამუკა	ჯუღელი
4	კრწანისი	7	41	ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო	ლევან	ჯაფარიძე
4	კრწანისი	7	56	ლელო – მამუკა ხაზარაძე	ლევან	ლაბაძე
17	თელავი	7	2	ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია – ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის	ნინო	ხუციშვილი
17	თელავი	7	5	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	ნანა	ხეჩოშვილი
17	თელავი	7	10	შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია	თამარი	მენაბდიშვილი
17	თელავი	7	34	დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	ბიძინა	ზუროშვილი
17	თელავი	7	41	ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო	გიორგი	მეტრეველი
26	თეთრიწყარო	2	2	ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია – ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის	მაია	ჩქარეული
26	თეთრიწყარო	2	5	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	კახა	სამადაშვილი
26	თეთრიწყარო	2	10	შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია	თამარი	მაისურაძე
26	თეთრიწყარო	2	41	ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო	ლევან	წიკლაური
43	ონი	16	5	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	მამუკა	კობერიძე
43	ონი	16	8	სოციალური სამართლიანობისათვის	ზურიკო	ქოჩლაძე
43	ონი	16	10	შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია	მარიამი	გოჩელაშვილი
43	ონი	16	41	ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო	რევაზ	საბანაძე

მაჟორიტარი კანდიდატები, რომლებსაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე

საარჩევნო ოლქის ნომერი	საარჩევნო ოლქის დასახელება	მაჟორიტარული ოლქი	წარმდგენი საარჩევნო სუბიექტი	კანდიდატის სახელი	კანდიდატის გვარი
43	ონი	16	საინიციატივო ჯგუფი – გელა მაისურაძე, სულიკო მაისურაძე, ნინა მაისურაძე, გერონტი დვალიძე, ომარ კობერიძე	ლევან	ჯოხაძე
43	ონი	16	დავით ჭიჭინაძე – ტრიბუნა ქდმ	ლევან	ჯოხაძე

13 ნოემბერს გამართულ სხდომაზე, ცესკომ მიიღო ინფორმაცია მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნებისთვის შესაბამისი საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილი, კანონიერ ძალაში შესული შემაჯამებელი ოქმების[68] მიხედვით, საკრებულოს წევრად არჩეული პირების შესახებ. ცესკოს სხდომის ოქმში აღნიშნულის შესახებ შევიდა ჩანაწერი.

- ქალაქ თბილისის საკრებულოს წევრად №04.07 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულია №41 ლევან ჯაფარიძე (ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო);
- თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად №17.07 კისისხევის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულია №41 გიორგი მეტრეველი (ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო);
- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად №26.02 მანგლისის დაბის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულია №41 ლევან წიკლაური (ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო);
- ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად №43.16 ცხმორის თემის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულია №41 რევაზ საბანაძე (ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო).

კასპის, ონის, ხარაგაულის, თერჯოლისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნებისთვის I ტურისთვის რეგისტრირებული იყო 254 692 ამომრჩეველი, მათ შორის 137 202 (53.87%) ქალი და 117 490 (46.13%) კაცი. ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო ოლქების მიხედვით იხილეთ ცხრილში (11).

ცხრილი 11.

საარჩევნო ოლქის №	საარჩევნო ოლქის დასახელება	ამომრჩეველთა რაოდენობა	ქალი	%	კაცი	%
30	კასპი	39 874	20 227	50.73%	19 647	49.27%
43	ონი	6 836	3 576	52.31%	3 260	47.69%
48	ხარაგაული	19 492	9 668	49.60%	9 824	50.40%
49	თერჯოლა	33 480	16 937	50.59%	16 543	49.41%
59	ქუთაისი	155 010	86 794	55.99%	68 216	44.01%
	ჯამი	**254 692**	**137 202**	**53.87%**	**117 490**	**46.13%**

68 საკრებულოებს შუალედური არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმები იხილეთ დანართში (13).

მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნებისთვის იყო რეგისტრირებული მერობის 26 კანდიდატი, მათ შორის ერთი (3.85%) ქალი და 25 (96.15%) კაცი. მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნებისთვის რეგისტრირებული მერობის კანდიდატების სია იხილეთ ცხრილში (12).

ცხრილი 12.

რეგისტრირებული მერობის კანდიდატები

საარჩევნო ოლქის №	საარჩევნო ოლქის დასახელება	კანდიდატის ნომერი	წარმდგენი საარჩევნო სუბიექტი	კანდიდატის სახელი	კანდიდატის გვარი
30	კასპი	2	ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია – ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის	გიორგი	ხელაშვილი
30	კასპი	5	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	ნუგზარი	ნონიაშვილი
30	კასპი	8	დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	ილია	კიტრიაშვილი
30	კასპი	10	შალვა ნათელაშვილი –საქართველოს ლეიბორისტული პარტია	ოთარ	ქოსაშვილი
30	კასპი	41	ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო	ვახტანგ	მაისურაძე
43	ონი	2	ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია – ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის	ჯონი	გობეჯიშვილი
43	ონი	5	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	ნოდარი	ბურდილაძე
43	ონი	8	დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	თამაზ	მეტრეველი
43	ონი	41	ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო	დავით	ჩიკვაიძე
48	ხარაგაული	2	ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია – ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის	ბესიკი	ყრუაშვილი
48	ხარაგაული	5	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	თორნიკე	ავალიშვილი
48	ხარაგაული	8	დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	თეიმურაზ	ფცქიალაძე
48	ხარაგაული	41	ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო	კობა	ლურსმანაშვილი
48	ხარაგაული	56	ლელო - მამუკა ხაზარაძე	მიხეილ	ჭიპაშვილი
49	თერჯოლა	2	ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია – ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის	როლანდი	მესხი
49	თერჯოლა	5	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	ვალერი	ბოჭორიშვილი
49	თერჯოლა	41	ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო	ლაშა	გოგიაშვილი
49	თერჯოლა	56	ლელო - მამუკა ხაზარაძე	ნიკა	მემანიშვილი
59	ქუთაისი	2	ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია – ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის	ამირან	ძოწენიძე
59	ქუთაისი	4	დავით ჭიჭინაძე ტრიბუნა – ქდმ	კახაბერ	ჩახუნაშვილი
59	ქუთაისი	5	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	გრიგოლი	შუშანია
59	ქუთაისი	10	შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია	ირაკლი	კიკვაძე
59	ქუთაისი	21	თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია)	გაგა	გოგრიჭიანი
59	ქუთაისი	27	გიორგი ვაშაძე-სტრატეგია აღმაშენებელი	ანდრო	ლოსაბერიძე
59	ქუთაისი	34	სოციალური სამართლიანობისათვის	ირმა	პეტრიაშვილი
59	ქუთაისი	41	ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო	იოსები	ხახალეიშვილი

13 ნოემბერს გამართულ სხდომაზე, ცესკომ მიიღო ინფორმაცია მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნებისთვის შესაბამისი საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილი, კანონიერ ძალაში შესული შემაჯამებელი ოქმების მიხედვით, მერად არჩეული პირების შესახებ. ცესკოს სხდომის ოქმში აღნიშნულის შესახებ შევიდა ჩანაწერი.

- თვითმმართველი თემის – კასპის მუნიციპალიტეტის მერად არჩეულია №41 ვახტანგ მაისურაძე (ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო);
- თვითმმართველი თემის – ონის მუნიციპალიტეტის მერად არჩეულია №41 დავით ჩიკვაიძე (ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო);
- თვითმმართველი თემის – ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერად არჩეულია №41 კობა ლურსმანაშვილი (ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო);
- თვითმმართველი თემის – თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერად არჩეულია №41 ლაშა გოგიაშვილი (ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო).

არჩევნების I ტურში თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის არჩევნებში ვერცერთმა კანდიდატმა ხმათა საჭირო რაოდენობა ვერ მოაგროვა. შესაბამისად, არჩევნების II ტურში მონაწილეობდა შემდეგი ორი კანდიდატი: №5 გრიგოლი შუშანია და №41 იოსები ხახალეიშვილი.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნების II ტურის შემაჯამებელი ოქმის მიხედვით, თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერად არჩეულია №41 იოსები ხახალეიშვილი (ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო).[69]

69 მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმები (I და II ტური) იხილეთ დანართში (14).

V. განცხადებები, საჩივრები და საარჩევნო დავები[70]

პარლამენტის არჩევნების დანიშვნის დღიდან მის დასრულებამდე (I და II ტური) ცესკოში სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და საარჩევნო სუბიექტების მიერ სულ შემოვიდა 148 საჩივარი. მათ შორის პარტიებმა/საარჩევნო ბლოკებმა წარადგინეს 123, სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა – 21, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებმა – ორი და ფიზიკურმა პირებმა – ორი საჩივარი. საერთო ჯამში დაკმაყოფილდა – ორი, არ დაკმაყოფილდა – 142, ხოლო გასაჩივრების ვადისა და წესის დარღვევის გამო განუხილველი დარჩა ოთხი საჩივარი. შედგენილ იქნა ექვსი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართში (15).

პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით (I ტური) საოლქო საარჩევნო კომისიებში კენჭისყრის დღეს და შემდგომ პერიოდში სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და საარჩევნო სუბიექტების მიერ სულ 2 091 საჩივარი შევიდა. მათ შორის პარტიებმა/საარჩევნო ბლოკებმა წარადგინეს 1 425, სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა 629, ორმა საინიციატივო ჯგუფმა 33, საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებმა ორი და მედიაორგანიზაციებმა ორი საჩივარი. საერთო ჯამში დაკმაყოფილდა/ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 270, არ დაკმაყოფილდა 698, ხოლო გასაჩივრების ვადისა და წესის დარღვევის გამო განუხილველი დარჩა 1 117, გაითხოვეს ოთხი და რეაგირებისთვის შესაბამის ორგანოს გადაეგზავნა ორი საჩივარი.

საოლქო საარჩევნო კომისიებში საჩივრები არჩევნებისთვის რეგისტრირებული 50 პარტია/საარჩევნო ბლოკიდან 14-მა, ხოლო ცესკოში რეგისტრირებული 120 ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციიდან 21-მა შეიტანა.

აღსანიშნავია, რომ განუხილველად დატოვებული საჩივრების დიდი წილი პარტიების/ბლოკების მიერ გასაჩივრების ვადისა და წესის დარღვევით წარდგენილ საჩივრებზე მოდის. ვადისა და წესის დარღვევით წარდგენილი 1 117 საჩივრიდან 971 სწორედ პოლიტიკური პარტიების/ბლოკების მიერ იყო წარდგენილი. დეტალური სტატისტიკა იხილეთ დანართში (16).

ცესკომ ასევე დაამუშავა ინფორმაცია საოლქო საარჩევნო კომისიების შედეგების (შემაჯამებელი ოქმების) ცესკოში გასაჩივრების შესახებ.

საოლქო საარჩევნო კომისიების შედეგები (შემაჯამებელი ოქმები) ცესკოში იმ 14 პარტიიდან/საარჩევნო ბლოკიდან, რომლებსაც საჩივრები საოლქო კომისიებში ჰქონდათ შეტანილი, ექვსმა პოლიტიკურმა პარტიამ/ბლოკმა და 21 დამკვირვებელი ორგანიზაციიდან კი მხოლოდ ერთმა ორგანიზაციამ გაასაჩივრა. დეტალური სტატისტიკა იხილეთ დანართში (17).

საოლქო საარჩევნო კომისიებში წარდგენილი საჩივრების სტატისტიკა მომზადებულია ოფიციალურად შემოსული და ცესკოს ვებგვერდზე საჩივრების რეესტრში ასახული ინფორმაციის საფუძველზე.

ცესკოს მონაწილეობით არჩევნების დანიშვნის დღიდან მის დასრულებამდე გაიმართა სულ 15 სასამართლო პროცესი. (ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – ერთი, არ დაკმაყოფილდა – 14).[71]

---

70 „დადებით მხარეს წარმოადგენდა ის, რომ ცესკოს და საოლქო საარჩევნო კომისიების განკარგულებები, ბრძანებები და საჩივრებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები ცესკოს ვებგვერდზე ქვეყნდებოდა, რაც პროცესის გამჭვირვალობას უწყობდა ხელს“. საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია. საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია (ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა და ნატოს საპარლამენტო ასამბლეა). 2020 წლის 31 ოქტომბერი, მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ.

71 დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://sachivrebi.cec.gov.ge/#/.

VI. არჩევნების ფინანსური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა

არჩევნების ბიუჯეტი

პარლამენტის არჩევნებისთვის ცესკომ 2020 წლის 10 იანვრის №1/2020 დადგენილებით დაამტკიცა საარჩევნო ბიუჯეტი, ხოლო არჩევნების II ტურის ბიუჯეტი დამტკიცდა ცესკოს 2020 წლის 13 ნოემბრის №51/2020 დადგენილებით. არჩევნების ორივე ტურის დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა – 51 220 074 ლარი.[72] საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან II ტურის ნაწილობრივ დასაფინანსებლად გამოყოფილ იქნა 7 066 310 ლარი.

საოლქო საარჩევნო კომისიების დაფინანსება

ცესკოს 2020 წლის 24 აგვისტოს №19/2020 დადგენილებით განისაზღვრა საოლქო საარჩევნო კომისიების დაფინანსება არჩევნების I ტურისთვის, ხოლო 2020 წლის 13 ნოემბრის №52/2020 დადგენილებით განისაზღვრა საოლქო საარჩევნო კომისიების დაფინანსება არჩევნების II ტურისთვის. აღნიშნული დადგენილებებით საოლქო საარჩევნო კომისიებს გამოეყოთ თანხები არჩევნების ორგანიზებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად.

ზემოაღნიშნული ხარჯების დასაფინანსებლად საოლქო საარჩევნო კომისიებს სულ I და II ტურისთვის გადაერიცხათ 3 896 264 ლარი. სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნდა აუთვისებელი ნაშთები 316 016 ლარი. ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 3 580 248 ლარი.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შრომის ანაზღაურება

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისა და ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურების დასაფინანსებლად არჩევნების I და II ტურისთვის მიიმართა 13 933 390 ლარი.

საარჩევნო სუბიექტების დაფინანსება

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 43-ე მუხლის შესაბამისად საარჩევნო ოლქებსა და უბნებზე საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად არჩევნების ორივე ტურზე დაფინანსდა 17 კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი საერთო თანხით 6 626 803 ლარი. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 56-ე მუხლის შესაბამისად საარჩევნო სუბიექტის სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარად შვიდ საარჩევნო სუბიექტს გამოეყო 1 894 295 ლარი.[73]

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 56-ე მუხლის შესაბამისად წინასაარჩევნო კამპანიის ხარჯების ასანაზღაურებლად დაფინანსდა ერთი საარჩევნო სუბიექტი საერთო თანხით 1 000 000 ლარი, რომელიც დაფინანსდა საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან. პარლამენტის არჩევნების I და II ტურისთვის გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 50 148 600 ლარი.[74]

72 სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესი (ხარჯთაღრიცხვა) იხილეთ დანართში (18).
73 ინფორმაცია საარჩევნო სუბიექტების დაფინანსების შესახებ 2021 წლის 28 იანვრის მდგომარეობით იხილეთ დანართში (19).
74 ინფორმაცია პარლამენტის არჩევნების I და II ტურისთვის გაწეული ხარჯის შესახებ იხილეთ დანართში (20).

სახელმწიფო შესყიდვები და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა

პარლამენტის არჩევნების მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფისთვის, ამომრჩეველთა განახლებული რაოდენობისა და არსებული მარაგების გათვალისწინებით, განისაზღვრა არჩევნების ჩასატარებლად შესაძენი საქონლის/მომსახურების რაოდენობა/მოცულობა. ცენტრალიზებულად განხორციელდა არჩევნებისთვის საჭირო ინვენტარის განაწილება საოლქო საარჩევნო კომისიებზე. საარჩევნო პერიოდში სულ გაფორმდა 508 ხელშეკრულება, მათ შორის ელექტრონული ტენდერების მეშვეობით განხორციელდა 165 (33%) შესყიდვა, 40 (7%) გამარტივებული შესყიდვა, 243 (48%) გამარტივებული შესყიდვა საქართველოს საარჩევნო კოდექსის 52-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სარეზერვო ფონდის ფარგლებში გაფორმდა 60 ხელშეკრულება (12%).

შესყიდულ იქნა შემდეგი საარჩევნო ინვენტარი: საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა უნიფორმები – 88 785 ლარი, ბეიჯები დამკვირვებლების, საარჩევნო სუბიექტებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის – 183 384 ლარი, ბიულეტენის კონვერტები – 340 100 ლარი, კარტრიჯები საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის – 117 050 ლარი, მარკირების სითხე – 112 200 ლარი, ქაღალდი A4 – 191 215 ლარი, ოფსეტური ქაღალდი ბიულეტენებისთვის – 162 780 ლარი, ბურთულიანი კალმები ამომრჩევლებისთვის – 661 000 ლარი.

ქვეყანაში ახალი კორონავირუსის გავრცელების გამო, უარი ითქვა დაგეგმილი ზოგიერთი პროექტის განხორციელებაზე და რესურსები მიიმართა კენჭისყრის დღის ეპიდემიოლოგიური პროტოკოლით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

დანართები

დანართი 1. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნების დანიშვნის შესახებ.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დანიშვნის შესახებ.

დანართი 2. ცესკოს განკარგულება ქალაქ თბილისის (კრწანისის), თელავის, თეთრიწყაროსა და ონის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნების დანიშვნის შესახებ.

ცესკოს განკარგულება კასპის, ონის, ხარაგაულის, თერჯოლისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის შესახებ.

დანართი 3. ცესკოს მიერ მიღებული დადგენილებების ჩამონათვალი.

დანართი 4. ცესკოს სხდომებზე დამკვირვებელთა დასწრების სტატისტიკა.

დანართი 5. ინფორმაცია საუბნო საარჩევნო კომისიების პირველ სხდომებზე თავმჯდომარე /მოადგილე/ მდივნის არჩევის შესახებ.

დანართი 6. არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტები, ასევე სუბიექტები, რომელთაც უარი ეთქვათ/ გაუუქმდათ რეგისტრაცია.

დანართი 7. სხვა სახელმწიფოში შექმნილი საარჩევნო უბნების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი.

დანართი 8. პარლამენტის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი.

დანართი 9. პარლამენტის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების I ტურის შედეგების შემაჯამებელი ოქმი.

დანართი 10. ცესკოს განკარგულება პარლამენტის არჩევნების II ტურის დანიშვნის შესახებ.

დანართი 11. ცესკოს განკარგულება ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნების II ტურის დანიშვნის შესახებ.

დანართი 12. პარლამენტის არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმი.

დანართი 13. საკრებულოებს შუალედური არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმები.

დანართი 14. მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმები (I და II ტური).

დანართი 15. არჩევნების დანიშვნის დღიდან მის დასრულებამდე (I და II ტური) ცესკოში დამკვირვებელი ორგანიზაციებისა და საარჩევნო სუბიექტების მიერ შემოსული საჩივრები. ინფორმაცია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების შესახებ.

